



178
1993

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • ჯურღიფიკაცია

მეცნიერება
15/III - 95M

11-12
1993

საპარტიო



სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 11-12
1993

გამომდის 1996 წლიდან

ნომერი-დეკემბერი

პრაქტიკა • მეცნიერება • ჰუმანიტარული

მთავარი რედაქტორი
ზურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეგია:

ანზო არსენაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)

ბაღა ბერკენიშვილი

(მთავარი რედაქტორის მოადგილე) მკითხველთა საშუალებოდ:

ვლადიმერ ბარათაშვილი

ოთარ ბაყრაღია

გივი იწყორიანი

ფილიპ ლეკვიანი

თენგიზ ლილუაშვილი

ზაზა ნათელაშვილი

თეოდორე ნინია

ნოდარ ნებიერიანი

ვიტორი ტყეშელაშვილი

ვიქტორია ურუხაშვილი

ჯონი ჯალაღანია

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებლები არიან: ჟურნალ „საპარტიო-ლის“ რედაქცია, საქართველოს რესპუბლიკის იურისტთა კავშირი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო.

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვარდეთ მისამართით: 380046, თბილისი, გრიბოედოვის 19.

ტელ: 99-02_45, 93_41_50, 99-51-01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0830. ინდექსი 76185

ფასი 120 კუპ.



ს ა კ ი მ ბ ე ლ ი

საქართველოს იურისტთა კავშირის წესდება	3
ახალ კანონთა მიმოხილვა	
გრიგოლ ერემოვი — საქართველოს პარლამენტში მიღებული სახელმწიფო სამართლე-ბრივი ხასიათის საკანონმდებლო აქტები	11
ქარლამენთარის ტრიპუნა	
ოთარ მელქაძე — კონტროლის თემა საქართველოს კონსტიტუციონალიზმში	20
მიჰალაქაეიზა და სამართალი	
გიორგი გოქსაძე — მოქალაქეობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები	29
დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კანონები	
საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რეს-პუბლიკიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის წესების შესახებ	36
პოლემიკა	
გურამ ნაჭყებია — დავიცვათ იურიდიული აზროვნების წესი	42
პრაქტიკა, წინადადება, შენიშვნები	
თენგივ მარჯანიშვილი --- კერძო ბრალდების საქმეთა სამართალწარმოების ახლებური გააზრება	47
არჩილ ღუდუშაური — ლიზინგი და მისი შესაძლებლობანი	53
ირინა აქუბარდია — ეჭვმიტანილის დაცვის უფლება	58
ანზორ მახარაძე — მოწმის იმუნიტეტი	60
გია ბახტაძე, ალექსანდრე დვალაძე — ქსოვილის წინაღობაზე ტყვის მოხვედრის კუთხის განსაზღვრის პროცესის მათემატიკური მოდელირება	63
თეორიის საკითხები	
ბიძინა სვანელი — არსისა და ჯერარსის მთლიანობა პაზიტიურ სამართალში	66
ქართული სამართლის ისტორია	
გიორგი ნადარეიშვილი — საპატიმროსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილის ზოგი-ერთი უძველესი რეალია მე-17 საუკუნის საქართველოში	68
იურიდიული რუკა	
აპოლონ ფალიაშვილი — ამერიკის შეერთებული შტატების სისხლისსამართლებრივი იუსტიცია: ორგანიზაცია, სტრუქტურა, ფუნქციები	72

გადაეცა წარმოებას 5.11.98 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.03.94 წ.,
ფორმატი 70X108 1 , ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7.
 სადარიცხვო-საგამოცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 1438. ტირაჟი 3800

საქართველოს იურისტთა კავშირის წესდება

1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს იურისტთა კავშირი (შემდგომში კავშირი) წარმოადგენს მოქალაქეთა და იურიდიული საქმიანობით დაინტერესებულ პირთა ნებაყოფლობით საზოგადოებრივ გაერთიანებას.

კავშირის საქმიანობას საფუძვლად უდევს თვითმმართველობა, დემოკრატიისა და კოლექტიულობის პრინციპები, მისი წევრების ფართო ინიციატივა, მათი პერსონალური პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისადმი.

2. კავშირი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების და ამ წესდების შესაბამისად, საჯაროობის პირობებში და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით.

3. კავშირი იურიდიული პირია; აქვს მრგვალი ბეჭედი, შტამპი, ემბლემა; წარმომადგენლობს და იცავს თავის წევრთა ინტერესებს სახელმწიფო და სამართალდამცავ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში; აქვს საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.

4. კავშირი ფლობს შესაბამის ქონებას, უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები, დადოს ხელშეკრულებები, გარიგებები, კონტრაქტები, გამოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოში.

იურიდიული პირის უფლებით სარგებლობენ აგრეთვე აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების იურისტთა კავშირები.

5. კავშირი იძენს იურიდიული პირის უფლებებს კანონით დადგენილი წესით წესდების რეგისტრაციის მომენტიდან. წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება იგივე წესით და ვადებში რაც დადგენილია წინამდებარე წესდების რეგისტრაციისათვის.

6. კავშირი უფლებამოსილია შექმნას ფილიალები წარმომადგენლობები, განყოფილებები იურიდიული პირის უფლებით, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, რომლებიც მოქმედებენ კავშირის მიერ დამტკიცებული წესდებით და მისგან გაცემული მინდობილობით.

7. კავშირის ადგილსამყოფელია საქართველოს რესპუბლიკა, ქალაქი თბილისი.

II. კავშირის მიზნები და მუშაობის ფორმები

8. კავშირის უმთავრესი მიზანია მთელი ძალისხმევა მოახმაროს რესპუბლიკის იურისტთა აქტიურ მხარდაჭერას და ფართო მონაწილეობას საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება – სრულყოფაში, ხელი შე-

უწყოს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, საქართველოს სუვერენულ უფლებათა რეალიზაციას, ეროვნულ სამართალშემოქმედებით, სხვა სხვა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებათა კანონიერი ინტერესების დაცვას.

ამ მიზნის განსახორციელებლად კავშირი ატარებს ღონისძიებებს სხვადასხვა სფეროში მომუშავე იურისტების თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხელს უწყობს იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირის განმტკიცებას, ღებულობს ზომებს თავისი წევრების პროფესიული და საზოგადოებრივ საქმიანობის სრულყოფისათვის, ზრუნავს, რათა ყველა იურისტმა განუზრდელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, მონაწილეობს სამართალდამცავი და სხვა იურიდიული ორგანიზაციების კადრების აღზრდისა და შერჩევის საქმეში.

9. კავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოქმედი კანონმდებლობის პროპაგანდასა და განმარტებაში, იურიდიული განათლების სისტემის სრულყოფაში, ეკონომიკის სფეროში იურიდიული სამსახურის განმტკიცებაში, დაეხმაროს საზოგადოებრიობას სამართლებრივ საშუალებათა გამოყენებით დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

10. კავშირის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა აამაღლოს იურიდიულ პროფესიათა პრესტიჟი, გააუმჯობესოს თავის წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, ხელი შეუწყოს იურისტთა საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებას, სოციალურ სამართლებრივ დაცვას, აგრეთვე მათ მიერ პროფესიული ფუნქციების განხორციელებისას კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, ხელა შეუწყოს პროგრესული კოლექტივების საზოგადოებრივ გაერთიანებათა იურიდიულ უზრუნველყოფას, ახალგაზრდა ნიჭიერ იურისტთა გამოვლინებას, მათ აღზრდასა და პოპულარაზიციას.

11. კავშირი სამართალდაცვით ორგანოებთან და დაწესებულებებთან ერთად სწავლობს მოქმედი კანონმდებლობის ეფექტიანობას, ავლენს პრაქტიკაში მათი გამოყენების ნაკლოვანებებს.

12. კავშირი შედის წინადადებით სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კანონმდებლობისა და იურიდიული პრაქტიკის სრულყოფის, აგრეთვე იურისტთა ცხოვრებისა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხების გამო.

13. კავშირი ამყარებს კონტაქტებს საზღვარგარეთის ქვეყნების იურისტთა კავშირებთან და გაერთიანებებთან, ეცნობა მათი საქმიანობის გამოცდილებას, ახორციელებს დელეგაციებისა და ინფორმაციის გაცვლას. აწყობს წევრების პროფესიულ და სხვა მოგზაურობებს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ.

14. სოციალურ-კულტურული და ტექნიკური ბაზის შექმნის და საქველმოქმედო მიზნით კავშირს შეუძლია საკუთრებაში იქონიოს შესაბამისი შენობა, საცხოვრებელი ფონდი, მოწყობილობა, ინვენტარი, სტამბა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ქონება.

15. ამ ამოცანების შესასრულებლად კავშირი:

ა. თანამშრომლობს სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა შემოქმედებით კავშირებთან;

ბ. ატარებს კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, სემინარებს, კოლოკვიუმებს, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებს;

გ. აწესებს პრემიებს სწავლული და პრაქტიკოსი იურისტებისათვის, ახალსებს თავის წევრებს კავშირში აქტიური მუშაობისათვის, აგრეთვე მეცნიერებისა და პრაქტიკის სფეროში მაღალი მიღწევებისათვის, შეაქვს სახელმწიფო და სა-

ქეცნიერო დაწესებულებებში წინადადებები პრემიებზე, ჯილდოებზე მათ წარ-
სადგენად;

დ. ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო —
ჟურნალი „სამართალი“;

ე. აყალიბებს სხვადასხვა სახის ორგანიზაციებს სახელმწიკრულებო საწყი-
სებზე, ახორციელებს ღონისძიებებს კავშირის წევრთა იურიდიული ლიტერა-
ტურით უზრუნველსაყოფად;

ვ. რესპუბლიკის საზოგადოებრიობას პერიოდულად აწვდის ინფორმაციას
თავისი საქმიანობის შესახებ;

ზ. ქმნის იურისტთა კავშირის ფონდს, აფუძნებს იურისტთა ბანკს.

III. კავშირის წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

16. კავშირი შედგება ინდივიდუალური და კოლექტიური წევრებისაგან.

17. კავშირის ინდივიდუალური წევრი შეიძლება იყოს პროფესიულად იუ-
რიდიული საქმიანობით დაკავებული პირი, რაც შესაბამის ურიდიულ განათლე-
ბას ან პრაქტიკულ მომზადებას მოითხოვს, სწავლული იურისტები, უმაღლესი
და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების სამართლებრივი დის-
ციპლინების მასწავლებლები; ასევე მოქალაქეები, რომლებიც აღიარებენ წეს-
დებასა და გადაიხდიან საწევრო გადასახადს.

18. კავშირის კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ ასოციაციები, იურის-
ტთა სხვა გაერთიანებები, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ
და დაინტერესებული არიან ამა თუ იმ სამართლებრივი პრობლემების გადაწყ-
ველით.

19. კავშირთან ნებაყოფლობით შეიძლება შეიქმნას მოსწავლე იურისტთა
გაერთიანება.

20. კავშირის ინდივიდუალურ წევრად მიღება წარმოებს კავშირის პირ-
ველადი ორგანიზაციის მიერ ან უშუალოდ კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის
მიერ:

ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას ხმა მისცა
პირველადი ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტმა და პრეზიდიუმის წევრთა
უბრალო უმრავლესობამ.

21. კავშირის დამფუძნებლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის და-
ფუძნებაში, ითვლებიან კავშირის წევრებად მისი სახელმწიფო რეგისტრაციის
დღიდან.

22. კავშირის წევრებს ეძლევათ წევრობის ბილეთი.

23. კავშირის კოლექტიურ წევრად ასოციაციის (გაერთიანების) შესვლას-
თან ახლავს მასში შემავალ იურისტთა კავშირის ინდივიდუალურ წევრად შეს-
ვლის მოვალეობაც. ასოცირებულ წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კავ-
შირის — გამგეობის პლენუმის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

24. კავშირის წევრს უფლება აქვს:

ა. მონაწილეობა მიიღოს კავშირის მიერ მოწყობილ ყველა ღონისძიებაში;

ბ. კავშირის ხელმძღვანელ ორგანოში შეიტანოს მის საქმიანობასთან და-
კავშირებული წინადადებანი;

გ. მონაწილეობა მიიღოს კავშირის ორგანოების ფორმირებაში და არჩეულ
იქნეს მათ შემადგენლობაში;

დ. ისარგებლოს კავშირის სპეციალური და კულტურული ფონდებით, აგ-
რეთვე მის მიერ დაწესებული შეღავათებით;

ე. მოითხოვოს პირადი მონაწილეობა მათ მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ საკითხის განხილვისას, კავშირის ორგანოებში შეიტანოს საჩივრები და თავისი მოსაზრებანი;

ვ. წარდგინდეს იქნეს ჯილდოზე ან წახალისებაზე კავშირში აქტიური მუშაობისათვის.

25. კავშირის წევრი მოვალეა:

ა. აქტიურად მონაწილეობდეს პირველადი ორგანიზაციების ცხოვრებაში, კავშირის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად;

ბ. იცხოვროს იურისტის ღირსეული ცხოვრების წესით, განუწყვეტლივ იმდროს თავისი პროფესიული მომზადების დონე;

გ. დაიცვას კავშირის წესდების მოთხოვნები და პროფესიული ეთიკის ნორმები;

დ. დროულად შეიტანოს შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო გადასახადი.

26. საწესდებო მოვალეობათა დარღვევისათვის კავშირის წევრს, პირველადი ორგანიზაციის საერთო კრებას, კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს შეუძლია დააკისროს შემდეგი სასჯელი: გაკიცხვა, გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, კავშირის წევრობიდან გარიცხვა ან ამორიცხვა.

სასჯელის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კავშირის წევრის გაცდომის და ბრალის ხარისხის გულმოდგინე განსჯა. სასჯელის მოხსნა შეუძლია მის დამდებ ორგანოს.

27. კავშირის წევრობა წყდება შემდეგ შემთხვევებში:

— კავშირიდან საკუთარი სურვილით ვასვლისას;

გარიცხვა-ამორიცხვისას.

28. გადაწყვეტილება წევრობიდან გარიცხვა-ამორიცხვის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საკითხის განხილველმა პირველადი ორგანიზაციის წევრთა არანაკლებ ორმა მესამედმა.

პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილება კავშირის წევრობიდან გარიცხვა-ამორიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან ერთი თვის მანძილზე კავშირის შესაბამის ზემდგომ ორგანოში.

29. კავშირის ცენტრალურ ორგანოთა წევრების დისციპლინურ საქმეებს პირველი ინსტანციით განიხილავს პროფესიული ეთიკის კომისია. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა მისი წევრების არანაკლებ ორმა მესამედმა. ამ კომისიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კავშირის გამგეობის პრეზიდიუმში.

IV. კავშირის სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

30. საქართველოს იურისტთა კავშირი ნებაყოფლობის საფუძველზე აერთიანებს აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იურისტთა კავშირებს, რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებს.

31. კავშირის საფუძველია პირველადი ორგანიზაცია.

კავშირის პირველადი ორგანიზაცია იქმნება ტერიტორიული ან პროფესიული პრინციპის მიხედვით, თუ ის აერთიანებს კავშირის არანაკლებ თხუთმეტ წევრს.

პირველადი ორგანიზაცია თავისი შექმნის შესახებ აცნობებს კავშირის ზემდგომ ორგანოს.

32 კავშირის პირველადი ორგანიზაცია:

ა. ახორციელებს საქმიანობას კავშირის მიზნებისა და ამოცანების ბამისად;

ბ. ღებულობს კავშირის წევრებს;

გ. რიცხავს კავშირის წევრობიდან;

დ. რეკომენდაციას აძლევს თავის წევრებს კავშირის ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობაში წამოსაყენებლად;

33. პირველადი ორგანიზაციები კავშირში შედიან რაიონულ და საქალაქო განყოფილებათა, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების კავშირების მეშვეობით.

34. იურიდიულ დაწესებულებებში, სამეცნიერო ორგანიზაციებსა და სასწავლებლებში შექმნილი პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებენ არანაკლებ 50 იურისტ-სპეციალისტს, რაიონული განყოფილების უფლებებით სარგებლობენ და შეუძლიათ კავშირში უშუალოდ შევიდნენ.

35. ავტონომიური რესპუბლიკების იურისტთა კავშირებს და გაერთიანებებს შეუძლიათ დამოუკიდებლად დააწესონ თავიანთი ორგანიზაციული სტრუქტურა, ჰქონდეთ ამ წესდების გათვალისწინებით შემუშავებული ღებულება.

36. კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს წარმოადგენენ:

ყრილობა;

გამგეობა;

პრეზიდიუმი;

სარევიზიო კომისია;

პროფესიული ეთიკის კომისია.

37. კავშირის ზემდგომი ორგანოების დადგენილებები და გადაწყვეტილებები სავალდებულოა მისი ყველა ორგანიზაციისათვის.

38. კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს ყრილობა, რომელიც მოიწვევა სამ წელიწადში ერთხელ.

მორიგი ყრილობის მოწვევა და მასზე განსახილველი საკითხები კავშირის გამგეობის მიერ ცხადდება ყრილობამდე არაუგვიანეს 4 თვისა.

რიგგარეშე ყრილობები შეიძლება მოწვეულ იქნეს:

კავშირის თავმჯდომარის წინადადებით;

გამგეობის გადაწყვეტილებით;

სარევიზიო კომისიის მოთხოვნით.

კავშირის წევრთა არანაკლებ ორი მესამედის მოთხოვნით რიგგარეშე ყრილობები მოიწვევა ორთვიან ვადაში.

39. საქართველოს იურისტთა კავშირის ყრილობაზე წარმომადგენლობისა და დელეგატთა არჩევის წესის ნორმებს ადგენს კავშირის გამგეობა.

40. საქართველოს იურისტთა კავშირის ყრილობა:

ა. ფარული ან ღია კენჭისყრით ირჩევს საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარეს სამი წლის ვადით, არა უმეტეს ორი ვადისა ზედიზედ;

ბ. განიხილავს კავშირის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმდინარე და პერსპექტიულ საკითხებს.

გ. ამტკიცებს კავშირის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებანი და დამატებანი (გადაწყვეტილებები კავშირის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ მიიღება კენჭისყრით ყრილობის დელეგატთა ორი მესამედის უმრავლესობით);

დ. ამტკიცებს ანგარიშებს კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საქმიანობის შესახებ;

ე. ადგენს რიცხოვრივ შემადგენლობას და ირჩევს გამგეობას, სარევიზიო და პროფესიული ეთიკის კომისიებს;

ვ. ყრილობას უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს სხვა საკითხებიც, რომლებიც ეხება კავშირის ორგანიზაციასა და საქმიანობას;

ზ. ყრილობის გადაწყვეტილებები კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის საკითხებზე მიიღება ფარული ან ღია კენჭისყრით, დამსწრე დელეგატთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

41. გამგეობის, სარევიზიო კომისიისა და პროფესიული ეთიკის კომისიის შემადგენლობაში არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც ხმის უმრავლესობა მიიღეს.

42. საზოგადოების სამართლებრივი განვითარებისა და კავშირის საქმიანობის ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად ყრილობებს შორის პერიოდში შეიძლება მოწვეულ იქნეს იურისტთა რესპუბლიკური კონფერენცია. გადაწყვეტილება კონფერენციის მოწვევის შესახებ მიიღება კავშირის გამგეობის მიერ.

43. კავშირის ხელმძღვანელ ორგანოს ყრილობებს შორის პერიოდში წარმოადგენს კავშირის გამგეობა.

გამგეობის პლენუმები მოიწვევა წელიწადში ერთხელ და აუცილებლობის მიხედვით.

44. კავშირის გამგეობა:

ა. ირჩევს საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეებს.

ბ. ირჩევს პრეზიდიუმს და ისმენს ანგარიშებს მისი საქმიანობის შესახებ;

გ. განსაზღვრავს კავშირის ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გზებს;

ე. ქმნის პროფესიულ სექციებს, ჯგუფებს გამგეობის წევრთაგან, აგრეთვე იურიდიული საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან, რომლებიც მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ კავშირის წინაშე დასახული მიზნების მიღწევას;

ვ. ამტკიცებს კავშირის წლიურ ბუჯეტს;

ზ. ამტკიცებს საქართველოს იურისტთა კავშირის ფონდის წესდებას. შეაქვს ცვლილებები და დამატებანი კავშირის წესდებაში კავშირის ყრილობაზე შემდგომი დამტკიცებით.

45. კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი:

ა. უზრუნველყოფს ყრილობების, გამგეობის პლენუმების, მისი სექციების საქმიანობას;

ბ. ხელმძღვანელობს კავშირის მიმდინარე მუშაობას;

გ. აგზავნის კავშირის წარმომადგენლებს რესპუბლიკურ უწყებებსა და დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ინფორმაციის საშუალებათა ორგანოებში და ისმენს ანგარიშს მათი იქ საქმიანობის შედეგების შესახებ;

დ. ამზადებს მასალებს გამგეობის პლენუმებსა და კავშირის ყრილობებზე განსახილველად;

ე. ამტკიცებს წარდგინებებს სახელმწიფო პრემიების, ჯილდოების მისანიჭებლად, იღებს გადაწყვეტილებებს კავშირის ჯილდოებისა და წახალისებათა შესახებ;

ვ. გამოყოფს სახსრებს კავშირის ორგანიზაციული და შემოქმედებითი ღონისძიებების განსახორციელებლად.

46. პრეზიდიუმის არჩევნიდან ერთი, ორი წლის ვადის შემდეგ გამგეობის პლენუმში განიხილავს საკითხს თავისი წევრების პრაქტიკული საქმიანობის

ბის შედეგების შესახებ და წყვეტს მათი გადარჩევის საკითხს, ვინც კავშირის საზოგადოებრივ საქმიანობაში თავი ვერ გამოიჩინა.

47. საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე:

ა. ახორციელებს კავშირის საერთო ხელმძღვანელობას, ყრილობის კონფერენციის, გამგეობისა და პრეზიდიუმის მიერ განსახილველი საკითხების მომზადებას. გამგეობის პლენუმის, პრეზიდიუმის სხდომებს შორის პერიოდში წარმართავს მიმდინარე საქმიანობას;

ბ. წარმომადგენლობს იურისტთა კავშირს სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში;

გ. კავშირის სახელით ხელს აწერს დოკუმენტებს, იღებს ვალდებულებებს;

დ. იწვევს გამგეობის პლენუმს, პრეზიდიუმს და წარმართავს მათ სხდომებს;

ე. ღებულობს და ანთავისუფლებს სამუშაოდან გამგეობის აპარატის თანამშრომლებს;

ვ. ასრულებს ამ წესდებიდან გამომდინარე სხვა რწმუნებებს.

48. კავშირის სარევიზიო კომისია:

ა. აკონტროლებს კავშირის წესდების, ყრილობის, გამგეობის პლენუმის, პრეზიდიუმის გადაწყვეტილებების შესრულებას;

ბ. აკონტროლებს კავშირის ფონდების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას, ამოწმებს ბიუჯეტის შესრულების სისწორეს;

გ. ამოწმებს კავშირის მისამართზე შემოსული განცხადებების, საჩივრებისა და წერილების დროულად განხილვასა და სისწორეს.

49. პროფესიული ეთიკის კომისია:

ა. იხილავს აპელაციებს კავშირში მიღების, გარიცხვა-ამორიცხვის საკითხებზე, არკვევს კავშირის წევრთა საჩივრებს, განცხადებებს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე კავშირის ორგანიზაციებს ატყობინებს თავის გადაწყვეტილებებსა და წინადადებებს;

ბ. შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწყობს კონსულტაციებს პროფესიული ეთიკის საკითხებზე.

50. გამგეობისა და პრეზიდიუმის გადაწყვეტილებანი ეცნობება ავტონომიური რესპუბლიკების იურისტთა კავშირებს, ადგილობრივ ორგანიზაციებს და იურიდიულ საზოგადოებრიობას კავშირის ბეჭდვითი ორგანოებისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის დაწესებულებათა მეშვეობით.

51. კავშირის წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ ერთსა და იმავე ხელმძღვანელ ორგანოში ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

52. რესპუბლიკური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები არ შეიძლება არჩეულ იქნან კავშირის ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობაში ერთ მესამედზე მეტი.

V. კავშირის ფინანსები და ქონება

53. კავშირის წევრად მიღებულ პირებს შეაქვთ საწევრო შესატანი 100 მანეთის ოდენობით და ყოველთვიური საწევრო შესატანი 25 მანეთის ოდენობით.

პენსიონერები თავისუფლდებიან საწევრო გადასახადისაგან, ხოლო მომუშავე პენსიონერები საწევრო გადასახადს იხდიან 50 პროცენტის ოდენობით.

კოლექტიურ წევრთა საწევრო შესატანი ღვინდება კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მიერ მათთან შეთანხმებით.

54. კავშირის ფულადი სახსრების წარმოქმნის წყაროებია:

ა. კავშირის ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრთა შესასვლელი და საწევრო შესატანები;

ბ. წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების შედეგად შემოსული თანხები.

გ. კავშირის დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან მიღებული გადანარიცხები;

დ. შემოსავლები ბეჭდვითი საქმიანობიდან;

ე. მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული სხვა შემოსავლები.

55. კავშირის განმგებლობაშია იურისტთა ცენტრალური სახლი, რომელსაც კავშირის წევრთა კლუბს წარმოადგენს.

VI. კავშირის ლიკვიდაციის წესი.

56. კავშირის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს ყრილობის გადაწყვეტილებით, ან კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

57. კავშირის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ყოველგვარი სახსრები და ქონება ყრილობის გადაწყვეტილებით გადაეცემა სახელმწიფო ორგანოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.



პრიზოლ ეპიგრაფი

საქართველოს პარლამენტში მიღებული სახელმწიფო სამართლებრივი ხასიათის საკანონმდებლო აქტები

(1992 წ. XI—1993 წ. XI)

როგორც სათაურიდანაც ჩანს, სტატიაში შევხებით მხოლოდ სახელმწიფო სამართლებრივი ხასიათის საკანონმდებლო აქტებს: პარლამენტის დროებითი რეგლამენტი, კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, კანონი პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ, კანონი პარლამენტის წევრის (დეპუტატის) სტატუსის შესახებ, კანონი მოქალაქეობის შესახებ და ა. შ.

პარლამენტის სხდომაზე რეგლამენტის ორი პროექტი იყო წარმოდგენილი, ამიტომ 1993 წლის 5 ნოემბერს სესიაზე გადაწყდა, რომ შეიქმნას შემთანხმებული კომისია პარტიებისა და ბლოკების წარმომადგენელთა და დამოუკიდებელ დეპუტატთა მონაწილეობით. კომისიას დაევალა წარმოდგენილი პროექტებიდან განსახილველად გამოსატანი ვარიანტის შერჩევა.

საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტი დამტკიცდა 1992 წლის 6 ნოემბერს.

რეგლამენტი არა მარტო პარლამენტის უფლებებს ადგენს, არამედ აკანონებს ამ უფლებათა განხორციელების წესებსა და ხერხებს. რეგლამენტი მნიშვნელოვანი ჯურიდიული ზახაა პარლამენტის მუშაობის სწორი ორგანიზაციისა.

საერთოდ რეგლამენტი არა მხოლოდ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საქმიანობის დამდგენი და მისი მუშაობის წესების დეტალური ამსახველი იურიდიული აქტია, არამედ ანალოგიური აქტის მიღება შეიძლება სხვა ორგანოთა მიერაც. კერძოდ, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, თბილისის მერიის და ა. შ.

როგორც ვხედავთ, რეგლამენტი არის სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც დეტალურად აწესებს სახელმწიფოს რომელიმე ორგანოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობას, მათი საქმიანობის პირობებსა და წესებს. ამ შემთხვევაში პარლამენტის რეგლამენტი ადგენს სესიების მოწვევის, მისი გახსნისა და მიმდინარეობის წესებს, ასევე იმ ორგანოთა შექმნის წესს, რომელთაც ირჩევს ან ქმნის პარლამენტი.

ამიტომ არის, რომ პარლამენტის სხდომაზე ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას მისი წევრები ხშირად იხსენებენ რეგლამენტს და მოითხოვენ მისი მუხლებისა თუ პუნქტების ზუსტ დაცვას, ზოგჯერ კი, თუ რეგლამენტის ესა თუ ის მოთხოვნა არ ესადაგება დღევანდელობას, მოითხოვენ მის შეცვლას ე. ი.

შესწორებისა და დამატების შეტანას. ასეთ შემთხვევათა სიხშირე კი იმის მაქ-
ვენებელია, რომ იგი გამოუცდელი პარლამენტის მიერ ნაჩქარევად არის შემუშა-
ვებული, რასაც ადასტურებს მისი სახელწოდებაც — „დროებითი რეგლამენტი“.

პარლამენტის დროებითი რეგლამენტი შედგება 6 თავისა და 69 მუხლისა-
გან.¹ მისი პირველი თავია „ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა“. იგი რვა მუხლისაგან შედგება, სადაც გათვალისწინებულია ის სპეციფიკა, რაც პარლამენტის პირველი სხდომისათვის არის დამახასიათებელი (სხდომის გახ-
სნის წესი, სამანდატო კომისიის მეშვეობით პარლამენტის მიერ თავის წევრთა რწმუნების დამტკიცება, მინისტრთა კაბინეტის მიერ პარლამენტისათვის უფ-
ლებამოსილების გადაცემის საკითხი და ა. შ.)

დროებითი რეგლამენტის მეორე თავი ეხება „საქართველოს პარლამენტის მუშაობის წესს“. მორიგ და რიგგარეშე (საგანგებო) სესიების (სხდომების) მოწ-
ვევას, მათი ორგანიზაციული მუშაობის ფორმებს. აქ მნიშვნელოვანია რეგლა-
მენტის მე-11 მუხლი, რომლის მიხედვითაც „პარლამენტის სესია შედგება პლე-
ნარული სხდომების, კომისიების სხდომებისა და შეკითხვებისათვის განკუთვნი-
ლი სხდომებისაგან“.

აღსანიშნავია, რომ დროებითი რეგლამენტი არ ითვალისწინებს პარლამენ-
ტის ორგანიზაციული მუშაობის ისეთ ფორმას, როგორც არის დეპუტატის საქმიანობა საარჩევნო ოლქში. არ ითვალისწინებს დეპუტატის ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე, მათგან განაწესისა და წინადადებათა მიღებას, დეპუ-
ტატის გაწვევის შესაძლებლობას.


რეგლამენტის ამ ნაწილში დაწვრილებით არის შესაბამისი ნორმებით გა-
თვალისწინებული პარლამენტის სხდომების საჭიროების, მომხსენებელთა გა-
მოსვლისა და პარლამენტის წევრთა დებატებში მონაწილეობის წესების შესახებ, პარლამენტის ოფიციალური ენის საკითხზე, პარლამენტის კოლეგიის მუშაო-
ბასა და სამდივნოს ამოცანებზე, აგრეთვე კენჭის ყრის წესებზე.

რეგლამენტის მესამე თავია „საქართველოს პარლამენტის თანამდებობის პირები და ორგანოები“, იგი თავისი მოცულობით (მუხ. 23—62) ცენტრალური ნაწილია ამ აქტისა. აქ ჩამოთვლილია პარლამენტის როგორც თანამდებობის პირები, ისე ორგანოები, ხოლო შემდეგ კი განსაზღვრულია თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობანი. ამრიგად, კანონის ამ ნაწილში დაწვრილებით არის ლაპარაკი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის სპიკერის, სპიკერის მოადგილეთა, პარლამენტის კომისიების თავმჯდომარეთა და სამდი-
ვნოს უფროსის აგრეთვე პარლამენტის კოლეგიის უფლებებსა და მოვალეობებზე.

რეგლამენტის მომდევნო თავებია: „საქართველოს პარლამენტის დემოკრა-
ტიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი“, „საქართველოს პარლამენტის კვლევითი სამსახური“ და „საქართველოს პარლამენტის აპარატი“.

სახელმწიფო სამართლებრივი მნიშვნელობის მომდევნო აქტი, რომელიც ძალაში შევიდა პარლამენტის მიერ მისი მიღების დღიდან, ე. ი. 1992 წლის 6 ნოემბრიდან არის „კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. ამ აქტის შეფასება მისივე პრეამბულაშია ჩაწერილი. „ეს კანონი,— ნათქვამია აქ, — განსაზღვრავს ქვეყნის საგანგებო საშინაო და საგარეო მდგომარეობით განპირო-
ბებულ საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილე-
ბას, მათი მოწვობისა და საქმიანობის წესს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე; რაც განხორციელდება 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის მემკვიდრეო-
ბითობის საფუძველზე“.

¹ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 21 ნოემბერი.



მართალია, აღნიშნული აქტი არ არის საქართველოს სახელმწიფოს ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), მაგრამ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე იგი ამ ფუნქციას ავტომატურად ახორციელებს სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა საქმიანობის რეგულირების საქმეში.

კანონი შედგება 8 თავისა და 33 მუხლისაგან. მართალია, კანონში ლაპარაკია სამივე ხელისუფლებაზე — პარლამენტზე (თავი II), მინისტრთა კაბინეტზე (თავი V) და სასამართლო ხელისუფლებაზე (თავი VIII), მაგრამ ფაქტობრივად კანონი უმთავრესად სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — პარლამენტის უფლება-მოთხოვნების ინტერპრეტაციას ახდენს.

დასახელებული კანონი იცავს საქართველოში პარლამენტური რესპუბლიკის ფორმას, მაგრამ იმ თავისებურებით, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს ხალხი ცალკე ირჩევს საარჩევნო კანონის მოთხოვნათა დაცვით. შემდეგ კი „პარლამენტი ირჩევს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს“ (მუხ. 8). ამიტომ, ამავე კანონით დადგენილია გამოთქმა „პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური“, რომლის უფლებამოსილებაც მოცემულია მის შესაბამის თავში. ყოველივე ეს ქართული მოდელია, რომელიც მიმდინარე ეტაპზე გამართლებული აღმოჩნდა.

კანონი განსაზღვრავს პარლამენტის უფლებამოსილებას, ადგენს იმ ორგანოთა თუ თანამდებობის პირობა ნუსხას, რომელთაც ირჩევს ან ნიშნავს იგი, ითვალისწინებს მუდმივი კომისიების არჩევისა და მუშაობის ძირითად წესებს, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე თანამდებობის პირობა და ორგანოთა ან მოქალაქეთა ჯგუფის მიერ განცხადების წარდგენის წესს, პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაურის, აგრეთვე სპიკერისა და მის მოადგილეთა უფლებებს და ა. შ.

აქვე კანონი ეხება რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, სასამართლო და პროკურატურის ორგანოთა, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს საქმიანობას. მასში გათვალისწინებულია, რომ „შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია სახელმწიფოს მეთაური“².

საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო-სამართლებრივი მნიშვნელობის კანონი მუდმივი კომისიების შესახებ მიიღეს 1992 წლის 18 დეკემბერს. იგი ძალაში შევიდა მიღებისთანავე გარდა მისი მე-14 მუხლისა. ამასთან დაკავშირებით პარლამენტის დადგენილებაში ჩაიწერა, რომ „კანონის მე-14 მუხლი განმეორებით იქნეს განხილული არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა“, მაგრამ ინიციატივაში მისი განხილვა დიდი ხნით გადაიდო.

ამ კანონის დამტკიცებამდე საქართველოს პარლამენტმა 1992 წლის 7 ნოემბერს განსაზღვრა მუდმივი კომისიების საერთო რაოდენობა, ზოლო 12 ნოემბერს აირჩია კომისიის თავმჯდომარეები, რომელთაც დაევალოთ, დარგობრივი ნიშნისა და ნებაყოფლობის საფუძველზე, შეევეროვნებინათ კომისიის წევრთა შემადგენლობა და წარმოედგინათ პარლამენტზე დასამტკიცებლად.

1992 წლის 25 დეკემბერს მუდმივი კომისიების სიები დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა, რომელმაც გაითვალისწინა მუდმივი კომისიების შესახებ მიღებული კანონის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც: პარლამენტის წევრი არ შეიძლება შედიოდეს ორზე მეტ მუდმივ კომისიაში, რომ კომისიის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს რომელიმე სხვა კომისიის წევრი და რომ იგი შეიძლება პარლამენტის კოლეგიის შემადგენლობაში. პარლამენტის თავმჯდომარე და მისი

² „საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, იხ. ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 10 ნოემბერი.

მოადგილეები, სპიკერი და მისი მოადგილეები, აგრეთვე პრემიერ-მინისტრი არ შეიძლება შედიოდნენ მუდმივ კომისიებში. აუცილებელია, რათა კომისიის შემადგენლობაში თითოეული ფრაქციიდან შედიოდეს თითო დეპუტატი მაინც, კომისიების საქმიანობას კოორდინაციას უწევს პარლამენტის სპიკერი.

მუდმივი კომისიები მოქმედებენ პარლამენტის უფლებამოსილების ვადით. კომისიის შემადგენლობაში უნდა ირჩეოდნენ პარლამენტის არანაკლები ხუთი წევრისა. პარლამენტის მუდმივ კომისიებს აქვთ კონტროლის, კანონშემოქმედებითი და საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

პარლამენტის მიერ მუდმივი კომისიის წევრთა დამტკიცების შემდეგ, არა უგვიანეს სამი დღისა, კომისიის თავმჯდომარე იწვევს კომისიის პირველ, საორგანიზაციო სხდომას, რომელზეც ირჩევენ კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს. კომისია მათ ირჩევს ღია ან ფარული კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით. კომისიას შეუძლია შექმნას ქვეკომისია პარლამენტის არანაკლები 3 წევრის შემადგენლობით. ქვეკომისიას თავისი ინიციატივით უშუალოდ არა აქვს უფლება საკითხი გაიტანოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. მისი მოვალეობაა მოიწვიოს საკონსულტაციო საბჭოს სპეციალისტებისა და ექსპერტების მონაწილეობით და მომზადებული საკითხები გაიტანოს კომისიის სხდომაზე სამსჯელოდ.

დიდ ადგილს უთმობს კანონი მუდმივი კომისიების კანონშემოქმედებით საქმიანობას. ეს საპარლამენტო მუშაობის პრაქტიკიდანაც აშკარად სჩანს. კანონი დაბეჯითებით მოითხოვს იმ წესის დაცვას, რომ „პარლამენტის სესიაზე განსახილველად გასატანი ყველა კანონპროექტი წინასწარ განხილვას ექვემდებარება შესაბამის კომისიაში“ (მუხ. 16).

კონტროლის უფლებათაგან ყველაზე დიდმნიშვნელოვანია ის, რომ მუდმივი კომისიები „თავიანთი გამგებლობის საკითხებზე აკონტროლებენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, მათი ქვემდგომი უწყებების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას კანონების შესასრულებლად“ (მუხ. 15).


კანონის ბოლო, მეოთხე თავი, ეხება მუდმივი კომისიების მუშაობის წესს, იგი საკმაო დიდი მოცულობით (მუხ. 18–30) არის წარმოდგენილი. კანონის ეს ნაწილი ეხება კომისიის თავმჯდომარის, მის მოადგილის და მდივნის, აგრეთვე ქვეკომისიის თავმჯდომარის ფუნქციებს, კომისიის წევრთა უფლებამოვალეობებს, კომისიების გვემებს, კომისიის სხდომების ან კომისიების ერთობლივი სხდომების ჩატარების წესს და ა. შ.

კანონის მე-10 მუხლით „კომისია თავისი დარგობრივი საქმიანობის გათვალისწინებით შეიმუშავებს დებულებას, რომელსაც იხილავს პარლამენტის კოლეგია და ამტკიცებს სპიკერი. დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონს“³.

ასეთი დებულება წერილობითი ფორმით დღემდე არ გამოქვეყნებულა და არც არსებობს ოფიციალური ცნობა მისი დამტკიცების შესახებ, ამიტომ საეჭვოა, რომ იგი შემუშავებული იყოს.

დებულებით, ალბათ, გათვალისწინებული უნდა იქნეს იმის საჭიროება, რომ ჩატარდეს მუდმივი კომისიების წევრთათვის ან თავმჯდომარეთათვის მაინც

³ იხ. „კანონი საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წლის 12 იანვარი).



კვალიფიციური ლექცია-საუბრები, ასევე, საჭიროებისამებრ პერიოდულად პარლამენტი უნდა ისმენდეს ცალკეული კომისიების ინფორმაციებს მათი მუშაობის შესახებ. ერთი სიტყვით მუდმივ კომისიების დებულება უფრო დეტალურად უნდა წარმოგვიდგენდეს პარლამენტის წევრთა საქმიანობას კომისიების ფუნქციონალსრულების საქმეში.

მუდმივი კომისიები კარჩაკეტილ მუშაობას არ უნდა ეწეოდნენ. მართალია, ისინი კონტაქტში უნდა იყვნენ პარტიებთან, ფრაქციებთან, მათ ლიდერებთან მაგრამ ასევე აუცილებელია მათი საქმიანი ურთიერთობა მეცნიერებათა აკადემიასთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, განსაკუთრებით კი ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მის იურიდიულ ფაკულტეტთან, კათედრებთან.

კარგი იქნება თუ პარლამენტის სპიკერი 6 თვეში ერთხელ პარლამენტს მოახსენებს ინფორმაციას მუდმივი კომისიებისადმი გაწეული საკოორდინაციო მუშაობის შედეგების შესახებ.

პარლამენტის მიერ მიღებული აქტები, აგრეთვე მუდმივი კომისიების მიერ გაწეული მუშაობის შედეგები, უნდა ქვეყნდებოდეს „საქართველოს პარლამენტის უწყებებში“, აგრეთვე რესპუბლიკურ გაზეთებში. სასურველია იბეჭდებოდეს საქართველოს პარლამენტის სესიებზე შემდგარი სტენოგრაფიული ანგარიშები. სამწუხაროდ, ჩვენი ბიბლიოთეკები და ინდივიდუალური ხელმოწერვები არ არიან უზრუნველყოფილნი „პარლამენტის უწყებების“ მიღებით. აქ კავშირგაბმულობაა დამნაშავე თუ პარლამენტის აპარატი, ჩვენთვის გაურკვეველია.

პარლამენტის მიერ მიღებულ სახელმწიფო სამართლებრივი ზასიათის აქტთა შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს „კანონი საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“. იგი მიღებულია 1992 წლის 28 დეკემბერს, შედგება სამი თავისა და 26 მუხლისაგან.

საერთოდ, სტატუსი ეწოდება ამა თუ იმ სფეროს მუშაკთა უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელ დოკუმენტს. პარლამენტის წევრთა სტატუსი კი სწორედ დებუტატთა უფლება-მოვალეობებს ასახავს. იგივე კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მოვალეობებს დებუტატთა მიმართ.

პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონის პირველი თავია „ზოგადი დებულებანი“. აქ დადგენილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადა, ამ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი, პარლამენტის წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან, პარლამენტის წევრის ზნეობრივი ქცევის ნორმები და ა. შ.

კანონის მომდევნო თავებია „პარლამენტის წევრის საქმიანობა პარლამენტსა და მის ორგანოებში“ და „პარლამენტის წევრის საქმიანობის გარანტიები“.

„საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ პარლამენტის 1993 წლის 28 დეკემბრის დადგენილების პირველ მუხლში ჩაწერილია, რომ „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოკვეყნებისთანავე. კანონის მე-6 მუხლი განმეორებით იქნეს განხილული არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა“.

1993 წლის 9 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბ-

ლიკის კანონის მე-6 მუხლის თაობაზე“, რომლითაც დამტკიცდა „მუხლი 6 პარლამენტის წევრის საქმიანობა საარჩევნო ოლქში“.

კანონის ეს მუხლი დიდ მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით იგი იმავეს თებს, რომ პარლამენტის წევრი თვალყურს ადევნებს ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას, ამ მიზნით პარლამენტის წევრი იღებს მოქალაქეებს, ხვდება ამომრჩევლებს, ატარებს კონსულტაციებს. პარლამენტის წევრისათვის ამ საქმიანობაში ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო ოლქის ცენტრში იქმნება საპარლამენტო წარმომადგენლობა, რომლის ფუნქციები, შტატები, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის სპიკერი⁴.

ვფიქრობთ, საქართველოს რესპუბლიკის მომავალმა კონსტიტუციამ თავი ერთ-ერთ მუხლში უნდა მიუთითოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონის მოთხოვნათა აღსრულების აუცილებლობაზე, რითაც ეს კანონი კონსტიტუციური ძალის მქონე აქტი ანუ კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილი გახდება.

დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი აქტია აგრეთვე „კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. იგი დამტკიცებულია 1993 წლის 25 მარტს, შედგება 5 თავისა და 46 მუხლისაგან.

საქართველოს პარლამენტმა იმავე დღეს მიიღო დადგენილება „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“, რომლითაც იგი ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მინისტრთა კაბინეტს დაევალა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა დებულებები: „მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან არსებული საქართველოს მოქალაქეობის დამდგენი დროებითი კომისიების შესახებ“, „საქართველოს მოსახლეობის რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ და „საქართველოს მოქალაქეობის პასპორტის, სამსახურებრივი და დიპლომატიური პასპორტის შესახებ“.

მოქალაქეობის ცნებაში იგულისხმება ფიზიკური პირის, პიროვნების მიკუთვნება ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი და მის მიმართ სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელება, როგორც მოცემული ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთის ტერიტორიაზე.


საერთოდ, პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი სახელმწიფოში არის მოქალაქეობა.

მოქალაქეთა ყველა (სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად) უფლებათა, თავისუფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება მათი სამართლებრივი მდგომარეობა სახელმწიფოში და საზოგადოებაში — იწოდება მოქალაქეთა სამართლებრივ სტატუსად.

მოქალაქეობა იურიდიული წინაპირობაა პიროვნების უფლებების დაცვისა და მოვალეობათა განხორციელებისა, მაშასადამე, მოქალაქეობა თავისთავად არ ნიშნავს უფლებას, მოქალაქეობა ეს არის პირობა, რომელიც ფიზიკური პირისადმი კანონის განხორციელების გზით განსაზღვრავს ამა თუ იმ სახელმწიფოში მის უფლებრივ მდგომარეობას (პიროვნების სტატუსს).

მოქალაქეობა თანაწევრობაა სახელმწიფოში. იგი გულისხმობს პიროვნების უფლებათა და მოვალეობათა გარკვეულ წრეს, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პიროვნების მონაწილეობის ფარგლებს.

⁴ „კანონი საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ (იხ. ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1993 წლის 11 იანვარი; კანონის მე-6 მუხლის თაობაზე იხ. იგივე გაზეთი 1993 წლის 13 თებერვალი).



მოქალაქეობის შესახებ საკითხი დიდი სახელმწიფოებრივი და, მაშასადამე, პოლიტიკურ-იურიდიული მნიშვნელობის პრობლემაა. ამიტომ ყოველი ხელმწიფო აუცილებლად თვითონ საზღვრავს მოქალაქედ ყოფნის წესს. გად, საერთაშორისო მასშტაბით ერთიანი კანონი მოქალაქეობის შესახებ არ არსებობს, ყოველი სახელმწიფო თავისი კონსტიტუციით და, მისგან გამომდინარე, სათანადო კანონით განსაზღვრავს მოქალაქეობის საკითხს. ასე მოიქცა საქართველოს რესპუბლიკაც, რომლის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ, პარლამენტმა დროულად მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ⁵.

კანონის პირველ თავში გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკაში ერთიანი მოქალაქეობის არსებობა, უარყოფილია ორი მოქალაქეობა, აღიარებულია კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობა, მათი მოვალეობანი, სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გარანტირება, დადგენილია უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა და ა. შ. კანონის ამავე ნაწილში გათვალისწინებულია ის დებულება, რომ „საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს“ (მუხლი 9), ეს გასაგებია, მაგრამ ერთგვარ-ახსნას მოითხოვს მეორე მუხლის ბოლო ნაწილი, რომ „არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა“.

დასახელებული კანონის მეორე თავი ეხება საქართველოს მოქალაქეობის შექმნას (მუხ. 10—29), სადაც დეტალურადაა მოცემული მოქალაქეობის მიღების საფუძვლები, განსაკუთრებით სხვადასხვა ვითარებაში დაბადებულ ბავშვთათვის მოქალაქეობის მინიჭების წესები. აქვე გათვალისწინებულია საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობები (მუხ. 26) და მიღების განსაკუთრებული პირობები (მუხ. 27).

კანონი ითვალისწინებს მოქალაქეობის შეუცვლელობას საქართველოს მოქალაქისა უცხო სახელმწიფოს მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არ მქონე პირზე დაქორწინების ან განქორწინების შემთხვევაში (მუხ. 25), აგრეთვე საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებული პირის საქართველოს მოქალაქედ მიღების წესს (მუხ. 28). და საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის პირობებს (მუხ. 29).


კანონის მომდევნო თავებია „საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა“ „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი“. ბოლო თავი კი არის „დასკვნითი დებულებები“, რომელშიც უმთავრესად ლაპარაკია საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებსა და მათი გაცემის წესზე.

კანონში ხაზგასმულია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში მოქალაქეობის საკითხები წყდება მოცემული კანონით, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით და საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენებით (იხ. კანონის პრეამბულა, აგრეთვე კანონის მე-5 და 46-ე მუხლები).

სწორედ ამ მოთხოვნით მთავრდება დასახელებული კანონის ბოლო მუხლი, რომლის მიხედვითაც „თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, ამ კანონისაგან განსხვავებული წესებია დადგენილი, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები“.

კანონის მიღებიდან სამი თვის შემდეგ, კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტმა და 45-ე მუხლმა განიცადეს ცვლილებები, რისთვისაც საქართველოს პარლამენტს

⁵ „კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ და დადგენილება „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის სამომხდლოდ შემოღების თაობაზე“, იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1993 წლის 27 მარტი.



დასჭირდა 1993 წლის 24 ივნისს მიეღო კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ და დავახსიანეთ მისი ზოგიერთი ნიშანთვისება, არ შეიძლება აქ არ აღვნიშნოთ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეობის უფლებრივ მდგომარეობათა შესახებაც.

საქართველოს პარლამენტმა 1993 წლის 3 ივნისს დაამტკიცა კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა მიღებისთანავე, შედგება იგი 5 თავისა და 33 მუხლისაგან.

კანონის პირველი თავი ეთმობა „ზოგად დებულებებს“, აქ გათვალისწინებულია თუ ვის ეწოდება უცხო სახელმწიფოს მოქალაქე, ვის ეწოდება მოქალაქეობის არ მქონე პირი, აგრეთვე განსაზღვრულია უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის ძირითადი პრინციპები, რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები და დროებით მყოფ უცხოელთა მდგომარეობა, აგრეთვე თავშეფარების უფლების პირობები.

კანონის მომდევნო თავებია „საქართველოს რესპუბლიკაში მყოფ უცხოელთა ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობანი“ (მუხ. 7–22) „საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა შემოსვლა და გასვლა“ (მუხ. 23–27), „უცხოელთა პასუხისმგებლობა“ (მუხ. 28–31). და „დასკვნითი დებულებები“ (მუხ. 32–33)⁷.

ასევე არ შეიძლება თავი ავარიდოთ, „საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონს“. იგი პარლამენტმა მიიღო 1993 წლის 27 ივლისს, შედგება ოთხი თავისა და 19 მუხლისაგან. კანონი ძალაში შევიდა 1993 წლის 1 სექტემბრიდან.

დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის თაობაზე“, საქართველოს პარლამენტი ავალებს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაამტკიცოს დებულებები: საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის საკითხების განხილვა-გადაწყვეტის წესის შესახებ; საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრანტთა შემოსვლისა და საქართველოს რესპუბლიკიდან მათი გასვლის წესის შესახებ; იმიგრანტთა რეგისტრაციის წესის; იმიგრანტთა საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების წესის შესახებ; საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრანტთა ადაპტაციისათვის ხელშეწყობის შესახებ და საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის სტატისტიკის შესახებ⁸.


ასეთია განვლილ პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სახელმწიფო სამართლებრივი ხასიათის ძირითადი საკანონმდებლო აქტების საერთო დახასიათება.

ამ ხნის განმავლობაში პარლამენტმა მიიღო აგრეთვე: „კანონი სამხედრო სასამართლოების შესახებ“ (10/XII, 1992 წ.); „კანონი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ (22/XII 1992 წ.); „კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ (24/XII, 1992 წ.). „კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ (29/XII,

⁶ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1993 წლის 26 ივნისი.

⁷ „კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ და საქართველოს პარლამენტის დადგენილება „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1993 წლის 6 ივნისი.

⁸ „საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონი“ და საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის თაობაზე, იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წლის 6 აგვისტო.




1992 წ.), „კანონი სამხედრო მდგომარეობის შესახებ“ (24/XII, 1992 წ.). „კანონი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ“ (1/II, 1993 წ.). „კანონი საქართველოს, რესპუბლიკის კონტროლის პალატის შესახებ“ (13/IV, 1993 წ.); „კანონი სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ (29/IV, 1993 წ.); „კანონი საკუთრების უფლების შესახებ“ (27/VII, 1993 წ.); „კანონი ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ“ (27/VII, 1993 წ.) და სხვ. მათგან ზოგიერთი კანონი შეიცავს სახელმწიფო-სამართლებრივი ხასიათის ნორმებსაც (მაგალითად, კანონი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ, საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, რატიფიკაციის, შესრულების და დენონსაციის შესახებ, კანონი საკუთრების უფლების შესახებ და ა. შ.) მაგრამ ისინი ძირითადად სხვა რომელიმე სფეროს (ადმინისტრაციულ-სამართლებრივ, სამოქალაქო ან სხვა) ურთიერთობებს არეგულირებენ.

დღეისათვის იგრძნობა რესპუბლიკაში მრავალი საჭირო საკანონმდებლო აქტის უქონლობა, მაგრამ ჩვენ ამის გამო არ ვძრახავთ რესპუბლიკის პარლამენტს. შიდა თუ საგარეო რთული, გამწვავებული პირობების გამო რესპუბლიკის პარლამენტს არ გააჩნდა ნორმალური მუშაობის პირობები.

საქართველოს პარლამენტმა ეს-ეს არის აიღვა ფეხი, მის შემადგენლობაში დიდი წინააღმდეგობებია, რაც ადეკვატურია საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობებისა. ქვეყანას არ ასცდა საგანგებო წესების გამოცხადება (20/IX 1993 წ.) კომენდატის საათი (5/X—1993 წ.) ომი რუსეთის რეაქციული ძალებისა და გუდაუთის სეპარატისტების წინააღმდეგ, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა მიერ წამოწყებული ძმათა სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, საპარლამენტო პლენარული მუშაობის თვეობით შეწყვეტა და ა. შ. და მათ შორის ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი.

მიმდინარე ეტაპზე საპარლამენტო მუშაობა, მისი შუქ-ჩრდილები თავისებურად აისახება მომავალი ახალი კონსტიტუციის შედგენის, განსაკუთრებით კი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სტრუქტურისა და ფუნქციათა დადგენის საქმეზე.



ოთარ მელქაძე

კონსტიტუციის თავე საქართველოს კონსტიტუციონალიზმში


1. ქართულ იურიდიულ მეცნიერებას დღეს საქართველოს მომავალი აფიქრებს — მომავალი, რომელიც დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებელი მთელი საზოგადოების და განსაკუთრებით სახელმწიფოთმცოდნე იურისტების წინაშე უკვე ამ ეტაპზე მრავალი პრობლემის გადაწყვეტის რთულ ამოცანას აყენებს. მაგრამ სირთულე არა იმდენად პრობლემათა სიმრავლეშია, რამდენადაც მათ ერთობლიობაში, ვინაიდან ისინი ურთიერთდაკავშირებულ გააზრებასა და გადაწყვეტას საჭიროებენ.

მომავლის საქართველო სერიოზულ სახისცვალებას მოითხოვს — დაწყებული სახელმწიფო მოწყობისა და ეკონომიკური სისტემის მეცნიერულად არგუმენტირებული საფუძვლების დამუშავებით, დამთავრებული შესაბამისი სტრუქტურების კომპეტენციონალური და კონსტრუქციული პრინციპების განსაზღვრითა და რეალიზაციით.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, აუცილებელია კრიტიკულად შევაფასოთ საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში ყველაზე აქტიური უკანასკნელი წლების პერიოდი. ობიექტურად უნდა ითქვას, რომ მთელი ამ პროცესის ძირითადი ქრონოლოგიური მომენტები მეტწილად პოლიტიკური პოპულისმის ლოგიკისა იყო და არც შეიძლება ორგანულად შერწყმოდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესს.

დამოუკიდებლობაგამოცხადებული საქართველო თავისი ისტორიის ახალ ეტაპს 1978 წლის საბჭოური კონსტიტუციით შეუდგა. საქართველოს რესპუბლიკის იმჟამინდელმა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ — უზენაესმა საბჭომ გაუთავებელი და მთლიანობაში გაუაზრებელი, პოპულისმით გაფლენილი, ეპიზოდურ-ფრაგმენტალური შესწორება-დამატებებით საბჭოური კონსტიტუციის კემსვაში გალია თავისი ხანმოკლე „კანონშემოქმედებითი ღონისძიება“.

1992 წლის 21 თებერვალს (თარიღის სავანებო დამთხვევით) საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ თბილისის სპორტის სასახლეში მრავალათასიანი აუდიტორიის წინაშე პატარა პოლიტიკური სპექტაკლი გაითამაშა და მოხდა სამართლებრივი აბსურდი — მოქალაქეთა რაღაც საზეიმო კრების მსგავსმა თავყრილობამ მიიღო დეკლარაცია, რომლითაც გაუქმდა 1978 წლის კონსტიტუცია და აღდგენილ იქნა 1921 წლის 21 თებერვლის დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია. რეალურად ეს მისი ძირითადი პრინციპების აღიარებას მოასწავებდა მხოლოდ. პარლამენტარიზმის მსოფლიო გამოცდილებისა და რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მძიმე მოგონებად ჩაწერილი 70 წლიანი კატაკლიზმების გაუთვალისწინებლად, რომელმაც სერიოზულად უცვალა სახე საზოგადოებას, არ შეიძლება ვი ჩვენს დღევანდელ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ყოფას მორგებოდა.



ასეც მოხდა. ფაქტობრივად დამოუკიდებლობის გზას შემდგარი რესპუბლიკა კონსტიტუციური ვაკუუმის წინაშე აღმოჩნდა. ახლადარჩეულმა პარლამენტმა პირველ რიგში მიიღო კონსტიტუციური კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. მოგვიანებით, 1993 წლის 16 თებერვლის დადგენილებით საკონსტიტუციო კომისიაც შექმნა და ამოცანაც განუსაზღვრა — 1993 წლის ივნისამდე საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის კონცეფცია.

ჩვენი აზრით, მართებულად აღნიშნა პროფესორმა გ. ინწკირველმა თავის წერილში „ქართულ სახელმწიფოს — ეროვნული კონსტიტუცია“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წლის 20 თებერვალი), რომ პარლამენტის დადგენილებაში მოცემული ფორმულირება 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შესახებ პირობითია მომავალი კონსტიტუციის მიმართ და მას იმხანად არსებული პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით სწორედ პოლიტიკური დატვირთვა უფრო ჰქონდა, ვიდრე არსობრივი. ეს რომ ასე იყო, ამას პარლამენტის მიერ მანამდე და მას შემდეგ მიღებული კონსტიტუციური ხასიათის კანონმდებლობაც ადასტურებს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ახალ საქართველოს ახალი ძირითადი კანონი სჭირდება, რომელმაც ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სახეცვალებათა კონსტიტუციონალური საფუძვლები უნდა ჩამოაყალიბოს. ამდენად, ყველამ, პოლიტიკოსმაც და მეცნიერმაც, საქართველოს მომავალთან მიმართებაში უნდა გაითავისოს მიმდინარე მომენტის „სავანგებო მდგომარეობა“, თორემ ვშიშობ, რომ ედმუნდ ბიორკის თეზა — „სახელმწიფო, რომელსაც არ ძალუძს სახისცვალება, უუნაროა თავის შენარჩუნებისთვის“ — წინასწარმეტყველური აღმოჩნდეს ჩვენივე მეცადინეობით დასახიჩრებული საქართველოსთვის.

2. ზემოთ აღნიშნულ პრობლემათა სიმრავლეში ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციის კონსტიტუციონალური ბაზის განსაზღვრაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კონტროლის ორგანული ჩართვა სახელმწიფო მმართველობის მექანიზმში.

უკანასკნელ დრომდე მოქმედი კონსტიტუცია, რომელიც 1978 წლის 15 აპრილს იქნა მიღებული და უზენაესი საბჭოს მოღვაწეობის პერიოდში მრავალი ცვლილებები და დამატებები განიცადა, ფართოდ განიხილავდა კონტროლის თემას სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, თუმცა კონკრეტულად ჩამოყალიბებული მითითებები — „აკონტროლებს“, „ამოწმებს მათ შესრულებას“ — ნაკლებად გვხვდებოდა ტექსტში. უბრალოდ, კონსტიტუციის სტრუქტურის შიგნით სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ურთიერთქმედების კომპეტენციალურ ჩარჩოებში — ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის მოთხოვნები განსაზღვრავდნენ საკონტროლო სისტემის სტრუქტურას, ფუნქციონირების საზღვრებსა და საშუალებებს.

ქვემდგომის პასუხისმგებლობა თუ ანგარიშვალდებულება ზემდგომის მიმართ თავად გულისხმობს სუბიექტსა და ობიექტს შორის საკონტროლო-სახელმწიფო ურთიერთობას. კონსტიტუციაში ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად იყო გამოკვეთილი საშემსრულებლო კონტროლი — ადგილებზე შესრულების ორგანიზაციაზე მეთვალყურეობა, შესრულების მიმდინარეობაზე ზემდგომი ორგანოსა თუ საზოგადოებრიობის ინფორმირება, კანონიერებისა და ხელისუფლების აქტების შესრულების ფაქტური შემოწმება, თუ ამ საქმიანობის მექანიზმის ნორმატიული უზრუნველყოფა. ახლა, ნუ მოვეყვებით იმის განსჯას, თუ როგორი იყო მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი. სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის დაბალი ქმედითობა თავად დაბალი დისციპლინისა და საშემსრულებ-

ლო კონტროლის გარდა იმის შედეგი იყო, რომ შესაბამისი კანონმდებლობა ქვე-
ტურად ვითარდებოდა და არასისტემატიზირებულად განიხილავდა კონტროლს
სა და ზედამხედველობის თემას სახელმწიფო მმართველობის სისტემაში.

ყოფილი უზენაესი საბჭოს კანონშემოქმედებაში კონტროლისა და ზედამხე-
დველობის პრობლემატიკა სტრუქტურებისა და კომპეტენციის ჭრილში, როგორც
ჩვეულებრივ მის საერთო „მოღვაწეობას“ სჩვევოდა, ფრაგმენტარულად და ზმი-
რად პირადი კეთილდამოკიდებულების „არგუმენტებზე“ დაყრდნობით წყდებოდა.

პირველ შემთხვევაში ასე მოხდა, კონსტიტუციური ზედამხედველობის კო-
სტიტუციის შექმნის საბჭოური იდეა აისახა კონსტიტუციაში (რომელსაც ამოქმე-
დებაც არ ეწერა) და მეორე შემთხვევაში, როცა საბჭოურმა სახელმწიფო საარ-
ბიტრაჟო ორგანოებმა უზენაესი სასამართლოს გვერდით „უზენაესი საარბიტრა-
ჟო სასამართლოს“ რანგში დაიმკვიდრა ადგილი. ორივე საკითხი ისე „გადაწყდა“,
რომ არც პარლამენტარიზმის მსოფლიო გამოცდილება გაუთვალისწინებიათ, არც
სასამართლო ორგანოების სისტემის რეფორმის საკითხები გაუაზრებიათ საკონ-
სტიტუციო სასამართლოს შექმნისა და ქვეყნის სასამართლო ორგანოების სის-
ტემაში მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის თვალსაზრისით.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები ნაკლებად სცნობენ დავების არასასამარ-
თლო წესით გარჩევის პრაქტიკას. მაგრამ არა მგონია ჩვენეული საარბიტრაჟო
ორგანოების „გასამართლებამ“ როგორადმე უშველოს საქმეს. ამდენად, საფიქ-
რებელაა, რომ სასამართლო სისტემის მოსალოდნელი რეფორმა ამას გაითვალ-
ისწინებს. რაც შეეხება საკონსტიტუციო კონტროლს, საზღვარგარეთის უმრავ-
ლეს ქვეყნებში იგი საერთო ან სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოების
და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში — საკონსტიტუციო საბჭოს პრეროგატივაა.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის სრულყოფილი მექანიზმის შექმნა, ან
ინსტიტუტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ურთულესი ამოცანაა თვით ი-
ქვეყნებშიც კი, სადაც დემოკრატიული საფუძვლები და გარკვეული გამოცდილე-
ბაც არსებობს. სწორედ ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოს წინა-
შე მდგარი კონსტიტუციონალიზმის ამოცანებთან პირდაპირ კავშირში, ზემოთ
ხსენებული საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტის სამი სახეობიდან
— სწორი არჩევანი უნდა გაკეთდეს.

ჩვენი აზრით, საქართველოში არსებული მდგომარეობა — მხედველობაშ-
მაქვს პარლამენტარიზმის დაბალი კულტურა, კანონიერების დაცვის აგრეთვე
დაბალი დონე, ახალი კონსტიტუციის მოქმედებაში შესვლით მოსალოდნელი
სირთულეები, მათ შორის ზემოთხსენებული მიზეზების გათვალისწინებით, სწო-
რედ უფლებრივია თვალსაზრისით მაღალი საკონსტიტუციო სასამართლოს დაარ-
სების საჭიროების საკითხს აყენებს. მიგვაჩნია, რომ სწორედ მასზე უნდა შეჩერ-
დეს არჩევანი და არა კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტზე, როგორც
ეს გათვალისწინებული იყო 1978 წლის კონსტიტუციაში ყოფილი უზენაესი
საბჭოს მიერ შეტანილი დამატებით.

1921 წლის კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა საკონსტიტუციო ზედა-
მხედველობის რაიმე ინსტიტუტს (იმ დროისათვის ასეთი ნაკლებად იყო გავრ-
ცელებული საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო პრაქტიკაში). მართალია,
კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ გარდამავალი პერიოდის კონსტი-
ტუციური კანონია, მაგრამ არც იგი ითვალისწინებს (არც შეიძლება ითვალის-
წინებდეს) საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის საკითხს. თუმცა, ორივე
შემთხვევაში შეიძლება ამოვიკითხოთ მისი მომავალი საქმიანობის კონტურები
და განსაკუთრებით „კანონში“, რომლის მე-6 მუხლში ნათქვამია, რომ პარლამ-

მენტის „უზრუნველყოფის საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების, კანონებისა და სხვა აქტების შესაბამისობას საქართველოს რესპუბლიკის კანონებთან“. თუმცა საკონსტიტუციო ზედამხედველობის ობიექტთა წრე მხოლოდ ავტონომიებით არ შემოიხზაზღვრება, რა ცქმა უნდა, იგი გაცილებით სრული იქნება. სავარაუდოა, რომ კონსტიტუციურა სასამართლო თავის წილად მიიღებს კონსტიტუციური ზედამხედველობის კონსტიტუციის მთელ რიგ ფუნქციებს, რომლებიც 1978 წლის კონსტიტუციაში ყოფილი უზენაესი საბჭოს მიერ შეტანილ დამატებებშია ჩამოყალიბებული.

რაც შეეხება სახელმწიფო კონტროლის სისტემის და მის მოწესრიგების მიზნით მიმდინარე კანონმემოქმედებითი საქმიანობის ამჟამინდელ მდგომარეობას, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ არც იგი გამოირჩევა განსაკუთრებული მიზანმიმართულებითა და ორგანიზებულობით. მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი ცალკე, საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

3. ამჯერად ჩვენი მიზანია 1921 წლის კონსტიტუციისა და „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის ფარგლებში წარმოვაჩინოთ საქართველოს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში კონტროლის ორგანიზაციის კანონმდებლური კონტურები. მით უმეტეს, რომ ფორმალური ხიდი მათ შორის თავად კანონის პრეამბულიდანაა გადებული, რომელიც პირდაპირ მიუთითებს მისი ოქმელების პერიოდს — „ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, რაც განხორციელდება 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის შემკვიდრეობითობის საფუძველზე“.


საერთო ორივე შემთხვევაში ის არის, რომ საკონტროლო ფუნქცია სხვადასხვა ფორმითა და მოცულობითაა ჩაწერილი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში, რაც იმას ადასტურებს, რომ პარლამენტი აკონტროლებს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას, მინისტრთა კაბინეტი აკონტროლებს სახელმწიფო აპარატის, უპირველესად სამინისტროების, ხოლო უკანასკნელნი მათი ქვესაუწყებო ობიექტების საქმიანობას.

სახელმწიფო მმართველობის სისტემაში კონტროლის განხორციელების ზემოთ განხილულ ფუნქციონალურ ლოგიკაზე დაფუძნებული სქემა, რადა თქმა უნდა, შენარჩუნებული იქნება კონსტიტუციის „ახალ რედაქციაში“. მაგრამ სასურველია, რომ პარლამენტარიზმის მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინების კვლადაკვალ შენარჩუნებულ იქნას 1921 წლის კონსტიტუციის დამოკიდებულება დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის პროცესში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისადმი. საქმე იმაშია, რომ აქ 1978 წლის კონსტიტუციისა და „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონისაგან განსხვავებით, სახელმწიფო მმართველობაში კონტროლის ორგანიზაციას სამ მუხლიანი ცალკე თავი ემდგნებოდა. კერძოდ, ასეთია მერვე თავი — „სახელმწიფო კონტროლი“, რომლის შინაარსიც, საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იმ დროისათვის საკმაოდ ვრცლად განსაზღვრავდა სახელმწიფო კონტროლის საგანს, მის მთავარ სუბიექტს და სამართლებრივ საფუძველს:

მუხლი 91.

„სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება;
- ბ) სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი;
- გ) მთავრობის და სხვა უწყებების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში და
- დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები კანონის თანახმად.



სახელმწიფო კონტროლს ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. იგი ყოველწლიურად ანგარიშს უდგენს პარლამენტს.

მუსლი 93


„კონტროლის ორგანიზაცია და მოქმედების წესი განსაზღვრულია კანონით“. როგორც მოცემული მუხლებიდან ჩანს, კანონმდებელი სახელმწიფო კონტროლის ძირითად საგნად ქვეყნის საბიუჯეტო-საფინანსო სისტემას, ხოლო მის მთავარ სუბიექტად „სახელმწიფო კონტროლიორს“ მიიჩნევს. უკვე ამთავითვე ცხადია, რომ „ახალ რედაქციაში“ სახელმწიფო კონტროლიორის ფუნქცია პარლამენტის მომდინარე კანონმდებლობამ კონტროლის პალატის სტრუქტურას გასაკუთვნა, რომლის მიხედვით პარლამენტი სახელმწიფო მეთაურის წარდგინებით ნიშნავს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს და ამტკიცებს კონტროლის პალატის პრეზიდიუმს. ამასთან, კონტროლის პალატა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და თავისი საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიში წარუდგინოს მას.

რაც შეეხება 93-ე მუხლის შინაარსს, ჩვენის აზრით იგი შეიძლება ორგანოვნად იყოს გაგებული. პირველ შემთხვევაში, თუ ეს ბლანკეტური ნორმა ამჯერად უკვე კონტროლის პალატას შეეხება, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შესახებ“ განსაზღვრავს ამ სისტემის მოქმედების წესს და კონტროლის ორგანიზაციას. მეორე შემთხვევაში იგი გაცილებით ფართოდ უნდა გავივლით და ჩვენ სწორედ იმ აზრს ვუჭერთ მხარს, რომ უახლოეს მომავალში მისაღებია კანონი სახელმწიფო კონტროლის შესახებ, რომლის იურიდიულმა ძალამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო კონტროლის სუბიექტების შეკავშირება და სახელმწიფო კონტროლის სისტემური ჩამოყალიბება, რის გარეშეც, ელემენტარულად წარმოუდგენელია სახელმწიფო კონტროლის მაღალ ქმედითუნარიანობაზე საუბარი.

მთავარი დასკვნა ამ მცირე შედარებითი ანალიზიდან იმაში მდგომარეობს, რომ საკონსტიტუციო საბჭომ კონსტიტუციის „ახალი რედაქციის“ დამუშავებას დროს 1921 წლის კონსტიტუციის მემკვიდრეობითობა სწორედ სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციის ნაწილში უნდა დაიცვას.

4. შედარებითი ანალიზი საგულისხმო ინფორმაციას იძლევა აგრეთვე საპარლამენტო კონტროლის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელი უნდა იყოს საკონსტიტუციო საბჭოს მიერ.

პარლამენტი ახორციელებს რა უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას, ამასთან იგი „განსაზღვრავს საქართველოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობაზე“, — ნათქვამია „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონში (მ. 7). მთლიანობაში ასეთი აქცენტი მნიშვნელოვნად აფართოვებს პარლამენტის საკონტროლო მეთვალყურეობის სფეროს და ეს უფრო სრული რადიუსით შემოწერილი წრეა პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებისა, ვიდრე ამას 1921 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა, სადაც პარლამენტის უფლება კონცენტრირებული იყო აღმასრულებელი ხელისუფლების საერთო კონტროლზე (მ. 54).



კონტროლი პარლამენტის საქმიანობაში ორ ჭრილში უნდა განვიხილოთ: როგორცაა შიდა და გარე კონტროლი.

მიგვაჩნია, რომ სადღეისოდ შიდა კონტროლი არანაკლებ მნიშვნელოვანია უბანია პარლამენტის საქმიანობაში, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ იგი შესაბამისად არის ასახული პარლამენტის დროებით რეგლამენტში. სავარაუდოა, რომ რეგლამენტის ახალი ვარიანტი ერთგვარად გააძლიერებს პარლამენტის შიდა კონტროლის მექანიზმს, თორემ ამის გარეშე პარლამენტის მთელი საქმიანობა კინდება. სწორედ ამიტომ ჯერაც არ ამოქმედებულა „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონში ჩამოყალიბებული ნორმა იმის თაობაზე, რომ პარლამენტი უფლებამოსილებაა „პარლამენტის მიერ შექმნილი და არჩეული ორგანოების, აგრეთვე მის მიერ არჩეული, დანიშნული თუ დამტკიცებული თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენა“ (მუხლი 7, პუნქტი 6). რამდენადაც აღნიშნული ნორმა პარლამენტის მუდმივი თუ დროებითი კომისიების თავმჯდომარეებზეც და დამხმარე ორგანოების ხელმძღვანელებზეც ვრცელდება, მას შიდასაკონტროლო მნიშვნელობასაც ანიჭებს. ამავე დანიშნულებისაა კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული ნორმა იმის თაობაზე, რომ პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური „წელიწადში ერთხელ მაინც ან პარლამენტის მოთხოვნით პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ“.

გაცილებით მრავლისმომცველია პარლამენტის მიერ გარე კონტროლას განხორციელების სპექტრი, პირველ რიგში აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაზე. ამასთან დაკავშირებით 1921 წლის კონსტიტუცია შემდეგ ნორმებს ითვალისწინებს: მთავრობის მოვალეობაა „ანგარიში აძლიოს პარლამენტს თავისი მოქმედებებისა და წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ; წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა“ (მუხლი 72); ან კიდევ „მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, საერთო პოლიტიკისათვის, ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი“ (8. 73), ხოლო იქვე მთავრობის წევრებზე ნათქვამია, რომ „თვითთული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარ პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას“. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მუხლი 59, სადაც ნათქვამია, რომ „პარლამენტს უფლება აქვს დაინიშნოს საგამომიებო საანკეტო კომისია“, ხოლო „პარლამენტის წევრობა უფლება აქვთ მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა“.

კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კიდევ უფრო ამდიდრებს და აფართოვებს პარლამენტის საკონტროლო კომპეტენციის საზღვრებს.

პარლამენტის უფლებამოსილებაა „სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრთა კაბინეტის, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების აქტების გაუქმება, თუ ისინი არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კანონებს“ (მუხლი 7, პუნქტი 7); ხოლო პარლამენტის კომისიებს უფლება აქვთ თავიანთი გამგებლობის საკითხებზე მოსთხოვონ სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ორგანოებს და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს წარუდგინონ მათ დოკუმენტები, წერილობითი დასკვნები, საანგარიშო მონაცემები და სხვა საჭირო მასალები (მ. 11). ამასთან კანონის მე-8 მუხლი მთლიანობაში მოიცავს პარლამენტის მიერ განხორციელებადი საკადრო კონტროლის ფართო სპექტრს, რომელიც შეეხება არა მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოების ფორმირებას, არამედ სამართალდამცავი და სახელმწიფო მნიშვნელობის ზოგიერთი

სხვა უწყების ხელმძღვანელებისა, თუ კოლევიალური ორგანოების არჩევის, დანიშნვის და დამტკიცების საკითხს.

აქვე მე-10 მუხლში კვლავაც ხაზგასმულია 1921 წლის კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული პარლამენტის წევრის უფლება შეკითხვის წესით საკითხის დაყენების შესახებ (მ. 59). იმ განსხვავებით, რომ კანონთან ერთად მიღებული პარლამენტის დროებითი რეგლამენტი განსაზღვრავს ზეპირი და წერილობითი კითხვების განხილვის წესს და ინტერპელაციის წესით დასმულ კითხვაზე პასუხის განხილვის მექანიზმს, როცა პრემიერ-მინისტრისა თუ მინისტრთა კაბინეტის ცალკეული წევრის პასუხის მოსმენა მთავრდება რეზოლუციის მიღებით, რომელშიც შეიძლება დადგეს მოპასუხე ხელმძღვანელისადმი ნდობის საკითხი და თანამდებობიდან მისი (თუ მთელი კაბინეტის) გადადგომაც გამოიწვიოს.

5. აქვე იმ კონტურების შესახებ, რომლითაც 1921 წლის კონსტიტუცია და კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ მოიცავს კონტროლს სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში.

კონსტიტუციის მეხუთე თავი, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების საერთო უფლებებსა და მოვალეობებს განიხილავს, მისი საკონტროლო ფუნქციის განმსაზღვრელ ნორმებს აყალიბებს.

პირველ რიგში — ეს უფლებაცაა და მოვალეობაც, რამდენადაც მთავრობას ევალება „თვალყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა“ (მ. 72) და „მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მმართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილისა და მოვლენის კანონში აღნიშნული წესისამებრ“ (მ. 70).

მეორე რიგში — ეს ის ფუძემდებლური ნორმებია, რომლებიც განსაზღვრავენ მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობას კონტროლის სუბიექტისა და ობიექტების ფარგლებში, რომელიც ორ მუხლშია ფორმულირებული — „ადგილობრივი თვითმმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს“ (მ.104) და „მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ხოლო ვალდებული არიან საქმე დაუყოვნებლივ სასამართლოს გადასცენ“ (მ.103).

თავის მხრივ კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კონტროლის თემას ორ ჯგუფში განიხილავს. პირველი — ეს არის მინისტრთა კაბინეტის საკონტროლო ქვემდებარება პარლამენტის მიმართ. „მინისტრთა კაბინეტი, — ნათქვამია კანონის 23-ე მუხლში, — პასუხისმგებელია პარლამენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფო მეთაურის წინაშე და თავის საქმიანობის შესახებ წელიწადში ორჯერ მაინც ან პარლამენტის მოთხოვნით ანგარიშს აბარებს პარლამენტს“. სხვათა შორის, ეს ნორმა დროულად რომ არ ამოქმედდა, ამის მიზეზით მიიღო პარლამენტსა და ან უკვე ყოფილ მინისტრთა კაბინეტს შორის დავამ ხალხის თვალში ორივე მხრისთვის წამგებიანი დაპირისპირების სახე.

მეორე — ეს არის მინისტრთა კაბინეტის საკონტროლო უფლებამოსილება სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოების ქვემდგომი ობიექტების მიმართ. რაც იმაში გამოიხატება, რომ „მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების აქტების შესრულება. მინისტრთა კაბინეტს

უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და მათი საქვეუწყებო ორგანოების აქტები“ (მ. 28).

სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოების სისტემაში, რა თქმა უნდა, კონტროლის უმთავრესი სუბიექტი მინისტრთა კაბინეტია. 1921 წლის კონსტიტუციის და „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის ზემოთ მოტანილი ფუძემდებლურმა ნორმებმა კონკრეტული ასახვა პოვეს კანონში „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“, რომელიც მინისტრთა კაბინეტის მუშაობაში საკონტროლო საქმიანობის ორ მნიშვნელოვან მიმართულებას გამოჰყოფს.

პირველი — ეს არის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის შიგნით საკონტროლო საქმიანობის წარმმართველი ცენტრი, ვინაიდან სწორედ ამ მნიშვნელობისაა მასზე დაკისრებული — სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების და სახელმწიფო ინსპექციების საკონტროლო ფუნქციების ამოქმედების კონტროლის უფლება-მოვალეობა.

მეორე — ამ მიმართულებით მის საქმიანობაზე დამოკიდებული შესრულების შემოწმებისა და ორგანიზაციის დონე არა მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის აპარატში, არამედ, მთლიანად სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში.

მთლიანობაში ასე გვესახება „მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონში ჩაწერილი კონტროლის პრინციპების სტრუქტურა, რომელთა ამოქმედების წორმატიული ბაზის თვალსაზრისით აღნიშნული კანონი ბევრს არაფერს გვიბრუნებს. ასეთი განცხადების საფუძველს კი ის იძლევა, რომ კანონის 24-ე მუხლი, რომელიც ეძღვნება „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კონტროლს თავისი ორგანოების საქმიანობისადმი“, მიუხედავად კონტროლის ფორმებისა და საშუალებების მრავალფეროვნებისა, მეტად ყარიბ მექანიზმს გვთავაზობს და ისიც დეკლარაციული ფორმით. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ მინისტრთა კაბინეტი ახორციელებს კონტროლს რესპუბლიკის სამინისტროთა და მის საქვეუწყებო ორგანოთა მუშაობისადმი და რომ მას შეუძლია მოსთხოვოს ანგარიში ყველა მინისტრს, კომიტეტის თავმჯდომარეს და საქვეუწყებო ორგანოს ხელმძღვანელს. ამ მექანიზმის (თუ მაინც შეიძლება მას ასე ვუწოდოთ) სამართლებრივი რეგულირების „კონკრეტია“ ორ სხვადასხვა მუხლშია გაბნეული, სადაც აღნიშნულია, რომ მინისტრთა კაბინეტი განსაზღვრავს სამინისტროების, დეპარტამენტების და სხვა დაქვემდებარებულ ორგანოთა ფუნქციებს, კონტროლსა და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას (მ. 12) და კიდევ — „მინისტრთა კაბინეტის ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მოსამზადებლად, სათანადო წინადადებების შესამუშაველად, დადგენილებების, განკარგულებების, მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებების სისტემატურად შემოწმებისათვის მოქმედებს მინისტრთა კაბინეტის აპარატი“ (მ. 31). ამდენად, მნელად დასაჯერებელია, რომ მინისტრთა კაბინეტის მიერ კონტროლის განხორციელების ვარანტიებს აღნიშნული მუხლები იტვირთავენ.

6. ახლა უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კრიტიკულად შევაფასოთ ჩვენს რესპუბლიკაში არსებული საშემსრულებლო დისციპლინის დაბალი დონე, რომელიც კიდევ უფრო აღრმავეს სახელმწიფოს მმართველობაში დამკვიდრებულ ქაოსს. საკონსტიტუციო კომისიამ პარლამენტარიზმის მსოფლიო გამოცდილების ეტალონი ორგანულად უნდა მიუსადაგოს ჩვენში ჩასახულ ტენდენციებს, მათი აღკვეთისა თუ დამკვიდრების მიზნით.

წარსულის ფორმალურ-ეპიზოდური კონტროლისაგან განსხვავებით დღეს საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია ქმედითი კონტროლი დააწესოს კანონიერების დაცვაზე დარგებსა და რეგიონებში, ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაზე. ამ მიზნით სრულად უნდა ამოქმედდეს პარლამენტის შესაბამისი სტრუქტურები, მინისტრთა კაბინეტი, სახელმწიფო კონტროლის ორგანოები და მათი საშუალებების სრული არსენალი.

ხელისუფლების არჩევითი ორგანოების ქვემდებარე კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნა უდავოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის მასშტაბით დემოკრატიული ზაზის გაფართოებასა და კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებას. ამასთან, მთლიანობაში ეს სისტემა სერიოზულ გააზრებას საჭიროებს რესპუბლიკის საპარლამენტო მმართველობაში მოსალოდნელ გარდაქმნებთან კავშირში. წინა პლანზე გამოდის კანონიერების დაცვაზე კონტროლის განხორციელება აღმასრულებელი და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ, ვინაიდან სახელმწიფო მმართველობის ქმედითუნარიანობა უპირველესად მათი გადაწყვეტილებების ადგილებზე შესრულების სისტემატიურ შემოწმებაზეა დამოკიდებული.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო კონტროლის განხორციელების თვალთახედვით, საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია ის იურიდიული აქტია, რომელსაც ამ ნაწილში სწორედ „ახალი რედაქცია“ ესაჭიროება და საკონსტიტუციოს კომისიაც, აღნიშნული გამოცდილება-ტენდენციების ჩვენს ყოფაში დახერგვის მიზნით, ახალი კონსტიტუციის დამუშავების დროს მის პრინციპებზე უნდა იყოს ორიენტირებული და მიმდინარე კანონმდებლობაც ამ საერთო მოთხოვნების ჩარჩოებში უნდა ეწერებოდეს.



გიორგი ბოზსაძე

მოქალაქეობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები*

როგორც ცნობილია, 1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირი დაიშალა, ხოლო დღეისათვის მისი ყოფილი თხუთმეტივე რესპუბლიკა უკვე საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრია. მიუხედავად იმისა, რომ ყოველმა თანამეგობრობის წევრმა თავისთვის დამახასიათებელი, სპეციფიური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გააჩნია, მათი უმრავლესობა თითქმის ერთნაირია. ამგვარ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება მოქალაქეობაც.

სამართალმცოდნეები მოქალაქეობას განიხილავენ, როგორც განსაკუთრებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აღადგინსა და სახელმწიფოს შორის. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მოქალაქეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანსა და „მისი“ სახელმწიფოს ურთიერთობებით. მოქალაქეობა გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ადამიანისა და სხვა სახელმწიფოს, ასევე სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე.

საერთაშორისო სამართალი მოქალაქეობას მიაკუთვნებს ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო სამართლის სფეროს. ჰააგის 1930 წლის კონვენციაში ნათქვამია:

— „ყოველი სახელმწიფო თავისი კანონმდებლობის შესაბამისად თვითონ განსაზღვრავს ვინ არის მისი მოქალაქე...

— ნებისმიერი საკითხი, იმის შესახებ ფლობს თუ არა პირი კონკრეტულ სახელმწიფოს მოქალაქეობას, განისაზღვრება მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებში ჩამოყალიბებულია ის ნორმები და რეკომენდაციები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფოებმა მოქალაქეობის საკითხების გადაწყვეტისას.

აი, როგორაა ჩამოყალიბებული გაეროს დოკუმენტებში ზოგიერთი ძირითადი დებულება მოქალაქეობის შესახებ:

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.).

მუხლი 15.

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.

2. არავის შეუძლია ადამიანს თვითნებურად ჩამოართვას: მოქალაქეობა ან თავის მოქალაქეობის შეცვლის უფლება.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966 წ.).

მუხლი 12.

პუნქტი 2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება წავიდეს ყოველი ქვეყნიდან. მათ შორის საკუთარი ქვეყნიდან.

* ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მაგალითზე

პუნქტი 4. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოართვან უფლება ჩაე-
ღეს თავის საკუთარ ქვეყანაში.

მუხლი 24. პუნქტი 3

ითიოეულ ბავშვს აქვს მოქალაქეობის შეძენის უფლება.

მუხლი 25.

ითიოეულ მოქალაქეს... უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა, რომ დი-
სკრიმინაციისა და უმართებულო შეზღუდვათა გარეშე:

ა) მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში როგორც უშუალოდ,
ოსე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით;

ბ) მისცეს ხმა და არჩეული იქნეს ნამდვილ პერიოდულ არჩევნებში, რომ-
ლებაც ტარდება საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების საფუძვე-
ლზე ფარული კენჭისყრით და რომლებიც უზრუნველყოფს ამომრჩევლების ნე-
ბასურვალის თავისუფალ გამოვლინებას;

გ) თავის ქვეყანაში თანასწორობის საერთო პირობებით შეეძლოს სახელ-
მწიფო სამსახურში შესვლა.

**კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ
(1979 წ.).**

მუხლი 9.

1. წვერი სახელმწიფოები ქალებს თანაბრად მამაკაცებისა ანიჭებენ მოქა-
ლაქეობის შეძენის, შეცვლის ან შენარჩუნების უფლებებს. კერძოდ ისინი უზ-
რუნველყოფენ, რომ არც უცხოელზე დაქორწინება, არც ქმრის მოქალაქეობის
შეცვლა არ გამოიწვევს ცოლის მოქალაქეობის ავტომატურ შეცვლას, მის გა-
დაქცევას მოქალაქეობის არმქონე პირად და არ აიძულებს მას (ქალს) მიიღოს
ქმრის მოქალაქეობა.

2. წვერი-სახელმწიფოები ქალებს და მამაკაცებს ანიჭებენ თანაბარ უფ-
ლებებს მათ ბავშვთა მოქალაქეობის განსაზღვრაში.

კონვენცია მოქალაქეობის არქონის შემცირების შესახებ (1961 წ.).

მუხლი 1. ხელმომწერი სახელმწიფოები თავის მოქალაქეობას ანიჭებენ
ბათ ტერიტორიაზე დაბადებულ პირს, რომელიც სხვა შემთხვევაში მოქალაქეობის
გარეშე დარჩებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა სპეციფიური სიტუაცია, რაც
დაკავშირებული იყო მის ყოფილ რესპუბლიკებში მოქალაქეთა თავდაპირველ
ერთობლიობის (რაოდენობის) განსაზღვრასთან. საქმე იმაშია, რომ რესპუბლი-
კებს მოქალაქეთა თავდაპირველი ერთობლიობის განსაზღვრისას მხედველობაში
უნდა მიედოთ საერთაშორისო სამართლის არსებული პრინციპები. თავის
ღირსე, საერთაშორისო სამართლის აღნიშნულ სფეროში ორი პრინციპი მოქმე-
დებს, კერძოდ, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებს მო-
ქალაქეობის მინიჭებას ახლადშექმნილი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხო-
ვრები ყველა ადამიანისათვის, ხოლო სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის
პრინციპი არ ზღუდავს სახელმწიფოს „კოლექტიური ნატურალიზაციის“ კრი-
ტერიუმების დადგენაში, თუ სახელმწიფომ კი არ მოაპოვა, არამედ აღიდგინა
არასამართლებრივი გზით დაკარგული დამოუკიდებლობა. როგორც ზემოთაღნი-
შნულიდან ჩანს, საბჭოთა კავშირის რიგი ყოფილი რესპუბლიკების საერთაშო-

რისო სამართლის პოზიციებიდან თავისუფალნი იყვნენ მოქალაქეთა თავდაპირველი რაოდენობის განსაზღვრაში. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ოფიციალური წრეების და ოფიციალური პრეტენზიები ლიტვის, ესტონეთისა და ლატვიის მოქალაქეობის კანონების მიმართ სამართლებრივი თვალსაზრისით უსაფუძვლოა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაერო-ს ექსპერტთა შეფასებით, საბჭოთა კავშირის არცერთი ყოფილი რესპუბლიკის კანონი მოქალაქეობის შესახებ არ ატარებს ანტიდემოკრატიულ თუ ანტიჰუმანურ ხასიათს.

კანონები მოქალაქეობის შესახებ, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს მიღებული აქვთ ყოფილი საბჭოთა კავშირის უმეტეს რესპუბლიკებს. აღნიშნული კანონები ჯერ არ მიუღიათ აზერბაიჯანს, ტაჯიკეთს, ყირგიზეთს და სომხეთს.¹


აღსანიშნავია, რომ კანონები მოქალაქეობის შესახებ რესპუბლიკათა გარკვეულმა ნაწილმა (ლიტვამ, ლატვიამ, მოლდავეთმა, ბელორუსიამ, უკრაინამ, ყაზახეთმა) მიიღო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ოფიციალურ დამლამდე (1991 წლის 26 დეკემბრამდე). 5 ყოფილმა რესპუბლიკამ — საქართველომ, ესტონეთმა, თურქმენეთმა, უზბეკეთმა, რუსეთის ფედერაციამ აღნიშნული კანონები მიიღო მოგვიანებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლატვიამ და ესტონეთმა მიიღეს არა ახალი კანონები, არამედ აღადგინეს ამ სახელმწიფოებში აღრემოქმედი კანონები მოქალაქეობის შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც ვადასაწყვეტი აქვს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოპოვების ან აღდგენის შემდეგ, არის მის მოქალაქეთა თავდაპირველი ერთობლიობის ანუ — „კოლექტიურ ნატურალიზაციის“ ძირითადი კრიტერიუმის განსაზღვრა. საბჭოთა კავშირის ყოფილმა რესპუბლიკებმა სხვადასხვაგვარად გადაწყვიტეს ეს საკითხი. რესპუბლიკამ — რუსეთის ფედერაციამ, უკრაინამ, ბელორუსიამ, ყაზახეთმა, თურქმენეთმა და უზბეკეთმა „კოლექტიური ნატურალიზაცია“ განახორციელეს „იუსო ფაქტო“ არსებული სიტუაციის მიხედვით ე. ი. მოქალაქეობა მისცეს მატერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს. ამასთან, ამ სახელმწიფოს მოქალაქეობა შეიძლება უპირობოდ მიიღოს ნებისმიერმა პირმა, რომელიც ოდესმე ცხოვრობდა მათ ტერიტორიაზე, ხოლო რუსეთის მოქალაქეობის მიღება შეუძლოა საბჭოთა კავშირის ყოფილ მოქალაქეებსაც. საქართველომ ერთგვარად შეზღუდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებთა „სრული კოლექტიური ნატურალიზაცია“. როგორც ცნობილია, საქართველოს მოქალაქეები გახდნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოში არანაკლებ 5 წლისა და ამავე დროს — კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის. მოლდავეთმა პრიორიტეტი მიანიჭა იმ პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ მის ტერიტორიაზე 1940 წლის 28 ივნისამდე² და მათ შთამომავლებს, განურჩევლად იმისა ცხოვრობდნენ თუ არა ისინი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე კანონის მიღების დღისათვის. ამასთან, მოლდავეთის მოქალაქეობის მიღება შეეძლოთ იმ პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ რესპუბლიკაში მისი დამოუკიდებლობის

¹ აზერბაიჯანის სსრ და ტაჯიკეთის სსრ უზენაესმა საბჭოებმა მიიღეს შესაბამისად 1990 წ. 1991 წ. კანონები მოქალაქეობის შესახებ — ამ კანონებით გათვალისწინებულია, რომ აღნიშნული რესპუბლიკების მოქალაქეები იმავდროულად არიან სსრკ მოქალაქეები. ამდენად, ამ რესპუბლიკების კანონების განხილვა მიზანშეუწონელია.

² ამ დღეს მოხდა მოლდოვის ტერიტორიის ოკუპაცია საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ.




გამოცხადების დღემდე (1990 წლის 23 ივნისი), ჰქონდათ მუდმივი სამუშაო ადგილი ან შემოსავლის კანონიერი წყარო და მოქალაქეობის კანონის მიღებიდან 1 წლის განმავლობაში გამოთქვამდნენ მოლდავეთის მოქალაქეობის მიღების სურვილს. ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა მოქალაქეობა მიანიჭეს მხოლოდ მათ, ვინც ცხოვრობდა ამ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე 1940 წლამდე³ და მათ შთამომავლებს. პირებს, რომლებიც ჩასახლდნენ ამ სახელმწიფოებში 1940 წლის შემდეგ, მოქალაქეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ნატურალიზაციით. დღესდღეობით ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში შექმნილია უნიკალური სიტუაცია, იმ თვალსაზრისით, რომ მათ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია ამ სახელმწიფოთა მოქალაქეობა. ამ კატეგორიის ადამიანები ლიტვაში შეადგენენ მთელი მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტს, ლატვიაში — 25 პროცენტს, ესტონეთში — 30 პროცენტს.

განსახილველ ქვეყნებში, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, მოქალაქეობის შექმნა ხდება დაბადებით. დაბადებით მოქალაქეობის შექმნა ხდება სისხლის პრინციპით, ნიადაგის პრინციპით ან ერთდროულად ორივე პრინციპის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის ყოფილმა ყველა რესპუბლიკამ პრიორიტეტი მიანიჭა სისხლის პრინციპს რის საფუძველზეც, ბავშვი, რომლის ერთ მშობელს მაინც გააჩნია მოქალაქეობა, ხდება ამ სახელმწიფოს მოქალაქე. ამგვარი მიდგომა ტრადიციულია ძველი სამყაროს სახელმწიფოებისათვის, იმ დროს, როდესაც ახალ-სამყაროში (მაგ. აშშ, კანადა) თანაბრად გამოიყენება ზემოთ აღნიშნული ორივე პრინციპი. ყოფილ საბჭოთა კავშირში მოქალაქეობის შექმნისას ნიადაგის პრინციპი გამოიყენება მხოლოდ მოქალაქეობის არმქონე პირების ან უცნობ მშობელთა ბავშვების მიმართ. ერთადერთი მხოლოდ მოლდავეთი აღმოჩნდა ის სახელმწიფო, რომელიც მოქალაქეობას არ ანიჭებს აპატრიდების ბავშვებს, რომლებიც მის ტერიტორიაზე დაიბადნენ. ეს კი შეიძლება ჩაითვალოს იმ საერთაშორისო ნორმის დარღვევად, რომლის თანახმადაც სახელმწიფომ მოქალაქეობა უნდა უპირობოდ მისცეს მის ტერიტორიაზე დაბადებულ პირს, რომელიც სხვა შემთხვევაში მოქალაქეობის გარეშე დარჩება. ბავშვის მოქალაქეობასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო და იმავდროულად ჰუმანური სულისკვეთების დებულებას ვხვდებით რუსეთის ფედერაციის კანონში. ამ დებულების თანახმად რუსეთის ფედერაცია მოქალაქეობას აძლევს მის ტერიტორიაზე დაბადებულ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა ბავშვს, რომელიც ამა თუ იმ გარემოებათა გამო ვერ იძენს მისი მშობლების მოქალაქეობას.

მოქალაქეობის შექმნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და გავრცელებული ფორმაა მისი მიღება ნატურალიზაციის გზით. ამ ფორმით მოქალაქეობის შექმნა უხდებათ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს. რაც შეეხება დაბადებით მოქალაქეობის შექმნას იგი მსოფლიო ქვეყნებში ბეტნაკლებად ერთგვარად ხდება, ხოლო ანალოგიური პროცესები ნატურალიზაციის გზით გაცილებით უფრო მრავალგვარია. ყოველივე ეს, უპირველესად გამომდინარეობს ნატურალიზაციის პირობებიდან. ნატურალიზაციის პირობების განსაზღვრა კი მთლიანად სახელმწიფო სამართლის პრეროგატივაა, საერთაშორისო სამართალი ამ პროცესში — „არ ერევა“. არსებული პრაქტიკა, რომელიც დამკვიდრებულია მსოფლიოს ქვეყნებში, საშუალებას იძლევა გამოვყოთ ნატურალიზაციის ძირითადი მოთხოვნები. ესენია: ბინადრობის ცენზი; სახელმწიფო ენის, ქვეყნის კანონმდებლობის, ისტორიის ან გეოგრაფიის ცოდნა; მუდმივი სა-

³ 1940 წელს მოხდა ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის ოკუპაცია და ანექსია საბჭოთა კავშირის მიერ.



ქუშთ ადგილი ან კანონიერი შემოსავალი; სახელმწიფოსადმი ერთგულების ფიცის დადება. არსებობს ასევე სხვა მოთხოვნები: სამხედრო სამსახურის გავლა „კარგი ქცევა“ (პირი არ უნდა იყოს ნასამართლევი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის), „კარგი ჯანმრთელობა“ (იგულისხმება, რომ პირი არ არის ნარკომანი, ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ტოქსიკომანი და ა. შ.).

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დღევანდელი კანონმდებლობების ანალიზიდან ჩანს, რომ მათში ნატურალიზაციის პირობები ძირითადად ერთგვარია, თუმცა, არსებობს განსხვავებებიც. ნატურალიზაციის ყველაზე ლიბერალური პირობები დაწესებული აქვს რუსეთის ფედერაციას, ყველაზე მკაცრი კი — საქართველოს, ლიტვას, ლატვიას და მოლდავეთს.

ყველა სახელმწიფოს, რომელიც ადრე სსრკ-ში შედიოდა დაწესებული აქვს ბინადრობის ცენზი იმ პირებისათვის ვინც აპირებს მათი მოქალაქეობის მიღებას ნატურალიზაციის გზით. ბინადრობის ყველაზე დაბალი ცენზი შემოდებულნი აქვს ესტონეთს — 3 წელი, რუსეთის ფედერაციას — 3-დან 5 წლამდე, უკრაინას და უზბეკეთს — 5 წელი, ბელორუსიას და თურქმენეთს — 7 წელი, საქართველოს, ლიტვას, მოლდავეთს, ყაზახეთს — 10 წელი, ხოლო ლატვიას — 16 (!) წელი.

ნატურალიზაციით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების მიხედვით ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

— სახელმწიფო ენის ცოდნა: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, თურქმენეთი, მოლდავეთი, უკრაინა, ბელორუსია და საქართველო. მხოლოდ სამ ყოფილ რესპუბლიკაში (რუსეთის ფედერაცია, ყაზახეთი და უზბეკეთი) არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო ენის ცოდნა მოქალაქეობის მიღების მსურველთათვის (ცივილიზებული სამყაროს უმეტეს ქვეყნებში სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა, თუმცა მთელ რიგ ქვეყნებში (იტალია, შვეიცია, ნორვეგია, ბელგია) ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღებისათვის სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულო არ არის. საქართველო ერთადერთია ყოფილ სსრკ-ს რესპუბლიკებიდან, სადაც დაშვებულია ორი ენიდან (ქართული, აფხაზური) მხოლოდ ერთი ცოდნა. ამგვარ მიდგომას ადგილი აქვს იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც ორი ან მეტი მკვიდრი ერი ცხოვრობს. მაგ. დიდ ბრიტანეთში მოქალაქეობის მიღებისათვის ნატურალიზაციით აუცილებელია ინგლისურის, ვალიურის ან შოტლანდიურის (გელურის) ცოდნა, კანადაში — ფრანგულის ან ინგლისურის.

— კანონიერი შემოსავლის არსებობა: ყველა ყოფილ რესპუბლიკაში გარდა ყაზახეთის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოსი.

— სახელმწიფოსადმი ერთგულების ფიცის დადება ან დეკლარაციის გაკეთება: ყველა ყოფილი რესპუბლიკა, გარდა ბელორუსიის, ყაზახეთისა და რუსეთის ფედერაციის.

— „კარგი ქცევა“: რუსეთისა და ბელორუსიის გარდა, არცერთ ყოფილ სხვა რესპუბლიკაში პირი არ მიიღებს მოქალაქეობას თუ ნატურალიზაციის პერიოდში ნასამართლევი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოებში არსებობს მოქალაქეობის მიღების რეგლამენტირებული წესები, ყოველი მათგანის კანონმდებლობა ითვალისწინებს გამარტივებულ პროცედურასაც გარკვეული კატეგორიების ადამიანების მიმართ, უპირველეს ყოვლისა ეს ეხებათ იმ პირებს, რომლებიც დაქორწინდებიან ამ სახელმწიფოების მოქალაქეებზე. მოქალაქედ მიღების გამარტივებული პროცედურა გამოიყენება ასევე ყოფილი რესპუბლიკების (სახელმწიფოების) ყოფილი მოქალაქეების და მათი შთამომავლების მიმართ, გამონაკლისს ამ მხრივ ყოფილი სსრკ რესპუბლიკების კანონმდებლობიდან წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობა.




პირი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი დამსახურება კაცობრიობის ან კონკრეტული ქვეყნის წინაშე, მიიღებს ამ სახელმწიფოს მოქალაქეობას ნაწილობრივ რაღიზაციის პირობების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გათვალისწინების გარეშე. ამგვარი დებულება გამოიყენება ყოფილი სსრკ-ს მთელ ტერიტორიაზე ბელორუსიის გარდა, აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მხოლოდ ორ რესპუბლიკაში — ესტონეთსა და ბელორუსიაში მოქალაქედ მიღების გამართივებული პროცედურა გამოიყენება ეთნიკური ესტონელებისა და ეთნიკური ბელორუსების მიმართ.

დღესდღეობით დასავლეთის სახელმწიფოებში შეიმჩნევა ორმაგი ან მრავალმხრივი მოქალაქეობის არსებობის წახალისების ტენდენცია, თუმცა დაახლოებით 10 წლის წინ ადგილი ჰქონდა საპირისპირო ტენდენციებს. ამა თუ იმ სახელმწიფოს სრულწლოვანი ასაკის მოქალაქემ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა შეიძლება მიიღოს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების ან მოქალაქეობის შესახებ კანონის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ორმაგი მოქალაქეობა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე დაშვებულია ყოფილ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის კანონმდებლობით, ამ რესპუბლიკათა უმრავლესობაში ეს დებულება შეიძლება არ განხორციელდეს სხვადასხვა პოლიტიკური მოტივების გამო. სამაგიეროდ ეს დაშვებულია მოქალაქეობის შესახებ კანონის შესაბამისი მუხლებით ესტონეთში, ყაზახეთში და თურქმენეთში, იმ პირებს, რომლებმაც იძულებით დატოვეს ეს ქვეყნები და მიიღეს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, შეუძლიათ აღიდგინონ ყოფილი მოქალაქეობა ისე, რომ უარი არ განაცხადონ არსებულ მოქალაქეობაზე.


ნებისმიერ სახელმწიფოში მოქალაქეობის შექმნასთან ერთად მოქმედებს მისი შეწყვეტის ინსტიტუტიც. მოქალაქეობის შეწყვეტა ძირითადად დაკარგვის ან ჩამორთმევის საფუძველზე ხორციელდება, თუმცა შეიძლება მოქმედებდეს აღნიშნული ორივე პრინციპი, ცივილიზებული სამყაროს სახელმწიფოებში უკვე აღარ მიმართავენ მოქალაქეობის ჩამორთმევას, როგორც არაპუმანურ სამართლებრივ აქტს, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მხოლოდ ორში — ესტონეთსა და მოლდავეთში მოქმედებს მოქალაქეობის ჩამორთმევა. სსრკ-ის ყოფილ რესპუბლიკებში მოქალაქეობის შეწყვეტა ძირითადად 3 პრინციპის საფუძველზე ხდება. ეს პრინციპებია: უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებს ან შეიარაღებული ძალების სამსახურში შესვლა, მოქალაქეობის შექმნისას ყალბი საბუთების წარმოდგენა და გარკვეული დროის განმავლობაში ოფიციალური კონტაქტის დაკარგვა (საკუთარ) სახელმწიფოსთან. ზემოთაღნიშნული სამკვე პრინციპი მოქმედებს საქართველოში, ლიტვაში, მოლდავეთში, ბელორუსიაში.


თურქმენეთში, უკრაინაში და უზბეკეთში. ყაზახეთში გამოიყენება პირველი ორი პრინციპი, ხოლო რუსეთის ფედერაციაში მოქალაქეობის შეწყვეტა ხდება მხოლოდ მოქალაქეობის მიღებისათვის საჭირო საბუთების გაყალბების ფაქტის აღმოჩენის საფუძველზე, მოლდავეთში პირს მოქალაქეობა ჩამოერთმევა იმ შემთხვევაშიც, თუ დადასტურდა, რომ მან მონაწილეობა მიიღო ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში ან ჩაიდინა დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

ბოლოს განსაკუთრებულად გვსურს შევეხოთ საქართველოს რესპუბლიკის კანონს — „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. სპეციალისტები დამეთანხმებიან, რომ იგი შესრულებულია მაღალპროფესიულ დონეზე, ხოლო შედარებითი



ანალიზის საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ იგი გაცილებით სრულყოფილია, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ანალოგიური კანონების დიდი უმრავლესობა. განსაკუთრებულად უნდა გაესვას ზაზი იმ ფაქტს, როგორც კანონი სრულად ასახავს იმ მოთხოვნებს, რომელიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართალით. საქართველოს პარლამენტმა მიიღო მთელი რიგი კანონებისა, რომლებიც კავშირშია მოქალაქეობის საკითხებთან, კერძოდ, კანონები „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, — „ემიგრაციის შესახებ“, „ემიგრაციის შესახებ“, — „საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებით შემოსვლის, ყოფნის და გასვლის შესახებ“, ყოფილ სსრკ-ში ასეთი მანქანებელი მხოლოდ ბალტიის სახელმწიფოებს აქვთ. ზემოთქმულიდან გამომდინარე გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარლამენტი ჯერ არ შეერთებია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედ მხოლოდ ერთ საერთაშორისო ხელშეკრულებას. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ უახლოეს დროში საქართველოს პარლამენტი შეუერთდება ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებებს როგორცაა საერთაშორისო პაქტები: „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ და „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“, გაერო-ს კონვენციები: „აბატიდების სტატუსის შესახებ“, „მოქალაქეობის არქონის შემცირების შესახებ“, „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“, — „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ და სხვა.





საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისა და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის წესების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის შესახებ


საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის უფლება.

ეს უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს გარდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 2. კანონის დანიშნულება

საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისა და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის წესების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის დანიშნულებაა საერთაშორისო სამართლის საფუძველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქის უფლება დროებით დატოვოს თავისი ქვეყანა და თავისუფლად დაბრუნდეს უკან, განსაზღვროს საქართველოს მოქალაქეთა სხვა სახელმწიფოში დროებითი წასვლისა და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის წესი და პირობები, აგრეთვე დაარეგულიროს ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი სხვა ურთიერთობანი.

ეს კანონი არ არეგულირებს საქართველოს მოქალაქის საქართველოს რესპუბლიკიდან სამუდამოდ წასვლის (ემიგრაციის) წესს, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეთა დიპლომატიური ან სამსახურებრივი მიზნით მოგზაურობისა და შესაბამისი პასპორტების გაცემის წესს.



მუხლი 3. საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები

საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებია ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

მუხლი 4. საქართველოს მოქალაქის მიერ ქონების საზღვარგარეთ გატანის უფლება

საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დროებით გადის საქართველოს რესპუბლიკიდან, უფლება აქვს საზღვარგარეთ გაიტანოს ნებისმიერი მოძრავი ქონება, რომელიც მას აქვს საკუთრების უფლებით ან კანონიერ საფუძველზე გადაცემულია მის მფლობელობაში ან (და) სარგებლობაში, თუ ეს აკრძალული არ არის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

თავი II. საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისა და საქართველოს რესპუბლიკაში შიშისათვის საჭირო დოკუმენტები

მუხლი 5. საქართველოს მოქალაქის პასპორტი

საქართველოს მოქალაქეები საქართველოს რესპუბლიკიდან დროებით გადიან და საქართველოს რესპუბლიკაში შემოდიან პასპორტით, რომელსაც გაცემენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები.

პასპორტი ერთიანი ნიმუშისაა და ძალა აქვს საქართველოს რესპუბლიკიდან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გასვლისა და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისათვის.

პასპორტი საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილებაა.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, პასპორტის ნაცვლად შეიძლება გაიცეს მისი შემცვლელი დოკუმენტი.

საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაფორმებისა და გაცემის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 6. საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადა

საქართველოს მოქალაქის პასპორტს ძალა აქვს გაცემის დღიდან 5 წლის მანძილზე.

საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებით დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, ხოლო საქართველოში ყოფნისას — შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს.

მუხლი 7. შუამდგომლობა საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს საქართველოს სრულწლოვან და ქმედუნარიან მოქალაქეს. პასპორტის მისაღებად პირმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და სახელმწიფო ბაჟის ქვითარი.

საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობა დაინტერესებულ პირს შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით.

შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს ყველა ის მონაცემი, რომლებიც შეიტანება პასპორტში.

შუამდგომლობას უნდა დაერთოს სანოტარო ან მასთან გათანაბრებული წესით დამოწმებული შემდეგი საბუთები:

1. თუ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს თან მიჰყვებიან 14-დან 18-წლამდე არასრულწლოვანი ბავშვები, — მათი წერილობითი თანხმობა კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად გამგზავრებაზე.

2. თუ შუამდგომლობის აღმძვრელ კანონიერ წარმომადგენელს თან მიჰყვებიან არასრულწლოვანი ბავშვები, ხოლო მეორე კანონიერი წარმომადგენელი რჩება საქართველოში, — ამ უკანასკნელის თანხმობა არასრულწლოვანი ბავშვების საქართველოს რესპუბლიკიდან დროებით გასვლაზე.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკიდან არასრულწლოვანი ბავშვების და ქმედუნარო პირების დროებითი გასვლა

დაუშვებელია საქართველოს რესპუბლიკიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ბავშვის, აგრეთვე ქმედუნარო პირის დროებითი გასვლა მისი კანონიერი წარმომადგენლის უნებართვოდ და სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის თანხლების გარეშე.

16-დან 18-წლამდე არასრულწლოვანის, თუ იგი არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის საჭიროა მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

არასრულწლოვანს, აგრეთვე ქმედუნარო პირს, რომელიც საზღვარგარეთ დროებით მიემგზავრება კანონიერი წარმომადგენლის თანხლების გარეშე, ამ უკანასკნელთა შუამდგომლობის საფუძველზე მიეცემა პასპორტი.

არასრულწლოვანი ბავშვის ან ქმედუნარო პირის საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის საკითხზე კანონიერ წარმომადგენელთა შეუცანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის ვადა

საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობა განხილდება ერთი თვის ვადაში ყველა საჭირო

საბუთის წარდგენის დღიდან, ხოლო თუ დროებითი გასვლა დაკავშირებულია კორწინებასთან, მკურნალობასთან, ახლო ნათესავის მძიმე ავადმყოფობასთან ან გარდაცვალებასთან, მემკვიდრეობასთან, საქართველოს მოქალაქის საზღვარგარეთ სასამართლო პროცესში მონაწილეობასთან ან სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან, — 3 დღის ვადაში.

მუხლი 10. საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის უფლების შეზღუდვის საფუძვლები

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე ან პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აგრეთვე საზღვრის გადაკვეთაზე იმ შემთხვევაში, თუ:

1. მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;
2. არ მოუხდია სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული სასჯელი;
3. მის მიმართ აღძრულია სამოქალაქო სამართლის სარჩელი;
4. შეუსრულებელი აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება;
5. წარმოადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს;
6. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და უწყებების მონაცემები საქართველოს მოქალაქის საქართველოს რესპუბლიკიდან დროებით გასვლასთან დაკავშირებით

საქართველოს მოქალაქის საქართველოს რესპუბლიკიდან დროებით გასვლასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად სახელმწიფო ორგანოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და უწყებები ვალდებული არიან წარმოადგინონ ამ კანონის მე-10 მუხლში მითითებულ გარემოებათა დამადასტურებელი მონაცემები.

მუხლი 12. სახელმწიფო ბაჟი

საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ოდენობითა და წესით.

მუხლი 13. საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემაზე, პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებასა და საზღვრის გადაკვეთაზე უარის თქმის განაჩივრება

დაინტერესებულ პირს, რომელსაც უარი ეთქვა საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემაზე, პასპორტის მოქმედე-

ბის ვადის გაგრძელებაზე, საზღვრის გადაკვეთაზე, უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება, გარდა ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის განმეორებითი განხილვა

დაინტერესებულ პირს, რომელსაც უარი ეთქვა პასპორტის გაცემაზე, ამავე საკითხზე შუამდგომლობის ხელმეორედ წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც მას უარი ეთქვა პასპორტის გაცემაზე.

მუხლი 15. საქართველოს რესპუბლიკიდან საზღვრის გადაკვეთისათვის საეკონომიკური დოკუმენტები

საქართველოს მოქალაქეები საქართველოს რესპუბლიკიდან საზღვრის გადაკვეთისას გადაიან საპასპორტო კონტროლს და პასპორტში ან მის შემცველ დოკუმენტში აღინიშნება საზღვრის გადაკვეთის თარიღი.

საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისას საზღვრის გადასაკვეთად მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმ სახელმწიფოში შესასვლელი ვიზა, სადაც უშუალოდ მიემგზავრება.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლა შესაძლებელია უვიზოდაც.

მუხლი 16. საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლა


საქართველოს მოქალაქეს ნებისმიერ დროს უფლება აქვს შემოვიდეს საქართველოს რესპუბლიკაში, რისთვისაც ნებართვა არ სჭირდება.

თავი III. საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლის უფლების რეგულირების განსაკუთრებული უპირობო

მუხლი 17. საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლის შეზღუდვა მოქალაქეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით

სხვა სახელმწიფოში საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეუზღუდოს ამ ქვეყანაში გასვლა გარკვეული ვადით. მინისტრთა კაბინეტის დადგენილება ასეთი შეზღუდვის შემოღებისა და გაუქმების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს.

**მუხლი 18. საქართველოს რესპუბლიკიდან სამხედრო მოსამსახურეების
გასვლა**



საქართველოს რესპუბლიკიდან დროებით გასული საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც კანონის შესაბამისად ექვემდებარებიან ნამდვილი ვადიანი სახედრო სამსახურის გავლას, გაწვევის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე ვალდებული არიან დაუყოვნებლივ ჩამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკაში ვადიანი სამხედრო სამსახურის გასაველად. ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები და ოფიცერთა შემადგენლობის პირები პირად საქმეებზე საქართველოს რესპუბლიკიდან მიემგზავრებიან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით გაფორმებული ნებართვით.

საქართველოს რესპუბლიკაში საომარი მდგომარეობის, ომის გამოცხადების ან საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს შეზღუდოს წვევამდელთა, რეზერვისტთა და სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლა.

მინისტრთა კაბინეტის დადგენილება ასეთ შეზღუდვათა შემოღებისა და გაუქმების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
სახელმწიფოს მეთაური **ილუარდ შივარდნაძე**

საქართველოს პარლამენტის
სპიკერი **პასტანა პოპუაძე**

თბილისი, 1993 წლის 7 დეკემბერი.

პურაბ ნაჭყეზია

დავინებათ იურიდიული აზროვნების წესი

ჟურნალ „სამართლის“ ფურცლებზე (1993, № 5–6) გამოქვეყნდა ავთანდილ კახნიაშვილის სტატია, რომელშიც ავტორი ცდილობს უკუაგდოს ტერმინი „არაბრალეულობის პრეზუმფცია“, როგორც ეს გადაწყვეტილია ჩვენს ერთ-ერთ სტატიაში (იხ. გ. ნაჭყეზია, დანაშაულის შემადგენლობა როგორც არაბრალეულობის პრეზუმფციის საფუძველი, „სამართალი“, 1992, № 8-9) და კვლავ ძალაში დატოვოს ტერმინი — „დანაშაულობის პრეზუმფცია“, როგორც ეს გავრცელებულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.

ჭეშმარიტი მეცნიერული დისკუსია უადრესად სასარგებლოა, მაგრამ ამისათვის საჭიროა კამათის საგნისა და მისი შესატყვისი არგუმენტაციის ბოლომდე თანმიმდევრული გააზრება. სამწუხაროდ, ა. კახნიაშვილი გაუტაცნია წმინდა ტერმინოლოგიურ ძიებებს, ხსენებულ ტერმინთა რუსულ-ქართული შესატყვისების კომენტარს, მაშინ, როდესაც საჭირო იყო ჩვენი ძირითადი არგუმენტების განხილვა. რაკი ავტორმა ეს არ გააკეთა, მათ ხელახლა გადმოცემას აზრი არა აქვს. ამიტომ მოკლედ შევეხებით ზოგიერთ საკითხს, რათა ამ საკითხებზე მომავალი გაუგებრობა თავიდან იქნეს აცილებული.

1. ავტორი ამტკიცებს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში რუსულიდან არის კალკირებული (გვ.51). ავტორს ძირითადად მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ რუსულ ენაზე ტერმინი „უდანაშაულო“ მოუხერხებელია. ამიტომაც იყენებენ ტერმინს „ნევი-ნოვნი“, რაც ქართულად „უდანაშაულოს“ უნდა ნიშნავდეს და არა „არაბრალეულს“. ჩვენი აზრით, აქ უმთავრესია არა ენობრივი სპეციფიკა, არამედ **იურიდიული აზროვნების წესი**, რომელიც შესატყვისი ლოგიკურ ფორმებს (ტერმინებს, ცნებებს, კატეგორიებს) მოითხოვს. მართლაც, არის თუ არა იურიდიული აზროვნების წესი დამოკიდებული რომელიმე ენის სპეციფიკაზე? რა თქმა უნდა, არა, ვინაიდან იურიდიული აზროვნების წესი ზოგადია და ენობრივ სპეციფიკას არ ემორჩილება. ამდენად, საკითხი ასე უნდა დაისვას, არის თუ არა „უდანაშაულო“ იურიდიული ტერმინი? უფრო დაკვირვებული ანალიზი ავტორს მიიყვანდა დასკვნამდე, რომ ხსენებული ტერმინი იურიდიული ტერმინი არ არის. ამის საბუთად ჩვენ მოგვყავდა ტერმინი „დამნაშავე“, რომელსაც იურიდიულ ტერმინად ასაღებენ, მაშინ, როდესაც ის არაიურიდიული ტერმინია (გვ. 39), ხოლო ავტორი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე წერს, რომ „დამნაშავე“ საუბრებით მისაღები იურიდიული ცნება და ტერმინია (გვ. 48). წმინდა იურიდიული თვალსაზრისით დამნაშავედ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის პირი, რომლის მიმართ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა. ამ პირს კი იურიდიულად ეწოდება „მსჯავრდებული“, როგორც მისი სამართლებრივი მდგომარეობის გამომხატველი ცნება, და არა „დამნაშავე“.

ეინაიდან მოსამართლეთა შეცდომის ან ბოროტმოქმედების წყალობით მსჯავრდებული შეიძლება გახდეს ის პირი, რომელსაც არავითარი დანაშაული არ ჰქონდა. მაშასადამე, იურიდიულად მსჯავრდებული ფაქტობრივად შეიძლება უდანაშაულო აღმოჩნდეს. ეს იმას ადასტურებს, რომ ტერმინი „დამნაშავე“ გამოხატავს ფაქტობრივ ვითარებას, სახელდობრ იმას, რომ ესა თუ ის პირი ნამდვილად, ფაქტობრივად, დამნაშავეა, ან პირიქით, არ არის დამნაშავე, უდანაშაულოა. ამდენად, ტერმინი „უდანაშაულო“ იურიდიული ტერმინი არ არის, ის მხოლოდ ფაქტის აღმნიშვნელი ტერმინია. უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ აქ საქმე ეხება „ფაქტობრივისა“ და „იურიდიულის“ არსებით განსხვავებას. „მსჯავრდებული“ იურიდიული აზროვნების ერთ-ერთი ლოგიკური ფორმაა, მაშინ, როდესაც „დამნაშავე“ ფაქტის მეცნიერებაში დამკვიდრებული აზროვნების პროდუქტია. ამდენად, „დამნაშავე“, რაკი მას იურიდიულ ტერმინად ასაღებენ, სოციოლოგისტური ტენდენციის გამომხატველია, **სოციოლოგიზმია** იურიდიულ აზროვნებაში, როცა იურიდიული აზროვნების წესი სოციოლოგიური აზროვნების წესითაა შეცვლილი.

ამრიგად, ტერმინი „დამნაშავე“ („უდანაშაულო“) იურიდიული ტერმინი არ არის, პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ გამოხატავს. ამის გამო ბუნებრივია, ტერმინი „უდანაშაულო“, როგორც არაიურიდიული ტერმინი, იურიდიული მნიშვნელობის პრეზუმფციას ვერ დააფუძნებს. სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით **არაბრალეულია** მანამ, სანამ სასამართლო წესით პირი არ გახდება მსჯავრდებული. მაშასადამე, ტერმინი „არაბრალეული“ რუსულიდან კი არ არის კალკირებული, როგორც ამას ავტორი ამტკიცებს, არამედ გამოხატავს პირის ობიექტურ სამართლებრივ მდგომარეობას. „არაბრალეული“ ზოგადი იურიდიული ტერმინია, რომელიც იურიდიული აზროვნების წესითაა პირობადებული. ამიტომ აქ ენობრივი სპეციფიკა გადამწყვეტ როლს არ თამაშობს.

2. უმთავრესი, რამაც ლოგიკურად და იურიდიულად მოითხოვა ტერმინი „არაბრალეულობის პრეზუმფცია“, სამწუხაროდ, ავტორს საერთოდ არ მიუღია მხედველობაში. ესაა დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარისა და ბრალის მიმართების პრობლემა. მართლაც, იმ თეორიაში, სადაც ბრალი გაიტანეს დანაშაულის შემადგენლობის გარეთ, იძულებული გახდნენ დანაშაულის შემადგენლობა გაეგოთ როგორც წმინდა ობიექტური ნიშნების ერთობლიობა (მაგალითად, ე. ბელინგი), რაც გაუგებარს ხდის დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს და საფრთხეში აყენებს დანაშაულის შემადგენლობის ცნებას. იმ თეორიაში, სადაც ბრალი დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურაში იგულისხმეს, იძულებული გახდნენ ბრალი გაეგოთ როგორც მხოლოდ წმინდა ფსიქიკური დამოკიდებულება, როგორც ეს ა. კახნიაშვილსაც აქვს გაგებული (გვ. 48). ესაა ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური გაგება, მაშინ, როდესაც ფსიქოლოგიაში ბრალის ცნება არ არსებობს. ესაა **ფსიქოლოგიზმი**, როგორც იურიდიულ აზროვნებაში ფსიქოლოგისტური ტენდენციის შემოჭრა. მაგრამ ეს ფსიქოლოგიზმი პრაქტიკულ შედეგებსაც იწვევს: განზრახვისა და გაუფრთხილებლობის წმინდა ფსიქოლოგიურ სტრუქტურას წინასწარი გამოძიებაც ადგენს ხოლმე. ხოლო თუ ბრალი სხვა არაფერია, თუ არა განზრახვა და გაუფრთხილებლობა. მაშინ გამოდის, რომ პირის ბრალეულობას ადგენს წინასწარი გამოძიება. ა. კახნიაშვილიც ამ დასკვნას აკეთებს, ოღონდ უმატებს: წინასწარი გამოძიება პირის თვლის ბრალეულად, მაგრამ ვალდებულია ჩათვალოს იგი უდანაშაულოდ (გვ. 54).



ავტორის ეს დასკვნა საეჭვოა მრავალი თვალსაზრისით. უმთავრესი მაინც ისაა, რომ ჯერ — ერთი, ბრალის ცნება განზრახვასა და გაუფრთხილებლობას არ დაიყვანება. შემთხვევითი არ არის, რომ მრავალი კრიმინალისტი ბრალის ცნებას **გასაკიცხოების** ცნებას უკავშირებს, ე. ი. განსაზღვრულ უარყოფით შეფასებას. ამ ლოგიკით კი ბრალი დანაშაულის შემადგენლობის, როგორც ფაქტის მსჯელობის, სტრუქტურაში შეუძლებელია. დანაშაულის შემადგენლობის, როგორც ფაქტის მსჯელობის, სტრუქტურაში იგულისხმება სუბიექტურა მხარე (მოტივი, მიზანი, განზრახვა, გაუფრთხილებლობა), ხოლო არის თუ არა ქმედობისა და მისი შედეგებისადმი ეს ფსიქიკური დამოკიდებულება გასაკიცხი, ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებაში უშუალოდ არ ჩანს და იგი მხოლოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს. მით უმეტეს, რომ სახელმწიფოს სახელით პირის გაკიცხვის უფლება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს ენიჭება. მეორეც, ავტორს მხედველობიდან რჩება **სასამართლო შეფასების** მთელი თავისებურება, **მართლმსაჯულების ფუნქციონალური დანიშნულება**. რეტროსპექტული (ნეგატიური) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბუნებრივად მოითხოვს ბრალეულობის დადგენას, რაც მხოლოდ სასამართლოს ფუნქციაა: სახელმწიფოს წინაშე რეტროსპექტული პასუხისმგებლობის დადგენა სასამართლოს უფლება-მოვალეობაა.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარისა და ბრალის მიმართების პრობლემა ბუნებრივად მოითხოვს ხოლმე ტერმინ „არაბრალეულობას“, ვინაიდან პირის ქმედობაში განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური სტრუქტურის დადგენა ჯერ კიდევ არ უდრის ბრალის დადგენას: ვიდრე დადგენილი არ არის, რომ ხსენებული ფორმები ფსიქიკური დამოკიდებულებისა გამოხატავენ პირის **გასაკიცხოებას**, იგი **არაბრალეულია**. ცხადია, დანაშაული ბრალის გარეშე არ არსებობს, მაგრამ დანაშულია თუ არაქმედობა, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მხოლოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობის და მისადმი (მისი შედეგებისადმი) გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულების დადგენის საფუძველზე.

3. ავტორი ტერმინ „არაბრალეულობას“ საერთოდ უარყოფს. იგი ასკვნის, რომ როგორც სისხლის სამართლის პროცესში, ისე სამოქალაქო სამართლის პროცესში „არაბრალეულობის პრეზუმფცია“ არ მოქმედებს (კვ. 56). ავტორს მხედველობაში აქვს: სამოქალაქო სამართალში ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის. ამ შემთხვევაში მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია. მაგრამ სამოქალაქო სამართალში გამონაკლისის სახით მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფციაც, როდესაც მტკიცების ტვირთი თავად სამართალდამრღვევს არ ეკისრება. მაგალითად, ანგარებითი სამართალდარღვევის ან ზოგიერთი გარიგების ბათილობისას მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფცია, რაკი მტკიცების ტვირთი თავად სამართალდამრღვევს არ ეკისრება. გარდა ამისა, სარკინიგზო გადაზიდვისას რკინიგზა თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ტვირთის დაკარგვის, გაფუჭების ან დაზიანებისათვის, თუ პრეტენზიის ან სარჩელის წარმომდგენი რკინიგზის ბრალს ვერ დაამტკიცებს. მასშასადამე, ვიდრე მოსარჩლე ან პრეტენზიის წარმომდგენი რკინიგზის ბრალს არ დაამტკიცებს, რკინიგზა არაბრალეულია.

ამრიგად, სამოქალაქო სამართალში, როგორც წესი, მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია, ხოლო გამონაკლისის სახით მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფციაც.



4. არაბრალეულობის პრეზუმფცია მოქმედებს შრომის სამართალშიც. ერთიანი სახელმწიფო სისტემის პრინციპების დაცვას უზრუნველყოფს შრომის სამართლებრივ ურთიერთობებში საერთო წესადაა დადგენილი“ (ლ. ადემივილი, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობა, თბილისი, 1985, გვ. 47). მართალია, ავტორი ამ მხრივ გამოაკლისებსაც ასახელებს, მაგრამ ამჯერად ეს არ გვაინტერესებს.

5. არაბრალეულობის პრეზუმფცია მოქმედებს ადმინისტრაციული სამართლის პროცესშიც, რადგან მტკიცების ტვირთი ეკისრება არა სამართალდამრღვევს, არამედ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, ერთპიროვნულ მოსამართლეს, ზოგჯერ კი სასამართლოსაც.

ამრიგად, სამოქალაქო სამართლის პროცესში გამოაკლისის სახით, შრომის სამართალში ზოგადი წესისამებრ და ადმინისტრაციული სამართლის პროცესში მოქმედებს სწორედ არაბრალეულობის პრეზუმფცია. ცხადია, სამართლის ამ დარგებში „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ შეუძლებელია, რაკი დანაშაულის ცნება მხოლოდ სისხლის სამართლის ცნებაა. დანაშაულის ნორმატული ცნებიდან კი არ შეიძლება „დამნაშაის“, როგორც ტერმინის, ლოგიკური გამოყვანა, ვინაიდან სისხლის სამართალი ქმედობის სამართალია, ხოლო დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს არა სისხლის სამართალი, არამედ სისხლის სამართლის პროცესი (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსახილველი, მსჯავრდებული). სისხლის სამართალში დანაშაულის შემადგენლობის განმარტაციელებელ პირს არავითარი სამართლებრივი სახელი არ ჰქვია. ბუნებრივია, არც „უდანაშაულო“ სამართლებრივი ცნება. ამიტომ სისხლის სამართლის პროცესშიც უნდა ვიყენებდეთ ტერმინ „არაბრალეულობის პრეზუმფციას“ და არა „უდანაშაულობის პრეზუმფციას“, როგორც ამას ა. კახნიაშვილი დაჟინებით ამტკიცებს.

6. როგორც ჩანს, არაბრალეულობის პრეზუმფცია საერთო სამართლის მრავალი დარგისათვის, სადაც მტკიცების ტვირთი თავად სამართალდამრღვევს არ ეკისრება. ეს, ვფიქრობთ, გაპირობებულია პასუხისმგებლობის თავისებურებით. არ არის შემთხვევითი, რომ პასუხისმგებლობის ფილოსოფიური კატეგორია „ბრალის“ კატეგორიას ბუნებრივად მოითხოვს. სამწუხაროდ, საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაში სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ყალბად გაგების გამო ყალბად იქნა გაგებული პასუხისმგებლობის პრობლემაც. ამ სიყალბემ არაერთი ლოგიკური წინააღმდეგობა შექმნა, განსაკუთრებით არაბრალეულობის პრეზუმფციის თვალსაზრისით. ამ საკითხს ჩვენ ნაწილობრივ შევეხეთ სტატიაში (იხ. ვ. ნაჭყებია, გაგების მეთოდის ზოგიერთი ასპექტი სისხლის სამართლის მეცნიერებაში, „საბჭოთა სამართალი“, 1989, № 10), საიდანაც ა. კახნიაშვილს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოაქვს ცალკეული დებულებანი იმის საჩვენებლად, თუ რა არამართებულად გვესმის ჩვენ არაბრალეულობის პრეზუმფცია და ამის გამო თუ რა წინააღმდეგობებს ვაწყდებით თურმე (გვ. 54).

საქმე ისაა, რომ საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაში თითქმის გაბატონდა მოსაზრება, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დამაშაულის ჩადენის მომენტიდან წარმოიშობა. არაბრალეულობის პრეზუმფციის მიხედვით კი ეს შეუძლებელია. თუ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის მომენტიდან წარმოიშობა, მაშინ სისხლის სამართალში უნდა მოქმედებდეს სწორედ ბრალეულობის პრეზუმფცია, ე. ი. პირი ბრალეულად ჯნდა ითვლებოდეს მანამ, სანამ არ დამტკიცდება მისი არაბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში. სისხლის სამართლის პროცესში კი არაბრალეულობის პრეზუმფცია სადავო არ არის. აქედან ჩვენ ავაგეთ ლოგიკური მსჯელობა: თუ სისხლის

სამართალში მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია, ხოლო სისხლის სამართლის პროცესში — არაბრალეულობის პრეზუმფცია, მაშინ როგორა შესაძლებელი სამართლის ამ დარგთა კავშირი? ეს იყო ლოგიკური ხერხი, რათა გვეჩვენებინა ამ მიმართებით საბჭოურ სისხლის სამართალში შექმნილი წინააღმდეგობა. სამწუხაროდ, ეს წინააღმდეგობა ა. კახნიაშვილს ჩვენს საკუთარ წინააღმდეგობად მოსჩვენებია, მაშინ, როდესაც საჭირო იყო კამათის არსში უფრო დაკვირვებული წვდომა.

ავტორთან სხვაც ბევრია საკამათო, მაგრამ ამჯერად ჩვენ მხოლოდ იმის დამტკიცება გვინდოდა, რომ „უდანაშაულო“ იურიდიული ტერმინი არ არის და სამართლებრივი მნიშვნელობის პრეზუმფციას ვერ დააფუძნებს. სამართლის ყველა დარგში, სადაც მტკიცების ტვირთი სამართალდამრღვევს არ ეკისრება, მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფცია, ვინაიდან პირი არაბრალეულია მანამ, სანამ ოფიციალური წესით არ დამტკიცდება პირის ბრალეულობა ჩადენილ სამართალდარღვევაში. არაბრალეულობა არის პირის ობიექტური სამართლებრივი მდგომარეობა მანამ, სანამ მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა სანართალდარღვევისათვის. მართალია, ბრალის ცნების შინაარსი გარკვეული ნიუანსებით განსხვავებულია სამართლის დარგების სპეციფიკის მიხედვით, მაგრამ ბრალის არსი ერთია ყველა იმ სფეროში, სადაც საქმე რეტროსპექტულ, ნეგატურ პასუხისმგებლობას ეხება. პირის ბრალეულობა ამავე დროს გასაკიცხაობაა, ვინაიდან, ჯერ — ერთი, პირი ვალდებულია იმოქმედოს ან არ იმოქმედოს განსაზღვრული მიმართულებით; მეორეც, მას შეუძლია ამ ვალდებულების შესრულება; მესამეც, მან არ შეასრულა ეს მოვალეობა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში გამოიწვია მავნე ცვლილება, რომელიც განსაზღვრულ უარყოფით შეფასებას მოითხოვს. ბუნებრივია, თუ ამ ვითარებაში პირის გაკიცხვა („შენ ვალდებული იყავი“, „შენ შეგებლო“, „შენ არ გააკეთე“, „შენ დააზიანე“ და ა. შ.) საფუძვლიანია, გამართლებულია, რაკი იგი თავს ვერ გაიმართლებს.

ამრიგად, საკმაოდ ბევრი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ იურიდიული ტერატურაში უნდა დამკვიდრდეს ტერმინი „არაბრალეულობის პრეზუმფცია“, რომელიც იურიდიული აზროვნების წესითაა პირობადებული. ცხადია, ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია ბრალის ცნებაც, მაგრამ ამჯერად ნათქვამით დაკმაყოფილებით. დავასკვნით, რომ მთელი ყურადღება უნდა დავეთმოთ იურიდიული აზროვნების წესს, მის ლოგიკურ ფორმებს, ვინაიდან ამ მხრივ საბჭოური იურიდიული ტერატურა ცუდ სამსახურს გვაწევს ხოლმე. იგი სავსეა სოციოლოგიზმის, ფსიქოლოგიზმის, ნორმატივიზმის და ა. შ. ცალმხრივობათა ნიმუშებით. მის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ე. წ. „დამნაშავის პიროვნების“ ცნება, რომელიც თითქოს დიდ როლს ასრულებს სისხლის სამართლის მეცნიერებაში, სასამართლო-საგამომძიებო პრაქტიკაში და ა. შ., მაშინ, როდესაც ეს ცნება უკანონოა, არაიურიდიულია, თუმცა ამ და სხვა ამგვარ საკითხებზე ცალკე უნდა ვიმსჯელოთ.

ბოლოს, მოკლედ უნდა ვთქვათ ავტორის ზედმეტად მკაცრ და თვითდაჯერებულ ტონზეც, რაკი იგი ამტკიცებს, რომ გ. ნაჭყებიას თვალსაზრისი მცდარია, არამართებულია, წინააღმდეგობრივია და ა. შ., მაშინ, როდესაც მას, როგორც უკვე ვთქვა, ჩვენი ძირითადი არგუმენტები საერთოდ არ განუხილავს.

იმედი გვაქვს, რომ ავტორი შემდგომში უფრო დაკვირვებით იკამათებს, არ განაწყენდება და ირწმუნებს, რომ კამათში გამარჯვებული ის კი არ არის, ვინც იძულებული გახდა დაეცვა თავისი თვალსაზრისი, არამედ ის, ვისაც თავისი თვალსაზრისის გადასინჯვა მოუწევს.

თეზიზი მარჯანიშვილი

კერძო ბრალდების საქმეთა სამართალწარმოების ახლებური გააზრება

ტოტალიტარიზმის პირობებში შემუშავებული დანაშაულის ცნება და მისი ცალკეული სახეობის კონკრეტიზაცია მოითხოვდა მათი განხორციელებისათვის პროცესუალური ფორმების შესაბამისობაში მოყვანას, ე. ი. ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ დანაშაულად აღიარებული ქცევა, მისი ლოგიკური დასასრული — დანაშაულის დასჯა უნდა განხორციელებულიყო შესაბამისი პროცესუალური ნორმების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფდა იმის გარანტიას, რომ სახელმწიფო ყოვლისშემძლეა და რომ მისი ნება საიმედოდაა დაცული.

ამ წერილით შევეცდებით რამდენადმე ახლებურად გავიაზროთ და გავაშუქოთ სისხლის სამართლის პროცესის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორცაა კერძო ბრალდების საქმეთა სამართალწარმოების თავისებურებანი და დაზარალებულის უფლებების დაცვის გარანტიები.

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის სამართალწარმოების პროცესში არსად ისე არ ვლინდება დაზარალებულის უფლებების ფართო სპექტრი, როგორც კერძო ბრალდების საქმეთა სამართალწარმოების დროს.

რესპუბლიკაში დაწყებულ სამართალშემოქმედებით პროცესში, ეროვნულ მომენტებთან ერთად, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელი პრინციპები, კერძოდ, ახალი საპროცესო კოდექსის პროექტში უნდა აისახოს გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 28 ნოემბრის № 40-34 რეზოლუციით მიღებული მოთხოვნა — „იუსტიციის ძირითადი პრინციპების დეკლარაცია დანაშაულისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლისათვის“, რომელიც სამართალდაცვით ორგანოებს საშუალებას მისცემს პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენოს მისი ძირითადი დებულებანი.

კანონმდებლობით დანაშაულთა ის წრე, რომლისთვისაც შეიძლება კერძო ბრალდებით საქმის წარმოება, იმდენად უმნიშვნელოა, რომ მან მეცნიერ იუ რისტთა და პრაქტიკოს მუშაკთა სათანადო ინტერესი ჯერ ვერ დაიმსახურა, თუ არ ჩავთვლით ჟურნალ „სამართალი“ 1991 წლის 7-8 ნომერში გამოქვეყნებულ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ მიხეილ ქურდაძის წერილს „დაზარალებულის უფლებების გაფართოების თეორიული საფუძველი და მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობანი“¹.

კერძო ბრალდების ინსტიტუტი თითქმის მთელი მსოფლიოს სამართლის მეცნიერებაშია ცნობილი და პრაქტიკულად იგი ყველა ქვეყანაში გამოიყენება. მისი გამოყენების სფერო და პროცესუალური არე განსაკუთრებით ფართოა ანგლო-საქსონურ, კერძოდ კი ინგლისის სამართლის სისტემისათვის.

¹ იხ. ჟურნ. „სამართალი“, № 7-8, 1991, გვ. 37-47.

მ. ქურდაძე აღნიშნულ წერილში შენიშნავს, რომ „არც ერთ სახელმწიფოში კაცობრიობის ისტორიის არც ერთ მონაკვეთზე დაზარალებული ისეთი უფლებები არ ყოფილა, როგორც ეს საბჭოთა კანონმდებლობამ დააწესა“².

პარადოქსია, რომ ქართული ფეოდალური სამართალი, და არა მარტო ქართული, დაზარალებულის მიმართ გაცილებით მეტი დემოკრატიულობით, მისთვის ფართო უფლებების მინიჭებით ხასიათდებოდა, ვიდრე დღეს ჩვენთან მოქმედი კანონმდებლობა. ამდენად, კერძო ბრალდების საქმეთა სასამართლო წარმოების ისტორიული მეგვიდრეობითობა და დღევანდელი ვითარება გეკარანახობს მისი ძირფესვიანად შეცვლის აუცილებლობას. ჩვენში დაწყებულმა სამართალმშენებლობის პროცესმა ეს ვითარება უნდა გაითვალისწინოს, აღმოფხვრას ხარვეზები და ახალი კოდექსის პროექტში სრულიად ახლებური გააზრებით წარმოაჩინოს დაზარალებულის უფლებები.

აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიმაჩნია კერძო ბრალდების საქმეთა სასამართლო წარმოების ინსტიტუტის მიმართ ჩამოვყალიბო ჩემი მოსაზრება და დავასაბუთო მისი არსებითად შეცვლის აუცილებლობა.

უწინარესად, აუცილებელია, რომ ახალ საპროცესო კოდექსში გამოიყოს ცალკე კარი — განსაკუთრებული წარმოება. ამ კარის შესაბამისი თავი შეიძლება ჩამოყალიბდეს ასე — კერძო ბრალდების საქმეთა სამართალწარმოების თავისებურებანი (ამ კარში შეიძლება ცალკე თავებად შევიდეს აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეების წარმოება და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენება).

ვფიქრობთ, საპროცესო კოდექსში მოცემული კარის ცალკე გამოყოფით ხაზი გაესმება კერძო ბრალდების საქმეთა სამართალწარმოების აქტუალობასა და მნიშვნელობას, აგრეთვე იმას, რომ აღნიშნული ბრალდების საქმეთა წარმოება განსაკუთრებულია და იგი პროცესის მონაწილეებისათვის, მისი მოთხოვნათა განუხრელად შესრულების აუცილებლობის მხრივ, ისევე იმსახურებს ყურადღებას, როგორც ყველა სხვა დანარჩენი კარი.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში კერძო ბრალდების საქმეთა წარმოებას დათმობილი აქვს სულ სამი მუხლი: მე-5, 115-ე და 239-ე. ამ მუხლებში მოცემულია კერძო ბრალდების საქმეთა ნუსხა და წარმოების თავისებურებანი.

115-ე მუხლში ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის დანაშაულობანი, რომელთა აღძვრა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის არსებობის შემთხვევაში შეიძლება, კერძოდ, ის, რასაც ითვალისწინებს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლი, 116-ე მუხლის პირველი ნაწილი, 137-ე მუხლის პირველი ნაწილი, 138-ე მუხლი, 117-ე მუხლის პირველი ნაწილი და 147-ე მუხლი.

ვფიქრობთ, აღნიშნული მუხლების ამომწურავი ჩამოთვლა არ უნდა იყოს გამართლებული, რადგან სისხლის სამართლის კოდექსში არის სხვა მრავალი მუხლი სადაც დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია დამნაშავე პირის დასჯით კი არა, არამედ მათი ურთიერთშეთანხმებით, შერიგებით. მიყენებული ზარალის ნებაყოფლობითი ანაზღაურებით მიიღწევა.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ, მოკვლევასა და წინასწარი ან სასამართლო გამოძიების სტადიაზე დაზარალებული ბრალდებულის (განსახველის) სასარგებლოდ ცვლის ჩვენებას. ამ შემთხვევაში მოტივს (გარდა დაზა-

² იქვე, გვ. 38.

რალეზულის იძულებისა შეცვალის ჩვენება) მნიშვნელობა არ აქვს. მაგალითად, შესაძლოა დაზარალებული დარწმუნდა რომ მის მიმართ დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯით იგი ვერავითარ მორალურ კმაყოფილებას ან მატერიალურ ანაზღაურებას ვერ მიიღებს, სასამართლოში გამოცხადება და ინტიმური საკითხები გამოძულავნება მას უფრო მეტ ზიანს მიაყენებს და სხვ.

ასეთ შემთხვევაში დაზარალებულის რომელი უფლების დაცვაზე, ან ჩატარებული პროცესის რომელ აღმზრდელობით შემოქმედებაზე და სასჯელის ზოგად ან კერძო პრევენციაზე შეიძლება ლაპარაკი? მართებულად შენიშნავს მ. ქურდაძე, რომ „...ქალის გატაცება მასთან ქორწინების მიზნით შეიძლება უფრო მაკცრად ისჯებოდეს, ვიდრე ეს 134-ე მუხლით არის გათვალისწინებული, მაგრამ სასჯელს თავისი დანიშნულება აქვს და ყველაფერი იმგვარად უნდა ხდებოდეს, რომ დაზარალებული ბრალდებულის დასჯით თვითონ არ დაისაჯოს“³.

ავიღოთ თუნდაც ისეთი სახის დანაშაულები, როგორცაა მოქალაქეთა ჰარადი ქონების ქურდობა, სახელმწიფო ქონების დატაცება, ან სამეურნეო სახის სხვა დანაშაულები. დამამძიმებელი გარემოებების გარეშე მათი ჩადენისას და ზარალებულს (მოქალაქეს, ორგანიზაციას) არა აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს შეიტანოს თუ არა სათანადო ორგანოებში განცხადება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, ან შემდეგ, როცა მას დანაშაულით მიყენებული ზარალი დამნაშავემ ნებაყოფლობით აუნაზღაურა, მოითხოვოს საქმის შეწყვეტა. იგი უნდა დაელოდოს სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანას და თუ გამოძიებამ ან სასამართლომ ვერ შეძლო მიყენებული ზარალის ამოღება, უნდა დასჯერდეს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილიდან მის მიმართ მიყენებული ზარალის თანდათანობით გადახდას.

ამ მოსაზრების საფუძველზე, ვფიქრობთ, უნდა გაფართოვდეს დანაშაულთა ის წრე, რომელიც შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და ვიდრე სასამართლო განაჩენის დასადგენად გავიღოდეს შეიძლება შეწყდეს თუ ამას დაზარალებული მოითხოვს.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლები და დანაშაულის შემადგენლობანი, რომლებიც შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის მოთხოვნის საფუძველზე.

მათი ჩამონათვალი შემდეგნაირად გვესახება: სხეულის განზრახ მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ცემა და წამება, ცილისწამება, შეურაცხყოფა, სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, სქესობრივად მოუმწიფებელ პირთან სქესობრივი კავშირი, შვილად აყვანის საილუმლოების გამოძულავნება, ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით, ქურდობა დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე — 150-ე მუხლის I ნაწილი, თაღლითობა, მითვისება და გაფლანგვა დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე — 94-ე მუხლის I ნაწილი, მოქალაქეთა ჰარადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე — 157-ე მუხლის I ნაწილი, ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე მე-100 მუხლის I ნაწილი, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით, სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე — 243-ე მუხლის I ნაწილი, სასაქონლო ნიშნის უკანონოდ სარგებლობა, თვითნებობა, გაუპატიურება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ

³ იქვე, გვ. 41.

პირთა მიერ, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებებს მართავენ — 241-ე მუხლის I და II ნაწილი.

ახალი საპროცესო კანონის პროექტში კერძო ბრალდების საქმეებზე დაზარალებულის განცხადების არარსებობის პირობებში პროკურორის ინიციატივით საქმის აღძვრასთან დაკავშირებით საჭიროა არსებითი ცვლილებების შეტანა.


მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით პროკურორს, დაზარალებულის საჩივრის არარსებობის შემთხვევაში, უფლება აქვს თავისი ინიციატივით აღძვრას სისხლის სამართლის საქმე თუ მას აქვს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა, თუ დაზარალებული არის არასრულწლოვანი ან ისეთი პირი, რომელსაც თავისი ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია გამოვიდეს თავისი კანონიერი ინტერესების დასაცავად, აგრეთვე ბრალდებულისაგან დამოუკიდებულების ან სხვა მიზეზთა გამო. ასეთ შემთხვევაში პროკურორის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო არ შეიძლება. ვფიქრობ, ასეთი წესი დაზარალებულს მძიმე მდგომარეობაში აყენებს. ნებისმიერ დროს შეიძლება პროკურორმა განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის საბაბით აღძვრას სისხლის სამართლის საქმე, ანგარიში არ გაეწიოს არასრულწლოვანის მშობლების ან ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლის მქონე პირთა კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნას საქმის შეწყვეტის შესახებ. კანონის ასეთი სელექცია, განსაკუთრებით ისეთი კრიტერიუმი, როგორცაა „ან სხვა მიზეზთა გამო“ — ფართო გზას უხსნის სუბიექტივიზმსა და თვითნებობას.

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შენიშვნა „რომელიც სასამართლო პრაქტიკის დრმა განზოგადებას ან ანალიზს ეფუძნება, კერძოდ, როგორც წესი, პროკურორის მიერ განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის საფუძვლით, კერძო ბრალდების საქმეზე გამოტანილი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილება სათანადოდ არ არის მოტივირებული, ე. ი. დადგენილებაში არაფერია ნათქვამი რა ნიშნები აღმოაჩინა პროკურორმა ისეთი, რამაც საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიანიჭა.

პროკურორის უფლება უნდა ჰქონდეს თავისი ინიციატივით მხოლოდ იმ შემთხვევაში აღძვრას სისხლის სამართლის საქმე, როცა ბრალდებული თავისი მოქმედებით (მუქარით, ძალადობით ან ზემოქმედების სხვა საშუალებებით) ზელს უშლის დაზარალებულს განახორციელოს თავისი უფლებები. ამისათვის კი პროკურორს უნდა გააჩნდეს უტყუარი საფუძველი და მის მიერ გამოტანილი დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული.

სსკ-ის 115-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სსკ 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურება) და 147-ე მუხლით (საავტორო და საგამომგონებლო უფლებების დარღვევა) გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ საქმე მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით აღიძვრის, მაგრამ ბრალდებულთან შერიგების გამო მისი შეწყვეტა არ შეიძლება. ვფიქრობ, კანონის ეს მოთხოვნა დაზარალებულის უფლებების დაცვას ზელს არ უწყობს.

ნებისმიერი დანაშაული, მათ შორის საავტორო და საგამომგონებლო უფლებების დარღვევა და განსაკუთრებით კი გაუპატიურება, დაზარალებულის ფსიქიკაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს, აღძრავს ემოციებს, რაც სათანადო ორგანოებში დამნაშავე პირის დასჯის მოთხოვნის შესახებ განცხადების შეტანით მთავრდება. ვადის დრო, დაზარალებული გაიაზრებს არის თუ არა მისთვის



ხელსაყრელი დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯა და ხშირად მოითხოვს არ შეეცეს განცხადებას მსვლელობა, ან საქმე შეწყდეს.

მოქმედი საპროცესო კანონით საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს ასეთ შემთხვევაში არ აქვთ უფლება საქმე დაზარალებულის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტონ. დაზარალებულის ბრალდებულთან თუ სამართალში მიცემულთან შემრიგებლური პოზიციის გამო გამოძიება, როგორც წესი, არცთუ იშვიათად ჩიხში ექცევა, ხოლო სასამართლო გამოძიება კარგავს თავის დანიშნულებას.

გარდა ამისა, დაზარალებულს ერთმევა უფლება თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი. იმაზე მითითება, რომ საქმე უკვე აღძრულია და გამოძიება და სასამართლო წარმოება დაიწყო, მხოლოდ გამოძიებისა და სასამართლოს პრესტიჟის დაცვაზე მიუთითებს და არა დაზარალებულის ინტერესების დაცვაზე.

აქედან გამომდინარე, დაზარალებულის უფლების დაცვის ინტერესები მოითხოვს, გამოძიების და სასამართლო წარმოების ნებისმიერ სტადიაზე (ვიდრე სასამართლო განაჩენის გამოსატანად გავიდოდეს) ჰქონდეს მას უფლება მოითხოვოს აღძრული საქმის შეწყვეტა.

გარკვეულ ინტერესს იწვევს კერძო ბრალდების საქმის წარმოების თავისებურება დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში. მოქმედი კანონმდებლობით (სსსკ 115-ე მუხლი) დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში. საქმის წარმოება წყდება, მაგრამ იგი შეიძლება გაგრძელდეს თუ საჭიროა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებების დაცვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით მ. ქურდაძე აღნიშნავს, რომ „ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ამ საქმეთა წარმოებით შეწყვეტა 115-ე მუხლით დაზარალებულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე (117-ე მუხლის პირველი ნაწილი) აღძრული საქმე, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე პასუხისმგებამს მიეცა და იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, წარმოებით უნდა შეწყდეს თუ ამ დროისათვის დაზარალებული გარდაიცვალა, ან სრულიად შეგნებულად მოკლეს.

გამოდის, რომ თუ დაზარალებული შურისძიების ნიადაგზე მოკლა ბრალდებულის მამამ (ან სხვა მისმა ახლობელმა), ამ საფუძველზე მისი შვილის მიმართ საქმე წარმოებით უნდა შეწყდეს და ბრალდებული გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან“⁴.

აღნიშნული შენიშვნა სავსებით ლოგიკურია. აღძრული სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო არ შეიძლება შეწყდეს და ასეთ საქმეებზე წარმოება მიმდინარეობს საერთო წესით. ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში სწორი იქნებოდა დაზარალებულის გარდაცვალების გამო საქმის შეწყვეტა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულის გარდაცვალების გამო საქმეზე დამატებითი მტკიცებების შეკრების საშუალება ამოწურულია, რაც შეუძლებელს ხდის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ამ დროს ლოგიკური იქნებოდა საქმის შეწყვეტა საქართველოს რესპუბლიკის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (ბრალდების დაუდასტურებლობის გამო).

დაზარალებულის გარდაცვალების გამო საქმის შეწყვეტა გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ კანონით დაშვებული იქნებოდა საქმის შეწყვეტა

⁴ იქვე, გვ. 40.

დაზარალებულის მოთხოვნის საფუძველზე ნებისმიერ სტადიაზე განაჩენის გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე.

ასეთ შემთხვევაში დაზარალებულის გარდაცვალების გამო საქმის შეწყვეტა ტოვებს იმის ეჭვს, რომ დაზარალებულს განაჩენის გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე რჩება უფლება მოითხოვოს საქმის შეწყვეტა, ხოლო ყოველგვარი ეჭვი ამ შემთხვევაში შეიძლება გაგებული იქნეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ასეთი წესის არსებობა, ჩვენი აზრით, მოხსნიდა იმ შეუსაბამობას, რომელიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით არის შექმნილი.

წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს საპროცესო კანონში, შესანიშნავ „ხერელს“ ტოვებს დამნაშავის ახლობლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის კანონის „კარგად“ გააზრების შემთხვევაში თავიდან მოიცილონ დაზარალებული (ფიზიკურად გაანადგურონ დაზარალებული), რაც საშუალებას მისცემს დამნაშავეს მის მიმართ საქმე შეწყდეს. ამ შემთხვევაში კანონი უნებლიე წამქეხბლის როლშიც კი გამოდის.

ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება თუ დაზარალებულის განცხადების საფუძველზე ადრული საქმე შეწყდება ნებისმიერ დროს მისივე მოთხოვნის საფუძველზე. ასეთი წესის არსებობა ყოველთვის ტოვებს იმის გარანტიას, რომ დაზარალებულმა სასამართლოს მიერ განაჩენის გამოსატანად გასვლამდე მოითხოვოს საქმის შეწყვეტა, განახორციელოს თავისი უფლებები და ამასთან ერთად, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობაც საიმედოდ იყოს დაცული.

ჩვენი აზრით, კერძო ბრალდების საქმეთა წარმოების დროს დაზარალებულების უფლების გაფართოება განაჩენის გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე მოითხოვოს საქმის შეწყვეტა, დღის წესრიგში აყენებს ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებისას აღმკვეთი ღონისძიების კერძოდ, პატიმრობის გამოყენების შეზღუდვის დაშვებას. საქმე ის არის, რომ თუ ბრალდებული ზელს არ უშლის გამოძიებას ან რაიმე სახით ზემოქმედებას არ ახდენს დაზარალებულზე, მის მიმართ პატიმრობა არ უნდა იქნეს შერჩეული.

მოქმედ საპროცესო კოდექსში არაფერია ნათქვამი კერძო ბრალდების საქმეთა წარმოების დროს დაზარალებულის მიმართ მიყენებული მატერიალურა ზარალის ანაზღაურების შესახებ, მაშინ, როდესაც კერძო ბრალდების საქმეთა სასამართლო წარმოების თავისებურებანი მოითხოვს დაზარალებულისათვის დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტას.

მატერიალური თუ სხვა სახის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, მიუხედავად დაზარალებულის პოზიციისა, მომკვლევის, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების მუდმივი ყურადღების საგანი უნდა იყოს. ამ ორგანოებმა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარისთქმის დადგენილების, აგრეთვე განაჩენის გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე საქმის შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანისას უნდა დაადგინონ, რომ დანაშაულში მხილებულ პირს დაზარალებულის სასარგებლოდ გადახდეს დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალი და სასამართლო ხარჯები.

ლიზინგი და მისი შესაძლებლობანი

განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების პრაქტიკაში სხვადასხვა საგან-ერო ეკონომიკური ოპერაციების დაფინანსებისას (მანქანების, მოწყობილობების და სხვა საქონლის იმპორტის და ექსპორტის დროს) ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად გამოიყენება ლიზინგი.

იდეა ლიზინგის შესახებ, არსებითად ახალი არ არის. ზოგიერთი ისტორიკოსი და ეკონომისტი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ლიზინგური გარიგებები იდებოდა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ძველი შუმერების სახელმწიფოში. არის აგრეთვე ისტორიკოსების აზრი, რომ არისტოტელემ შეეხო იდეას ლიზინგის შესახებ ტრაქტატში — „სიმდიდრის არსი არის გამოყენება, და არა საკუთრების უფლება“.

მე-XI საუკუნის ვენეციაში ხორციელდებოდა ლიზინგური გარიგებების მსგავსი ოპერაციები: ვენეციელები ვაჭრებს და სავაჭრო გემების მპატრონეებს არენდით აძლევდნენ იმ დროში ძალიან ძვირად ღირებულ ღუზებს. შორეული მოგზაურობის დამთავრების შემდეგ ღუზები უბრუნდებოდათ მფლობელებს.

მაინათ, რომ სიტყვა „ლიზინგი“ ხმარებაში შემოვიდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როცა 1877 წელს სატელეფონო კომპანია „ბელ“-მა მიიღო გადაწყვეტილება, რათა თავისი აპარატები მაშინვე კი არ გაეყიდა, არამედ ჩაებარებიანთ ისინი არენდით, შემდგომი გამოსყიდვის პირობით.

ლიზინგის შესახებ იდეიის ფორმირების ძლიერ იმპულსად იქცა პირველი ლიზინგური საზოგადოების შექმნა სან-ფრანცისკოში 1952 წელს ამერიკულ კომპანია „იუნაიტედ სტიეტს ლიზინგ კორპორეიშენის“ მიერ. ხანმოკლე დროში ლიზინგი გადაიქცა ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად.

ყველაზე ფართოდ ლიზინგი აშშ-ში გავრცელდა, მაგრამ ევროპული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, რაიმე საკანონმდებლო აქტი ამ სახის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ამერიკაში არ არის. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აშშ-ში არ არსებობს არავითარი სისტემა ლიზინგური ურთიერთობების რეგულირებისათვის, საქმე ის არის, რომ კანონმდებელმა მთელი ყურადღება გადაიტანა ლიზინგის ფინანსურ და საგადასახადო ასპექტებზე.

უფრო დაწვრილებით ეს საკითხები გაშუქებულია აშშ-ის 1981 წლის კანონში „ეკონომიკურ აღდგენაზე ვადასახადების შესახებ“ და 1986 წლის კანონში „საგადასახადო რეფორმის შესახებ“. გარდა ამისა, ლიზინგური ურთიერთობები რეგულირდება საგადასახადო, საწარმოო ბუღალტერიის სტანდარტების და ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების სამმართველოების მიერ გამოცემული ინსტრუქციებით.

ევროპულ ბაზარზე პირველი ფინანსურ-ლიზინგური საზოგადოებები გამოჩნდნენ 50-იანი წლების დამლევს და 60-იანი წლების დამდეგს. თავდაპირველად მათ მრავალი სიძნელეების გადალახვა მოუხდათ. ლიზინგური ოპერაციების სწრაფად განვითარებას ხელს უშლიდა მისი სტატუსის გაურკვევლობა სამოქალაქო, სავაჭრო და საგადასახადო კანონმდებლობის თვალსაზრისით. მას შემდეგ, რაც 70-იანი წლების დამდეგს გერმანულენოვანი ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობაში განმტკიცდა ლიზინგური ხელშეკრულების სამართ-

ლებრივი სტატუსი, მისი მნიშვნელობა ევროპული ეკონომიკის ინვესტიციების დაგეგმვა-დაფინანსების სფეროში მკვეთრად ამაღლდა. ლიზინგური ურთიერთობების განვითარების ძლიერ იმპულსად იქცა 1988 წლის მაისში მიტაგვამოვან მართულ დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღებული „კონვენცია საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ“.

და მაინც, რა არის ლიზინგი? არენდის განსაკუთრებული ფორმა, საბანკო ოპერაცია, ფინანსური კრედიტი მყიდველს თუ ყველაფერი ეს ერთად აღებული?

პირველ რიგში, მართალია, ლიზინგი არის ეკონომიკური კატეგორია, მაგრამ თავისი არსით და საფუძვლით სამართლებრივი აქტია, რომლის რეგულირება ძირითადად ხდება სამოქალაქო კანონმდებლობით.

ლიზინგს საფუძვლად უდევს მხარეებს შორის ხელშეკრულება, რომელიც არის სამმხრივი (თუ არა მეტის) ურთიერთობათა კომპლექსი, სადაც ლიზინგური კომპანია მომხმარებლის მოთხოვნითა და მითითებით იძენს მწარმოებლისაგან მოწყობილობას, რომელსაც შემდეგ აძლევს (მომხმარებელს) დროებით სარგებლობაში.

კომპლექსის შემადგენლობაში შედის ორი ხელშეკრულება:

1. ხელშეკრულება ყიდვა-გაყიდვის შესახებ (ლიზინგურ კომპანიასა და მწარმოებელს შორის მოწყობილობის შეძენის შესახებ, სადაც მწარმოებელი არის გამყიდველი, ხოლო ლიზინგური კომპანია — მყიდველი);

2. ლიზინგის ხელშეკრულება (ლიზინგურ კომპანიასა და მომხმარებელს შორის, რომლის ძალითაც პირველი გადასცემს მეორეს დროებით სარგებლობაში მოწყობილობას, რომელიც ნაყიდაა მწარმოებლისაგან სპეციალურად ამ მიზნით).


უმეტეს შემთხვევაში ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოწყობილობა მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს საკუთრებაში.

ერთი სიტყვით, ეკონომიკური თვალსაზრისით ხდება იგივე რაც კრედიტით ყიდვის დროს. მაგრამ ლიზინგსა და კრედიტს შორის, რომელიც მყიდველს მიეცემა, არსებითი განსხვავებაა, რაც მდგომარეობს ლიზინგის მიმღებისა და მსესხებელის მდგომარეობას შორის ობიექტზე მფლობელობის თვალსაზრისით.

მსესხებელი, როდესაც იძენს ობიექტს კრედიტით, ღებულობს საგანსარგებლობის მუდმივ უფლებას, რომელიც ყველა დადგენილი შესაბამისების გადახდის შემდეგ გადადის საკუთრების უფლებაში. ლიზინგის მიმღებს კი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აქვს მხოლოდ საგნით სარგებლობის განსაკუთრებული უფლება.

ამასხვავებელ ნიშნად ითვლება ის გარემოებაც, რომ კრედიტის მიღების დროს, ნდა დაზუსტდეს ობიექტით სარგებლობის პირობები და ყველა დამატებითი მოგება, რომელიც მიიღება კრედიტით შეძენილი ობიექტის სარგებლობის შედეგად, ეკუთვნის მსესხებელს, იმ დროს, როდესაც ლიზინგის მიმღებს დამატებითი მოგების მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული ხელშეკრულებაში. ამასთან, ლიზინგი არ არის „საბანკო ოპერაცია“—ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. ის არის „საბანკო ოპერაციის მსგავსი“ დაფინანსების ფორმა, რომელიც შესაძლოა განაზოცრეილონ სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებმა, როგორც დამხმარე ოპერაცია, რამდენადაც ლიზინგური ოპერაცია არის სპეციალურად შექმნილი ლიზინგური საზოგადოებების კომპეტენცია.

ლიზინგს არენდისაგან განსხვავებს ის, რომ ობიექტის სარგებლობაში მიღების შემდეგ, ლიზინგის მიმღები თავის თავზე იღებს მოვალეობებს, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების უფლებებთან (შემთხვევითი დაღუპვის რისკი, ტექნიკური მომსახურება), თუმცა საკანონმდებლო მდგომარეობის შესაბამისად



ლიზინგის გამცემი რჩება ლიზინგური გარიგების ობიექტის მფლობელად. დღა
 ღუპვა ან ობიექტით სარგებლობის შეუძლებლობა ლიზინგური გარიგებისას
 ათავისუფლებს ლიზინგის მიმღებს ვალის დაფარვის ვალდებულებისაგან. ე. ი.
 არენდატორისაგან განსხვავებით ლიზინგის მიმღები იხდის არა ყოველთვის
 კადასახადს ობიექტით სარგებლობისათვის, არამედ მთელ თანხას საამორტიზა-
 ციო ანარიცხებისათვის. რისკის ასეთი განაწილება, რომელიც განსხვავდება არენ-
 დული გარიგებისაგან, გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ლიზინგის გამ-
 ცემი იძენს ლიზინგის ობიექტს ლიზინგის მიმღების თხოვნისა და ინტერესები-
 დან გამომდინარე. გარდა ამისა, ეს ეფექტიანი გარანტიაა იმისა, რომ ლიზინგის
 მიმღები გაუფრთხილდეს ობიექტს.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ლიზინგი არის განსაკუთრებული
 სახის ხელშეკრულება, სადაც ერთმანეთს ერწყმის ყველა ზემოჩამოთვლილი
 ხელშეკრულების ელემენტები.

სხვა ევროპული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, საფრანგეთისა და
 ბელგიის კანონებში მოცემულია მეტნაკლებად მკვეთრი განმარტება ლიზინგისა,
 როგორც ურთიერთობების კომპლექსისა, სადაც მონაწილეობას იღებს სამი
 მხარე.

საფრანგეთში ლიზინგური ურთიერთობები რეგულირდება კანონით „სა-
 წარმოების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ კრედიტ-არენდით“ (მიღებულია
 1966 წლის 2 ივლისს). ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად კრედიტ-არენ-
 დის გარიგებები წარმოადგენს: „1. გარიგებებს უძრავი ქონებისა და მოწყობი-
 ლობების არენდით გადაცემის შესახებ, როდესაც აღნიშნული ქონება სპეცია-
 ლურად არის შეძენილი ამ არენდისათვის და ამავე დროს საწარმო, რომელმაც
 შეიძინა ეს ქონება, წარმოადგენს მის მესაკუთრეს, თუ აღნიშნული გარიგების
 პირობების შესაბამისად (მიუხედავად გარიგების დასახელებისა) არენდატორს
 უფლება აქვს შეიძინოს არენდით აღებული მთელი ქონება ან მისი ნაწილი, იმ
 ფასში, სადაც ნაწილობრივ მაინც იქნება გათვალისწინებული გადახდილი არენ-
 დის ღირებულება.“

2. გარიგებები, რომლის მიხედვითაც საწარმოო არენდით გაცემს უძრავ
 ქონებას პროფესიული სარგებლობისათვის, რომელიც ნაყიდა ან აშენებულია
 მის მიერ, თუ გარიგების პირობის შესაბამისად (მისი დასახელების მიუხედა-
 ვად) არენდატორს უფლება აქვს შეიძინოს აღებული მთელი ქონება ან მისი
 ნაწილი არაუგვიანეს არენდის ვადის გასვლის შემდეგ, ან ცალმხრივი დაპირე-
 ბის მიხედვით გაყიდვის შესახებ ქონების გადაცემის გზით, ან ასევე იმ მიწის
 ნაკვეთზე მფლობელობის უფლების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეძენის გზით,
 რომელზეც მდებარეობს არენდით აღებული უძრავი ქონება, ან საკუთრების
 უფლების გადაცემით იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს აღნიშნული
 არენდატორის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

აღნიშნულ ხელშეკრულებებში, მათი ბათილად ცნობის საფრთხის გამო
 უნდა იყოს პირობები, რომლებითაც გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულე-
 ბის შეწყვეტის შესაძლებლობანი, თუ არენდატორის მოთხოვნით წარმოიშობა
 ასეთი შემთხვევები“.

საფრანგეთის ზემოაღნიშნული კანონი ასეთი გარიგების დადების უფლების
 ნებას რთავს მხოლოდ სავაჭრო საწარმოებს.

ბელგიაში ლიზინგური ურთიერთობები რეგულირდება სამეფო დადგენი-
 ლებით (მიღებული 1967 წლის 10 ნოემბერს), „...რომელიც განსაზღვრავს იმ
 საწარმოების იურიდიულ სტატუსს, რომლებიც დაკავებულნი არიან ფინანსური
 არენდით“.

ამ დადგენილების შესაბამისად ფინანსური არენდა, ანუ ლიზინგი ხასიათდება შემდეგნაირად:

1. მოწყობილობა გამოიყენება არენდატორის მიერ განსაკუთრებული პროფესიული მიზნებისათვის;

2. ქონება შეძენილ უნდა იქნას არენდის გამცემის მიერ სპეციალურად არენდისათვის მომავალი არენდატორის შესაბამისი სპეციფიკაციით;

3. ხელშეკრულების მიხედვით არენდის ვადა უნდა შეესაბამებოდეს მოწყობილობის ექსპლუატაციის ვადას;

4. გადასახადი არენდისათვის ისეთნაირად უნდა დადგინდეს, რომ არენდის ვადაში მოზღდეს არენდით აღებული მოწყობილობის ამორტიზაცია;

5. ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს არენდატორის უფლებას მოწყობილობის შეძენის შესახებ, არენდის ვადის დამთავრების შემდეგ ხელშეკრულებაში მითითებული ფასით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოწყობილობის დარჩენილ სავარაუდო ღირებულებას.

აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად „გარიგების დადება ფინანსური ლიზინგის სფეროში, შეუძლიათ პირებს, რომლებიც მიიღებენ ნებართვას ეკონომიკის მინისტრისაგან“.

ლიზინგი, როგორც ეკონომიკური და იურიდიული კატეგორია, საჭიროებს თავის განსაზღვრას.

სწორედ ამ საკითხზე მუშაობდა თითქმის 15 წელიწადი საერთაშორისო კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი, სადაც ხდებოდა საერთაშორისო ლიზინგის უნიფიცირებული ნორმების შემუშავება.

ამ ნორმების შემუშავების აუცილებლობა განაპირობა ლიზინგის გამოყენების გაფართოებამ საერთაშორისო დონეზე, იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც იმყოფებიან სხვადასხვა სახელმწიფოებში.

ამ მუშაობის შედეგად მომზადდა პროექტი საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის კონვენციის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა ოტავის დიპლომატიურ კონფერენციაზე — 1988 წლის მაისში. კონვენციაში აისახა გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ლიზინგი არის ქონებრივი ურთიერთობების სამმხრივი კომპლექსი. კონვენციის I მუხლის შესაბამისად, ფინანსური ლიზინგის გარიგებები არის განსაკუთრებული ხელშეკრულება, რომელშიც: „1. ერთი მხარე (ლიზინგის გამცემი) მეორე მხარის მიერ მოწოდებული პირობებისა და სპეციფიკაციის შესაბამისად შედის შეთანხმებაში (შეთანხმება მიწოდებაზე) მესამე მხარესთან (მიმწოდებელთან), რომლის შესაბამისად ლიზინგის გამცემი იძენს სამრეწველო დანადგარს, წარმოების საშუალებებს ან სხვა მოწყობილობას და შედის შეთანხმებაში (შეთანხმება ლიზინგზე), რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას ისარგებლოს მოწყობილობით პერიოდული გადასახადის საფასურად;

2. წინა პარაგრაფში საუბარია ფინანსური ლიზინგის გარიგებაზე, რაც ასეთი გარიგებაა, რომელიც შეიცავს შემდეგ განსხვავებულ თავისებურებებს:

— მომხმარებელი ირჩევს მიმწოდებელს ისე, რომ არ ითვალისწინებს ლიზინგის გამცემის გამოცდილებასა და აზრს;

— ლიზინგის გამცემის მიერ მოწყობილობის შეძენა ხდება ლიზინგის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც როგორც მიმწოდებლისათვის არის ცნობილი, ლიზინგის გამცემსა და მომხმარებელს შორის არის დადებული ან უნდა იყოს დადებული და პერიოდული გადასახადები, რომელიც ექ-

ვემდებარება შეთანხმებას ლიზინგის შესახებ, გათვლილია მოწყობილობის მთლიანი ან ნაწილობრივი ამორტიზაციის ანარიცხების გათვალისწინებით.

კონვენცია ითვალისწინებს მის გამოყენებას დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის მიიღებს მომხმარებელი უფლებას შეიძინოს მოწყობილობა ხელშეკრულების დადებადღე და მისი დადების შემდეგ ან გააგრძელოს მოწყობილობის გამოყენება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ნომინალური ფასით ან პერიოდული გადასახადებით.

კონვენცია გამოიყენება ფინანსური ლიზინგის გარიგებებში ნებისმიერ მოწყობილობაზე, გამონაკლისია მხოლოდ მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება პირად სარგებლობაში ან ოჯახური საჭიროებისათვის.


ფინანსურ ლიზინგთან ერთად მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ეგრეთწოდებული „ოპერატიული“ ლიზინგური ხელშეკრულებები. ეს არის ჩვეულებრივი ლიზინგური ხელშეკრულებები, რომლებიც ექვემდებარებიან ნებისმიერ მომენტში შეწყვეტას. ფინანსური ლიზინგისაგან განსხვავებით, ოპერატიული ლიზინგური ხელშეკრულება საწარმოს წინაშე დაძვარ პრობლემას წყვეტს არა კრედიტის მიღების გზით, არამედ ინვესტირების საშუალებით. ოპერატიული ლიზინგური ხელშეკრულება მოწყობილობის სრულ ამორტიზაციას არ ითვალისწინებს და ობიექტის გამოყენების ვადა ლიზინგური ხელშეკრულების თანახმად შედარებით ხანმოკლეა.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლიზინგი პირველ რიგში წარმოადგენს დაფინანსების ახალ საინტერესო საშუალებას, რომელიც შეიძლება მომგებიანი იყოს იმ საწარმოებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ აუცილებელი ლიკვიდური საშუალებები კაპიტალდაბანდებებისათვის, ხოლო ასეთი საწარმოები სამწუხაროდ ჩვენს რესპუბლიკაში უმეტესობაა არა მარტო სახელმწიფო სექტორში, არამედ კერძო სექტორშიც. სწორედ ამიტომაც რესპუბლიკის საწარმოო სფეროში, ფულის ბაზარზე მუდმივად არსებული სიძნელეების გამო შეიმჩნევა ლიკვიდური მოცულობების შემცირება.

სახეზეა საწარმოს მოგების შემცირება, რომელიც ამცირებს წარმოების შემდგომი გაფართოების შესაძლებლობას, რადგან არ არის საკმარისი კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, გაბატონებულია სახელმწიფო მონოპოლიები საწარმოო სფეროში. ამასთან, რესპუბლიკაში ჯერჯერობით სათანადო ფორმით არ ხორციელდება სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, ამდენად საჭიროა ლიზინგური ურთიერთობების ფართოდ დანერგვა და გამოყენება.

ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების საქმიანი წრეები ლიზინგურ ურთიერთობებს, უპირველეს ყოვლისა, განიხილავენ როგორც ახალ საინტერესო დაფინანსების ფორმას. ეს ხდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ფინანსიურად ეხმარებიან საწარმოებს, არამედ იმიტომაც, რომ ისინი საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე გარკვეულ პირობებში უზრუნველყოფენ ფინანსურად ძლიერი საწარმოების ეკონომიკურ მოგებას, ასევე უნარჩუნებენ ლიკვიდურობას, რათა არ მოკვდეს საკუთარი კაპიტალი, მყარი საფუძველი იქმნება გაანგარიშებისათვის, ამასთან მოქნილია, საბალანსო უპირატესობა აქვს და დაზღვევისათვისაც მომგებიანია.

ჩვენს რესპუბლიკაში არსებობს შესანიშნავი შესაძლებლობანი ლიზინგური ურთიერთობების განვითარებისათვის, მაგრამ ამისათვის საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.



ექვმიტანილის დასვის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 დეკემბრის კანონის „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ თანახმად „ექვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს აქვთ დაცვის უფლება“ (მე-17 მუხლი).

აღნიშნული კანონის შესაბამისად ცვლილება შევიდა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და 43-44-ე მუხლები ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის მიხედვით „ადვოკატი დაიშვება საქმეში მონაწილეობისათვის ბრალდების წარდგენის მომენტიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს დააკავებენ ან მის მიმართ გამოიყენებენ აღკვეთის ღონისძიებას — ბრალდების წარდგენამდე დაპატიმრების სახით მისთვის დაკავების ოქმის ან ამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ დადგენილების გამოცხადების მომენტიდან“.

ექვმიტანილის დაკავების მომენტიდან დამცველის მონაწილეობა საქმეში გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეზე დამცველის დაშვების პრობლემა მიმართ ახალ მიდგომას. აღნიშნულ ფაქტს ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეჭვმიტანილის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცესუალურ გარანტიებს სჭირდება სრულყოფა. დღის წესრიგში დგას დაუსაბუთებელი დაკავებისაგან (ხოლო შემდეგ დაუსაბუთებელი ბრალდებისაგან) ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) დაცვის სამართლებრივი საშუალებების ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობა. ჩვენი აზრით, ამ გზაზე ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება დაკავების მომენტიდან ეჭვმიტანილისა და მისი დამცველის უფლებამოსილების კონკრეტული საპროცესო რეგლამენტირება.


კანონში მითითებულია დაკავებისას დამცველის დაშვების შესაძლებლობაზე, მაგრამ არა მის სავალდებულო მონაწილეობაზე. ვფიქრობთ, კანონში უნდა იყოს აღნიშნული ეჭვმიტანილის დაკავებისას დამცველის სავალდებულო მონაწილეობის შესახებ; მიუხედავად ეჭვმიტანილის სურვილისა.

მოქმედი კანონით დაკავების ოქმი ეჭვმიტანილს წარედგინება არა მიყვანისთანავე, არამედ 24 საათის შემდეგ. ჩვენი აზრით, ეს დიდი შეცდომაა, რადგან დაკავებულმა ერთი დღე-ღამის განმავლობაში არ იცის თუ რისთვის არის იგი ეჭვმიტანილი და რისგან უნდა დაიცვას თავი.

საპროცესო კანონი უნდა შეიცავდეს ეჭვმიტანილისათვის უფლება-მოვალეობათა განმარტების მოთხოვნას. ამასთან, ჩვენი აზრით, ეჭვმიტანილის უფლების რეალიზაცია მხოლოდ მომკვლევი პირის (გამომძიებლის) შეხედულებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.

როგორც სამართლიანად არის აღნიშნული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის № 14 დადგენილებაში „უდანაშაულობის პრეზუმციისა და ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების შესახებ“¹ პრაქტიკაში ხშირია, როდესაც დანა-

¹ იხ. ჟურნ. „სამართალი“, 1992, № 5.



შაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავებისას მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენებისას მას არ განემარტება დამცველის აყვანის უფლება.

ამიტომ, თვითონ კანონი უნდა შეიცავდეს ამ ნორმის რეალიზაციის მექანიზმს. ასეთ მექანიზმად მიგვაჩნია აღნიშნულ უფლება-მოვალეობათა განმარტების ოქმის ასლის ჩაბარება თვით ეჭვმიტანილისათვის.

მართალია, დამცველი დაიშვება საქმეში ეჭვმიტანილის დაკავების მომენტიდან, მაგრამ იგი უშუალოდ მონაწილეობს დაკავების ოქმის წარდგენისა და ეჭვმიტანილის დაკითხვის შემდეგ.

როგორც სამართლიანად არის აღნიშნული ლიტერატურაში², პირველ დაკითხვამდე დამცველს უნდა ჰქონდეს ეჭვმიტანილთან კონტაქტის შესაძლებლობა, რაც კანონმდებლობით უნდა იყოს მოწესრიგებული. დაკავება არ არის ჩვეულებრივი მდგომარეობა, იგი მეტად რთული პროცესია მრავალი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომენტებით. ამიტომ ადამიანისათვის ამ ურთულეს ვითარებაში ისეთ პირთან შეხვედრა, რომელიც მოწოდებულია იურიდიული დახმარება აღმოუჩინოს მას კანონში გათვალისწინებული საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით, ბუნებრივია, აღუძრავს იმედს, რომ იგი არ იქნება უკანონოდ და დაუსაბუთებლად მსჯავრდებული. ამასთან, (რაც ყველაზე მნიშვნელოვანია) დაცვითი პოზიციის შემუშავებისათვის მას სჭირდება დამცველისაგან კვალიფიციური დახმარების მიღება.

ეჭვმიტანილის პირველ დაკითხვას გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ზშირია შემთხვევები, როცა ეჭვმიტანილის სახით დაკითხვის დროს პირი სხვა ჩვენებას იძლევა, ხოლო გამოძიების პროცესში და სასამართლოშიც იგი უარყოფს მას და იძლევა სულ სხვა ჩვენებას. ბრალდებულთა (განსასჯელთა) უმეტესობა ჩვენებებს შორის წინააღმდეგობას ხსნიან დაკითხვის დროს მომკვლევო პირის მხრიდან იძულების, მოტყუების მოტივით.

და ბოლოს, ეჭვმიტანილის პირველ დაკითხვამდე დამცველის დაშვებითავე იქნება აცილებული პოლიციის მხრიდან ეჭვმიტანილის ე. წ. ინტენსიური „დამუშავება“, რასაც შედეგად ეჭვმიტანილის მიერ დანაშაულის ჩადენის აღიარება მოჰყვება ხოლმე. ცნობილია, რომ ინგლისისა და ამერიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონი კრძალავს გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ეჭვმიტანილის აღიარება, თუ მას არ ესწრებოდა დამცველი. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა თუ აღნიშნულ ნორმას გაითვალისწინებდა ჩვენი კანონმდებლობაც.

დაკავების მომენტიდან დამცველი ეცნობა მხოლოდ დაკავების ოქმს, დადგენილებას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ დაკითხვის ოქმს. სხვა მასალებს კი ეცნობა გამოძიების დამთავრების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა როლის შესახებ დებულების (რომელიც მიღებულ იქნა დამნაშავეობის აღკვეთის შესახებ გაეროს VIII კონგრესზე ნიუ-იორკში 1990 წლის აგვისტოში) 21-ე მუხლის შესაბამისად „კომპეტენტურ ხელისუფლებათა ვალდებულებაა უზრუნველყონ ადვოკატი ინფორმაციის, დოკუმენტების და საქმის მასალების დროულად გაცნობით“. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ახალი საპროცესო კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაშვების მომენტიდან დამცველის მიერ საქმის ყველა მასალის გაცნობას. ცხადია, საქმის მასალების გაცნობის გარეშე საერთოდ დაცვის ფუნქციის განხორციელებაზე საუბარი აზრს კარგავს.

ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ დაკავების მომენტიდან დამცველის დამ-

² იქვე, № 10—11, გვ. 25; „სოც. ზაკონოსტ“, 1991, № 11, გვ. 50—51 და სხვ.

გება სისხლის სამართალწარმოებაში გულისხმობს არა მხოლოდ სექსის მახას-
ლების ვაცნობას, არამედ მის მონაწილეობასაც საგამოძიებო მოქმედებებში, ამი-
ტომ კანონით უნდა იყოს მოწესრიგებული დამცველის მონაწილეობა მისი ან
ექვმიტანილის (ბრალდებულის) შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებულ სა-
გამოძიებო მოქმედებებში (აღარაფერს ვამბობთ იმ საგამოძიებო მოქმედებებზე,
რომლებიც ტარდება ექვმიტანილის მონაწილეობით).

ექვმიტანილის დაკავების მომენტიდან დამცველის მონაწილეობის დაშვება
ჩვენი კანონმდებლობის დემოკრატიული გზით განვითარების მაჩვენებელია, მაგ-
რამ პრაქტიკულად ამ ნორმის რეალიზაცია დამოკიდებულია ისეთ გარემო-
ებებზეც, რომლებიც გარკვეულწილად აბრკოლებენ ექვმიტანილის დაკავების
მომენტიდან დამცველის მონაწილეობას.

პრაქტიკაში იყო ფაქტები, როცა იურიდიულმა კონსულტაციამ უარი თქვა
ექვმიტანილის დაკავების მომენტიდან დამცველის გამოყოფაზე იმ მოტივით,
რომ არავინ არ არის ადვოკატის შრომის ამნაზღაურებელი და შეთანხმების
გამფორმებელი. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთ შემთხ-
ვევაში ადვოკატთა კოლეგიებმა ავანსის სახით უნდა მისცენ ადვოკატებს ჰონო-
რარი, ხოლო სასამართლომ განაჩენის დადგენისას გამოიტანოს განჩინება ად-
ვოკატის შრომის ამნაზღაურების შესახებ, როგორც ეს ხდება დანიშნით ადვო-
კატის მონაწილეობისას.

ამასთან, იმის გამო, რომ დანაშაულთა უმეტესობა ჩადენილია უქმე დღე-
ებში ან საღამოს საათებში, ექვმიტანილის დაკავების მომენტიდან დამცველის
მონაწილეობის უზრუნველსაყოფად აშშ-ში და ინგლისში შემოღებულია მო-
რიგება. ასეთი მორიგეობა ჩვენთანაც იყო, მაგრამ იგი უმეტესწილად ფორმა-
ლურ ხასიათს ატარებდა. დღეს კი საჭიროა იურიდიული კონსულტაციების
წახრიდან კონკრეტული ხელშეწყობა, რათა რეალურად განხორციელდეს ექვ-
მიტანილის დაკავების მომენტიდან დამცველის მონაწილეობა.

დემოკრატიული საწყისების ჩამოყალიბება და განვითარება სისხლის სა-
მართალწარმოებაში, უწინარესად, მისი კონკრეტული ინსტიტუტების სრულ-
ყოფას გულისხმობს. ამიტომაც უნდა გაფართოვდეს და გაძლიერდეს დაცვის
უფლება ექვმიტანილის პროცესუალური ფიგურის გამოჩენისთანავე.

ანკორ მახარამი

მოწმის იმუნიტეტი

სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში საკანონმდებლო წესით
უნდა გადაწყდეს მოწმის იმუნიტეტის პრობლემა. ამის თაობაზე სამართლიანად
აყენებს საკითხს პროფ. ა. ფალიაშვილი¹, თუმცა მას სრული მოცულობით არ
გაუშუქებია იმუნიტეტის პრობლემა.

ამჟამად მოქმედი საპროცესო კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს მოწ-
მის იმუნიტეტის საკითხს. სსს კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად მოწმე ვალ-
დებულია მისცეს ჩვენება გამოძიებასა და სასამართლო ორგანოებს და უპა-
სუხოს დასმულ კითხვებზე. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან თავის არიდე-

1 ეურნ. „სამართალი“, 1992, № 10-11, გვ. 29-30.

ბისათვის, ანდა შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოწმე პასუხს აგებს სსკ 197-ე, 198-ე მუხლების შესაბამისად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოწმის იმუნიტეტის ჩანასახი გათვალისწინებულია სსკ 65-ე მუხლში, რომლის თანახმადაც მოწმედ არ შეიძლება დაკითხოს ბრალდებულის დამცველი, პროფესიული კავშირის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი საქმის იმ გარემოებათა შესახებ, რაც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

იმის გამო, რომ კანონით არ არის გათვალისწინებული მოწმის იმუნიტეტი, ზოგ შემთხვევაში ფაქტობრივად ეჭვიმტანილს ან ბრალდებულს დაკითხავენ, როგორც მოწმეს და აფრთხილებენ მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის, რაც კანონით დაუშვებელია, რადგან მათ უფლება აქვთ (და არ არიან მოვალენი) მისცენ ჩვენება.

საფრანგეთის სსკ მიხედვით (მუხლი 105-ე) არამც თუ არ შეიძლება მოწმედ დაკითხოს პირი, რომლის მიმართაც მოპოვებულია მასალები მისი ბრალეულობის შესახებ, არამედ ის პირიც, რომელიც დასახელებულია სამოქალაქო მოპასუხედ სასარჩელო განცხადებაში. საფრანგეთის სსკ 104-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს გამოძიებელი ვალდებულია განუმარტოს სამოქალაქო მოპასუხეს, რომ მას შეუძლია არ მისცეს ჩვენება.

ამდენად, სასურველია, რომ სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული იყოს წესი, რომელიც კრძალავს იმ პირის მოწმედ დაკითხვას, რომლის მიმართაც მოპოვებულია საკმარისი მონაცემები მისი ბრალეულობის შესახებ.

მეორე საკითხი, რომელიც პირდაპირ კავშირშია მოწმის იმუნიტეტთან არის შემდეგი:

შეუძლია თუ არა მოწმეს არ უპასუხოს ისეთ შეკითხვებზე, რომლებიც, მას ან მის ახლო ნათესავებს ამხელს დანაშაულის ჩადენაში?

საქართველოს რესპუბლიკის სსკ თანახმად მოწმე ვალდებულია ყველა მის წინაშე დასმულ შეკითხვაზე გასცეს სწორი პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში დეკლარაცია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

კანონის ასეთი მოთხოვნა არაჰუმანური და არადემოკრატიულია, რადგან პირმა საკუთარი თავი ან ახლო ნათესავები უნდა ამხილოს დანაშაულის ჩადენაში ან დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ საკითხებში. ამ ფუნქციის ე. ი. ბრალდებულის ფუნქციის განხორციელება კი ევალება იმ პირს, ვინც ბრალს სდებს (მომკვლევი, გამოძიებელი, პროკურორი) და არა მოწმეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოწმის იმუნიტეტის გაუთვალისწინებლობა ეწინააღმდეგება საერთაშორისო პაქტებს და მოწინავე საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობასაც. კერძოდ, საერთაშორისო პაქტში „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (1966 წლის 19 დეკემბერი), პირდაპირ არის აღნიშნული, რომ არავინ არ უნდა აიძულონ, რომ ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ან თავი დამნაშავედ აღიაროს². ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-5 შესწორებაში ხაზგასმულია: „არავინ არ უნდა აიძულონ სისხლის სამართლის საქმეში საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება“³. ამერიკელი იურისტი ლაური უაიმანი სამართლიანად მიუთითებს, რომ

² ურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, № 5, გვ. 56.

³ იქვე, გვ. 80.

აღნიშნული დებულება „უდანაშაულობის პრეზუმფციის ყველაზე არსებითი გარანტიაა. მის გარეშე უდანაშაულობის პრეზუმფციას ფასი არ ექნებოდა“⁴

სასურველია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აისახოს მოწმის დაზარალებულისა და სამოქალაქო მოპასუხის უფლებები, რომ ამ პირებს შეუძლიათ არ უპასუხონ მათ წინაშე დასმულ ისეთ შეკითხვებზე, რომლებიც მათ ან მათ ახლო ნათესაებს ამხელენ დანაშაულის ჩადენაში. ასეთ შემთხვევაში მოწმის, დაზარალებულისა და სამოქალაქო მოპასუხის მიერ ჩვენების მიცემა უნდა იყოს მხოლოდ უფლება და არა ვალდებულება.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უშუალო კავშირშია მოწმის იმუნიტეტთან — ზოგიერთ შემთხვევაში პირს შეუძლია არ მისცეს ჩვენება, თუ ჩვენების მიცემა დაკავშირებულია სამსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებასთან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 49-ე მუხლი ითვალისწინებს მეტად სერიოზულ და ჩვენს პირობებში მისაღებ დებულებას, კერძოდ 49-ე მუხლში ნათქვამია, რომ „პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდევს, როგორც დებუტატს. ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც, როცა დებუტატად აღარ ითვლება“⁵.

მიგვაჩნია, რომ ეს კონსტიტუციური დებულება უნდა აისახოს როგორც საქართველოს რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში, ასევე საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონმდებლობაშიც.

და ბოლოს, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით, აგრეთვე ექიმისა აუ სასულიერო მსახურისათვის დაცული უნდა იყოს მოწმის იმუნიტეტი, ე. ი. ამ პირებს უნდა შეუნარჩუნდეს უფლება ჩვენება არ მისცენ ისეთ საკითხებზე, რაც დაკავშირებულია მათ პროფესიულ საიდუმლოებასთან. მაგალითად, თუ საექსპლესიო მსახურს აღსარებით მიმართა პირმა და მონანიება სთხოვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენისათვის, მას უფლება უნდა ჰქონდეს დაიცვას განდობილი საიდუმლოება და ამის თაობაზე ჩვენება არ მისცეს გამოძიებასა თუ სასამართლოს. პროცესუალურ ლიტერატურაში ამ საკითხზე გამოთქმულია დადებითი მოსაზრება.

ვფიქრობთ, რომ მოწმის იმუნიტეტის საკითხების ასახვა ჩვენი რესპუბლიკის ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, მას უფრო ჰუმანურს გახდის და შეუსადაგებს მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობას.

⁴ ლაური უაიმანი, სამართლიანი სასამართლო, ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, № 10, გვ. 74.


⁵ ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, 5, გვ. 13.

ქსოვილის წინაღობაზე ტყვიის მოხვედრის კუთხის განსაზღვრის პროცესის მათემატიკური მოდელირება


როგორც ცნობილია, ქსოვილის წინაღობაში ტყვიის გასვლისას რჩება კვალი, ეგრეთ წოდებული, ტყვიის განაწმენდი, რომელსაც გარკვეული გეომეტრიული ცვალებადი ფორმა აქვს. ექსპერიმენტალური დაკვირვებების შედეგები საშუალებას გვაძლევენ ვიმსჯელოთ ტყვიის განაწმენდის გეომეტრიულ ფორმებსა და მათ ზომებზე არსებული კანონზომიერების მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილი მათემატიკური მოდელი და ტყვიის მოხვედრის კუთხის განმსაზღვრელი ფორმულა უშუალო კავშირშია ტყვიის განაწმენდის ზომებთან. კვლის ზომისა და ფორმის გათვალისწინებით შესაძლებელია გამოვიკვლიოთ თუ რა კუთხით მოხვდა ტყვია წინაღობას ემპირიულად დამტკიცდა, რომ თუ ტყვია ხვდება წინაღობას 90° -იანი კუთხით, მაშინ განაწმენდს წრის ფორმა აქვს, ხოლო მახვილი კუთხით მოხვედრისას იგი გადაიზრდება ელიფსში. სწორედ ამ ზუსტი გეომეტრიული ფიგურების თვისებების გათვალისწინებით და ევკლიდეს გეომეტრიის მეშვეობით აიგება და განისაზღვრება ტყვიის ერთფენიანი ქსოვილის წინაღობაში გასვლის მათემატიკური მოდელი და მოხვედრის კუთხის გამომთვლელი ფორმულა.

ამ პროცესის მათემატიკური აღწერისათვის ერთფენიანი ქსოვილის წინაღობა გავაიგივოთ ზედაპირთან, ხოლო უშუალოდ ტყვიას მივცეთ ზუსტი გეომეტრიული ფორმა. ვიგულისხმობთ, რომ პროცესი მიმდინარეობს იდეალურ პირობებში. ზედაპირზე ტყვიის მოხვედრა ნახაზის მეშვეობით შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1



ნახ. 2

ნახ. 1.

ნახ. 2.

განვიხილოთ შემთხვევა, როცა ტყვია ხვდება მახვილი კუთხით ნახ. 1-ზე α -თი აღნიშნულია კუთხე, რომლის პოვნა წარმოადგენს ჩვენს მიზანს, d -თი

— ტყვიის დიამეტრი, ხოლო $2l$ -ით კი ის ფიზიკური კვალი, რომელიც წარმოიქმნება ტყვიის გასვლისას.

მათემატიკური მოდელის აგებისას ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი და შეიძლება ითქვას, ამოსავალი წერტილი, იყო ტყვიის მოძრაობის იმ მომენტის დაფიქსირება, როცა იგი თითქმის გასულია წინაღობაში. ნახაზზე ამ მომენტს ექნება შემდეგი სახე (იხ. ნახ. 2), სადაც $2l$ -ით მონიშნულია ტყვიის მიერ ფიზიკური დაზიანების დიამეტრი, ხოლო L -ით კი მანძილი წინაღობის წინა ზედაპირზე არსებული ტყვიის განაწმენდის უკიდურეს წერტილსა და ფიზიკური დაზიანების ცენტრს შორის.

ჩვენი მიზანია განისაზღვროს BCA კუთხის \sin -ი, ხოლო შემდგომ შექცეული \arcsin -ი ფუნქციის დახმარებით ზუსტად დადგინდეს ამ კუთხის სიდიდე გრადუსებში.

როგორც ჩანს ნახ. 2-დან BCA კუთხის \sin -ი უდრის: AB/AC .

ჩვენთვის ცნობილია AC მონაკვეთის სიგრძე, იგი ტოლია $L+1$, ხოლო AB მონაკვეთის სიგრძე შეიძლება დავადგინოთ ABC და FEC სამკუთხედების მსგავსებიდან. მართლაც, სამკუთხედი ABC ევკლიდური გეომეტრიის კრიტერიუმების გათვალისწინებით მსგავსია FEC სამკუთხედის. ამიტომ სწორი იქნება შემდეგი გამოსახულება:

$$2 AB/d = (L+1)/l,$$

საიდანაც AB ცალსახად განისაზღვრება და იგი უდრის

$$AB = d(L+1)/2l.$$

მაშინ BCA კუთხის \sin -ი ტოლი იქნება:

$$AB/AC = (d(L+1)/2l)/(L+1) = d/2l.$$

ანალოგიურ შედეგს მივიღებთ, თუ \sin -ს გამოვითვლით FEC სამკუთხედლიდან. მართლაც:

$$\sin(\angle ECF) = d/2l.$$

რეალურ შემთხვევაში ამ ფორმულით სარგებლობისას l -ის ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ L სიდიდე, ვინაიდან ამ დროს ეს ორი პარამეტრი ემთხვევა ერთმანეთს, უშუალო კუთხის გრადუსული ზომა კი განისაზღვრება ვ. ბრადის ოთხნიშნა მათემატიკური ცხრილების გამოყენებით შემდეგნაირად:


$$\alpha = \arcsin(d/2l).$$

უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული ფორმულა ასევე მართებულია ტყვიის 90° -იანი კუთხით მოხვედრისას, ვინაიდან ამ შემთხვევაში $2l=d$. მართლაც, მართი კუთხით მოხვედრისას ნახ. 2-ზე ნაჩვენები სამკუთხედი FEC გადაგვარდება მართკუთხედში, ხოლო 90° -იანი კუთხის \sin -ი ტოლია 1-ის, რაც ანალოზურად გამომდინარეობს ფორმულიდანაც:

$$\alpha = \arcsin(d/2l) = \arcsin(1) = 90^\circ.$$

მითითებული ფორმულა სრულად ემთხვევა ექსპერიმენტალური გამოკვლევის შედეგებს და იგი საფუძვლად უდევს ტყვიის წინაღობაზე მოხვედრის კუთხის დადგენის ხერხს, რომელიც ემპირიული გზით დამუშავებული და დაცულია გამოგონებაზე საავტორო მოწმობით.¹


¹ A. C. 1751640 СССР, МКИ F 41 J 5/00. Способ определения угла входа пули в преграду (Г. Э. Бахтадзе, В. Д. Леонтьев, Ю. В. Гальцев, с. 3, ил. (См. «Бюллетень изобретений», 1992, № 28).



წარმოდგენილი ხერხის ვარგისიანობა შემოწმდა ტილოზე, სარკაზე, ფლანელზე, მათუდზე, თხელი ტრიკოტაჟის საცვალზე, ტრიკოტაჟის ნაქსოვზე და ტანსამოსზე და თრიმლირებულ ტყავზე.


ყველა ზემოჩამოთვლილ მასალაზე, თხელი ტრიკოტაჟის საცვლის გარდა, ამ ხერხის გამოყენება გვაძლევდა მყარ დადებით შედეგებს.²

აღნიშნული ხერხის ფართო გამოყენება ოპერატიულ-საგამოძიებო და სამართლო-საექსპერტო პრაქტიკაში ხელს შეუწყობს სროლის გარემოებათა დადგენას დანაშაულთა გახსნის პროცესში და სათანადო კრიმინალისტიკური გამოკვლევების ჩატარებაში იმ საქმეებზე, რომლებიც ჩადენილია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით.



² იხ. ბახტაძე გ., გალცევი იუ., სიმონიშვილი ვ., წინაღობაზე არსებული განაწმენდის მიხედვით ტყვიის მოხვედრის კუთხის დადგენა. ყურნ. „სამართალი“, 1991, № 1;

Бахтадзе Г. Э., Гальцев Ю. В. Современные возможности определения угла входа пули в преграды из однослойных тканевых материалов, Сб. науч. тр. «Проблемы судебной баллистики», Прокуратура Республики Грузия, Тбилиси, 1992, с. 31—39.



ბიძინა სავანელი

არსისა და ჯეჩარსის მთლიანობა პოზიტიურ სამართალში

სამართლის წმინდა თეორია არის პოზიტიური სამართლის თეორია, პოზიტიური სამართლისა ზოგადად და არა რომელიმე კონკრეტული მართლწესრიგისა. სამართლის წმინდა თეორია, ისევე როგორც ნებისმიერი თეორია, ისწრაფვის ერთისაკენ: შეიმეცნოს თავისი საგანი, ე. ი. გასცეს პასუხი ცითხვას რა არის პოზიტიური სამართალი. სამართლის წმინდა თეორია იწოდება „წმინდა“ თეორიად იმიტომ, რომ იგი დაკავებულია მხოლოდ პოზიტიური სამართლით და „წმენდს“ შესამეცნებელ საგანს ყველაფრისაგან, რაც არ არის სამართლებრივი. ასეთია სამართლის წმინდა თეორიის მეთოდის უმთავრესი პრინციპი.

ადამიანის ქცევა — ყოველთვის სივრცეში და დროში მიმდინარე გრძობად აღქმული ხდომილებაა, ანუ ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც განისაზღვრება მიზეზულობის კანონით. მაგრამ ადამიანის ქცევა თავისთავად, როგორც ასეთი, როგორც ბუნების ელემენტი, არ წარმოადგენს სპეციფიური იურიდიული შემეცნების საგანს და საერთოდ, მას არ აქვს საერთო სამართალთან. არა ადამიანის ქცევა, არამედ ამ ქცევის ობიექტური საზრისი და მნიშვნელობა ადამიანის ქცევას ანიჭებს სამართლებრივი აქტის თვისებას. ეს საზრისი და მნიშვნელობა სხვა არაფერია თუ არა ნორმა.

კონკრეტული ადამიანის ქცევა იქნის სპეციფიურ იურიდიულ საზრისს, თავის საკუთარ იურიდიულ მნიშვნელობას გარკვეული ნორმის არსებობის გამო, რომელიც ამ ქცევას ანიჭებს იურიდიულ თვისებას. კონკრეტული ადამიანის ქცევისათვის გარკვეული იურიდიული თვისების მინიჭება ნიშნავს იმას, რომ ამ ნორმის პოზიციიდან წარმოებს ამ ქცევის ინტერპრეტაცია, ხოლო თვითნორმა ფუნქციონირებს როგორც ინტერპრეტაციის სქემა. მაგალითად, სასიკვდილო განაჩენის აღსრულება არ არის მკვლელობა რადგან ასეთი განაჩენი არის აზრის ძალისხმევა — ქმედობისადმი მატერიალური და პროცესუალური სისხლის სამართლის კოდექსის მისადაგება. წერილების გაცვლა ხელშემკერებელ მხარეებს შორის სამართლის თვალსაზრისით ნიშნავს ხელშეკრულების დადებას, რადგან ამ წერილებში გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებები მიესადაგებიან პირობებს, რომლებიც გათვალისწინებული არიან სამოქალაქო სამართლის კოდექსით.

ამ თვალსაზრისით საუბარია ნებითი აქტების შესახებ. თუ კი ერთი ადამიანი ავლენს თავის ნებას, რომ მეორე ადამიანმა უნდა იმოქმედოს გარკვეული წესით, ე. ი. თუ კი იგი ავალებს ან უფლებას ანიჭებს მეორეს იმოქმედოს ამ წესით, მაშინ მისი აქტის საზრისი და მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში კი არა, რომ მეორე ასე მოიქცევა, არამედ მხოლოდ იმაში, რომ მეორე ასე ჯნდა მოიქცეს.

ის, ვინც ავალებს ან უფლებას ანიჭებს მეორეს — გამოხატავს, გამოავლენს

* გამოკვლევაში მოკლედ არის გააზრებული და შეფასებული უდიდესი მეცნიერ-იურისტის პან კელზერის სამართლის წმინდა თეორიის ამოსავალი დებულება.

ნებას, ხოლო ის ვინც იღებს დავალებას ან უფლებას პირველისაგან — „უნდა“ მდგომარეობაშია. უკანასკნელ შემთხვევაში „უნდა“ სავალდებულობას (ვიწრო აზრით) კი არა, არამედ ჯერარსობას, ქცევის ფარგლებს, ნორმას გამოხატავს.

ნორმა არის ჯერარსობა, ხოლო ნებითი აქტი — არსი. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან, უფრო ზუსტად — ერთმანეთს არც კი გულისხმობენ. ამ თვალსაზრისით მცდარია მტკიცება, რომლის თანახმადაც გამოთქმა — „ერთმა ადამიანმა რაღაც უნდა გააკეთოს“ თითქოს თანაბარმნიშვნელოვანი იყო გამოთქმისა — „მეორე ადამიანს რაღაცის გაკეთება სურს“, ე. ი. მცდარია დებულება, რომ გამოთქმა ჯერარსობის შესახებ იგივეობრივია გამოთქმისა არსის შესახებ. ასევე ცხადია, რომ იმისგან, რომ „რაღაც არის“ არ გამომდინარეობს, რომ ეს „რაღაც“ უნდა იყოს, ისევე როგორც იმისაგან, რომ რაღაც უნდა იყოს, არ შეიძლება გამომდინარეობს, რომ ეს რაღაც არის. თუ კი ჩვენ განვიხილავთ ორ გამოთქმას: „კარები იხურება“ და „კარები უნდა დაიხუროს“, პირველი გამოთქმა აღწერს არსს, ხოლო მეორე — ჯერარსს.

ასეთია მოკლედ (მაგრამ ზუსტად) ჰანს კელზენის სამართლის „სიწმინდის“ ნეთოდოლოგიური პრინციპი.

რა შეიძლება ითქვას ამ პრინციპის გამო? დავიწყოთ იმით, რითაც ჰ. კელზენი ამთავრებს თავისი მეთოდოლოგიური პრინციპის ჩამოყალიბებას. ჩვენი აზრით, ორი გამოთქმის დაპირისპირება: „კარები იხურება“ და „კარები უნდა დაიხუროს“ — შეიცავს არასახარბიელო, ზოგჯერ კი შეიძლება მავნე ფიქციას. მაგალითად, წარწერა შენობის შესასვლელთან „დახურეთ კარები“ სუფთა სქოლასტიკაა, თუ კი პრაქტიკულად კარების დახურვა შეუძლებელია ან თუ კარები საერთოდ ჩამოხსნეს, ხოლო წარწერა კი დარჩათ. აქ კავშირი ორ გამოთქმას შორის ცხადზე უცხადესია. ბრძანება: „დახურეთ კარები“ გამართლებულია, თუ კარებს შეაკეთებენ ან ახალს ჩამოკიდებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შეიქმნას რეალური შესაძლებლობა, რომ კარები ყოველთვის იხურებოდეს, იყოს გამართულ მდგომარეობაში ან საერთოდ არსებობდეს კარები. მოკლედ, ბრძანება „დახურეთ კარები“ — გაუგებრობაა თუ მისი დახურვა შეუძლებელია. სავალდებულო ერთხელ მაინც უნდა იყოს შესაძლებელი.

ამრიგად, აუცილებელია ვაიმეჯნოს არა ყოფიერი და ცნობიერი, არა არსი და ჯერარსი, არამედ შესაძლებელი და შეუძლებელი. შემდეგ შესაძლებლის ფარგლებში უნდა მოხდეს ჯერარსის, მათ შორის სამართლებრივი ჯერარსის გამოწვილვა. ასეთ მეთოდოლოგიურ პრინციპს აქვს გადამწყვეტი პრაქტიკული მნიშვნელობა სამართლებრივი რეგულირების საგნის, სფეროს განსაზღვრისათვის, შემდეგ კი სამართლებრივი რეგულირების ადეკვატური მეთოდის, ფორმის შერჩევისათვის.

კონცეპტუალურ ასპექტში საკითხის გადაჭრის ზემოაღნიშნული თვალსაზრისი შესაძლებლობას იძლევა არსის და ჯერარსის, ფაქტობრივისა და ნორმატიულის თანაარსებობისათვის, მათი ურთიერთზემოქმედებისა მთლიანის ჩარჩოებში, როგორც მთლიანის განვითარება — განახლების პირობისა, რაც თავის მხრივ მტკიცე თეორიულ საფუძველს იძლევა მეცნიერულად გამოაშკარავდეს და განისაზღვროს ფაქტობრივი ნორმატულში და ნორმატული ფაქტობრივში.

საერთოდ, ზაზი უნდა გაეკვას ერთ მდგომარეობას, სახელდობრ იმას, რომ არსისა და ჯერარსის დაპირისპირება მეცნიერების გუშინდელი დღეა, ისევე როგორც არსისა და ჯერარსის ჰიპერტროფირება. ფაქტობრივისა და ნორმატიულს სამართალში აერთიანებს და ამთლიანებს მართლწესრიგის ცნება, რომელიც თავის მხრივ არის სამართლის იდეის აღმოჩენის, წვდომის საფეხური, ფაზა... და ასე უსასრულოდ.



პირველი ნაბიჯები

საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის ახალი საფეხკეობის უზრუნველყოფის კანონი მე-17 საუკუნის საქართველოში

კოლხეთმა და იბერიამ გაიარეს რთული, მრავალი ფაქტორით განპირობებული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა გვაროვნული წყობილებიდან ადრეკლასობრივ საზოგადოებამდე, ე. წ. „ნახევარსახელმწიფოებიდან“ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებრიობამდე. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ რაიმე რეალია, რომელსაც ფესვები ძველი კოლხეთის სახელმწიფოს ან ადრეკლასობრივი ხანის წინარესახელმწიფოებრიობაში აქვს, გადმონაშთის სახით შემორჩენილიყო. ეს მით უფრო არ უნდა იყოს მოულოდნელი, რომ ზოგი რამ ქრონოლოგიურად უფრო ადრეული ხანისა, გვაროვნულ წყობილებაში რომ აქვს ფესვები გადადგმული, გარკვეული სახეცვლილებებით თუ პირვანდელი სახით მიმდინარე საუკუნის დამდეგამდე შემორჩა საქართველოს ზოგიერთ რეგიონს.

არქანჯელო ლამბერტი თავის 1654 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „კოლხიდის აღწერა, რომელსაც დღეს სამეგრელოს უწოდებენ“, აღნიშნავს, რომ მთავარ ლევან დადიანის ბრძანებით თუ ვინმეს დააბატონებდნენ, მას ჯაჭვით დაბმულს ჩააბარებდნენ „მაჯოლოს“¹. მაჯოლორი დამახინჯებული „მეჯოლორე“ უნდა იყოს და მეგრულად ნიშნავს მეძალღეს.

დღეს ტერმინი „მეძალღე“ იშვიათად იხმარება და მას უმთავრეს ქართულ ლექსიკონებშიც კი ვერ ვხვდებით, მაგრამ, როგორც ჩანს, მე-17 საუკუნის სამეგრელოში მეძალღე თანამდებობის პირი იყო და სიტყვაც, რა თქმა უნდა, ხშირ ხმარებაში უნდა ყოფილიყო.

შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, რომ მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის სამეგრელოში მეძალღეს „მაჯოლოს“ ეძახდნენ და არა „მეჯოლორეს“-ო, მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს საქმის არსს არ ცვლის.

„მეძალღე“, როგორც სპეციალური და მნიშვნელოვანი თანამდებობა, არ ჩანს ძველი ქართული სამართლის წიგნებში და საერთოდ იშვიათად გვხვდება ძველ საკანონმდებლო ძეგლებში. სამართლის ისტორიის ძველდამოსავლურ დონეზე ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარისათვის უთუოდ საინტერესოა ძველი ხეთების ქვეყნის სამართალი, რადგან ჩვენს წინაპრებს, თუ მეტი არა, მნიშვნელოვანი კონტაქტები მაინც ჰქონდათ ხეთურ კულტურულ სამყაროსთან.

ქრისტეს დაბადებამდე მეთხუთმეტე საუკუნეში შედგენილ ხეთების კანონთა პირველ ტაბულაში, 88-ე მუხლში იხსენიება „მეძალღე“ ასეთ კონტექსტში: „უკეთუ ვინმე დაარტყამს მეძალღის ძალღს და ის მოკვდება, მან უნდა

¹ არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, ტფილისი, 1901, გვ. 86-87.

მისცეს თორმეტი ნახევარსიკელი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით“.

სიკლი ვერცხლი დაახლოებით 3,5 გრამს შეადგენდა და ცხადია, ადვილი გადასახდელი არ იქნებოდა „თორმეტი ნახევარსიკელი ვერცხლი“, მაგრამ როგორც ჩანს, ზოგჯერ ქონებრივ სასჯელს შეიძლებოდა უფო მკაცრი ფორმაც კი მიეღო. წაკითხვა „ნახევარსიკლი“ (იდეოგრამა „სუ“-სი, მთარგმნელის აზრით საეჭვოა, ალბათ უნდა წავიკითხოთ როგორც სიკლი, ან აქ სხვა ხეთური წონის ერთეული იგულისხმება).

ხეთების კანონთა პირველი ტაბულის 89-ე მუხლის თანახმად „უკეთუ ვინმე დაარტყამს ეზოს ძაღლს და ის მოკვდება, მან უნდა გადაიხადოს ერთი ნახევარსიკელი ვერცხლი“.

როგორც ვხედავთ მეძაღლის ძაღლი სულ ცოტა თორმეტჯერ მეტად მაინც ფასობდა კანონმდებლის თვალში, ვიდრე „ეზოს ძაღლი“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული საკანონმდებლო ძეგლის მიხედვით „მწყემსის ძაღლი“ ოცჯერ მეტად ფასობდა, ვიდრე ეზოს ძაღლი. ეს შეიძლება დღევანდელი მკითხველისთვისაც კი ასე თუ ისე გასაგები იყოს. მწყემსის ძაღლი ჯოგის დარაჯია და მისი სიკვდილით მწყემსს ძალიან დიდი ზიანი შეიძლებოდა განეცადა.

ხეთების კანონთა მეორე ტაბულის 187-ე და 189-ე მუხლების მიხედვით ზოგიერთ ცხოველებთან „შეცოდება“ სიკვდილით ისჯებოდა, მაგ.: ხართან, ღორთან, ძაღლთან.

ხეთების კანონთა მეორე ტაბულის მიხედვით დადგენილია ფასები ხარისა, ძროხისა, მოზერისა, დეკეულისა და ა. შ. (178-ე მუხლი)²:

1. ძროხის ფასი იყო შვიდი ნახევარსიკელი ვერცხლი, ხოლო მაკე ძროხისა რვა ნახევარსიკელი ვერცხლი, ბულა ხარისა — ათი ნახევარსიკელი ვერცხლი. ასეთ ვითარებაში მეძაღლის ძაღლის მოკვლა თორმეტ ნახევარსიკელ ვერცხლად იყო შეფასებული, რაც იმის შესახებ მიგვითითებს, რომ „მეძაღლის ძაღლს“ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის რაღაც სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

მაგრამ ვინ იყო მეძაღლე, რომლის ძაღლიც ეზოს ძაღლთან შედარებით თორმეტჯერ და შესაძლოა მეტჯერ ფასობდა? ხომ არ ჰქონდა ხეთების სამეფოს მეძაღლეს რაღაც მეტ-ნაკლებად იმის ანალოგიური ფუნქციები, რაც მე-17 საუკუნის სამეგრელოს სამთავროში „მეჯოლორეს“?

არ უნდა შეგვაშინოს იმ გარემოებამ, რომ ხეთების კანონებიდან მეჩვიდმეტე საუკუნის სამეგრელომდე თითქმის სამი ათასი ორასი წლის მანძილი ძვეს. ხეთურ-ქართული კულტურული ურთიერთობების სფეროში ასეთი დიდი ქრონოლოგიური სიღრმეც თავბრუს არ დაგვახვევს³.

თავის დროზე ივანე ჯავახიშვილმა წერილში „ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში“, მიუთითა, რომ ქართულ წარმართულ თქმულებათა და ზნე-ჩვეულებათა გასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს ძველ ხეთურ წყაროებში დაცული ცნობების გამოყენებას.

² «Законы Вавилоний, Ассирий и Хетского царства». ВДИ, IV 3 и 4, 1952; ქართულად ი. დოლიძე „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“, თბ., 1960 წ. გვ. 113.

³ იხ. ბენდუქიძე, ხეთური მითი ტელეფინუსს შესახებ და მისი სვანური პარალელები, კრებული „ძველი ისტორიის საკვებში“, 1973; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, მესამე გამოცემა; ივ. ჯავახიშვილი ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში, „ენიმკის მოამბე“, 1937; გ. ნადარეიშვილი, „მცირე ხარვეზი“, „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1983, № 4.

„ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის მესამე გამოცემაში გარკვეული მაქვსო — წერდა ივანე ჯავახიშვილი, — რომ ქართული წარმართობის ხანის შვილიერება — ნაყოფიერების ღვთაების ანარეკლი „ადრეკილაი“-სა და „მელიაი ტელეფიაი“-ს სვანურსა და ყვენობის ქართულ-კახურს ჩვეულე-ბებშია დაცული. იქ გამოთქმული მქონდა მოსაზრება, რომ თუმცა „ადრეკილაის“ ფერხული და საგალობლის სიტყვები „ადრეკილაი წაგვივიდა და მოგვივიდა“ ამჟამად „მელიაი ტელეფიაის“ წესისაგან სრულიად დამოუკიდებელია; მაგრამ წინათ „ადრეკილაის“ ფერხული და საგალობლის სიტყვები „ადრეკილაი წაგვივიდა და მოგვივიდა“ ამჟამად „მელიაი ტელეფიაის“ წესისაგან სრულიად დამოუკიდებელია, მაგრამ წინათ „ადრეკილაის“ ფერხული და საგალობლის სიტყვები „ადრეკილაი წაგვივიდა და მოგვივიდა“ უეჭველია „მელიაი ტელეფიაის, დღესასწაულის ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო“ (გვ. 60 და 63).

შემდეგ ივანე ჯავახიშვილი ასეთ საყურადღებო მოსაზრებას გვაწვდის: „მხოლოდ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის მესამე გამოცემის გამოქვეყნების შემდეგ, მოგვიანებით მოსული, 1928 წელს დაბეჭდილი „ინდო-გერმანული წელიწადულის“ წიგნში მოთავსებული წერილითგან შევიტყვე, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის თოთხმეტი საუკუნით უწინარესი, ბერლინში 1926 წელს დაბეჭდილი, ზეთური ლურსმული საბუთებით შესაძლებელია „ქართველი ერის ისტორიაში“ გამოთქმული ზემომოყვანილი მოსაზრების სრული ჭეშმარი-ტება უკვე ურყევად დამტკიცდეს“.

ძვ. წ. მეთოთხმეტე საუკუნის ზეთური თქმულების მიხედვით ღვთაება ტელეფინუმი წავიდა და ამის გამო გაქრა მოსავლის აღმოცენება და ნაყოფიერება, მაგრამ როგორც კი დაბრუნდა იგი, უმალ აღდგა მანამდე მიმქრალეული აღმოცენება — ნაყოფიერებაც. „ცხადიაო, — განაგრძობდა ივანე ჯავახიშვილი, — რომ „ადრეკილაის“ ფერხულის სიტყვები „ადრეკილაი წაგვივიდა და მოგვივიდა“ და „მელიაი ტელეფიაი“ სწორედ ამავე ნაყოფიერება-შვილიერების ღვთაების ტელეფინუმის წასვლისა და მოსვლის მომთხრობელი საგალობლის ამოძახილია“.

ამგვარად, მეოცე საუკუნის დამდეგამდე საქართველოში დაცულ ხალხურ ზნე-ჩვეულებასა და აღნიშნულ წარმართულ საგალობელს უკვე ამ 33 საუკუნის წინათ ხეტების მიერ აღბეჭდილი რწმენისა და თქმულების ანარეკლი დაუტავს. ივანე ჯავახიშვილი იმასაც აღნიშნავდა, რომ კოლხეთის განთქმული ქალაქის „ტელეფისის“ სახელიც ღვთაება ტელეფინუსს უნდა უკავშირდებოდესო. ივანე ჯავახიშვილის ზემოხსენებული მოსაზრება კარგად არის გამოყენებული და განვითარებული ნ. ა. ბენდუქიძის სტატიაში „ზეთური მითი ტელეფინუს შესახებ და მისი სვანური პარალელები“. ირკვევა, რომ ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მელიაი-ტელეფიაის დღესასწაულზე მსხვერპლად სწირავდნენ ცხვარს ან ხარს, მის ტყავს და წმინდად მიჩნეული მუხის ხეზე ჰკიდებდნენ.

ზემოთ მოტანილიდან ნაწილობრივ მაინც ჩანს, რომ ძველი კოლხეთის მოსახლეობა და ხეტების სახელმწიფო იმდენად რთულ და მჭიდრო კულტურულ კონტაქტებში იყვნენ ერთმანეთთან, რომ დღეს ძნელია, სრული სახით წარმოვადგინოთ ამ ურთიერთავლენების და კონტაქტების სრული სახე.

ჩვენს გვსურს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ხეტების კანონებში მოხსენებული „მეძალის“ და თითქმის სამი ათასი ორასი წლის შემდეგ არქანჯელო ლამბერტის 1654 წელს გამოქვეყნებულ თხზულებაში ნახსენები სამეგრელოს სამთავროში დამოწმებული მეძალის (მეჯოლორე) თანამდებობას შორის არსებობს თუნდაც შორეული, მაგრამ გარკვეული მსგავსება.

შეიძლება გვეფიქრა, რომ ხეტების სამეფოში „მეძალეს“ არა იმდენად ნადირობასთან არამედ საპოლიციო სამსახურთან უნდა ჰქონოდა კავშირი. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული მასალებით ეს არ დასტურდება. უფრო საფიქრებელია, რომ აქ საქმე გვექონდეს მეჯოგე ტომებში წარმოშობილ ძაღლის კულტურასთან თუ ძაღლის დაფასებასთან. მწყემსების ძაღლების მნიშვნელობა კანონმდებელს ისე კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ეზოს ძაღლებთან შედარებით მათ ხელუხლებლობასა და სიცოცხლეს პრივილეგიურულად იცავდა. სამეგრელოში კი მეძალეს საპოლიციო და სამონადირეო ფუნქციები გაერთიანებული უნდა ჰქონოდა. მაგრამ ხეტური მასალებით ამ მოსაზრების დამტკიცება ჭირს.

ქართველ ტომებს ძაღლი თავის სამსახურში ჰყავდათ ჩაყენებული ჯერ კიდევ ე. წ. „ნეოლითური რევოლუციის“ პირველ ხანებშივე. ყოველ შემთხვევაში, ქართული ფუძე ენის არსებობის ხანაში⁴ ქართველები ძაღლს იყენებდნენ თავიანთ სამეურნეო საქმიანობაში. სიმპტომატურია, რომ ძაღლის სახელწოდება ქართულ მეგრულ ლექსიკაში ერთი ფუძისაა. „ძაღლ“ ფორმა კანონზომიერად შეესატყვისება მეგრულ „ჯოლორ“ და სვანურ „ჟალ“ (ჟელ)-ს.

ხეტების სახელმწიფოში და ძველ კოლხეთში განვითარებული უნდა ყოფილიყო მეძალეობა, როგორც მეცხოველეობის დარგი, სადაც ხდებოდა ძაღლების კულტურული ჯიშების გამოყვანა, მათი მესაქონლეობაში, შესაძლოა სხვა სამსახურში გამოსაყენებლად.

აკად. თ. გამყრელიძესა და ვ. ივანოვს აღნიშნული აქვთ, რომ ქართულ „ძუქნაში“ ჩანს ქართული „ძუ“ და ლათინურ-ინდოევროპული „კანის“ (ლათინურად „ძაღლი“). მაშასადამე, მეძალეობის სფეროში ქართველთა და ინდოევროპელთა კონტაქტებზე მიგვითითებს ქართული ენაც.

⁴ ჰაინც ფენრიხი, ურბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1990, გვ. 429-430.

აპოლონ ვალიაშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლისსამართლებრივი იუსტიციის ორგანიზაცია, სტრუქტურა, ფუნქციები

ტოტალური რეჟიმის პირობებში ამერიკის შეერთებული შტატების სისხლისსამართლებრივი იუსტიციის ფუნქციები შუქდებოდა უარყოფითად და ტენდენციურად. საპროცესო კანონმდებლობის მრავალი დემოკრატიული პრინციპი ცალმხრივად იყო გაგებული, როგორც მხოლოდ გაბატონებული კლასის დამცველი და მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართული. თანამედროვე პირობებში საკითხების ობიექტური გაშუქება შედარებით უფრო გაადვილდა, განმტკიცდა კავშირი უცხოეთის სამართლდამცავ ორგანოებთან, მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკებს შორის. ასეთ პირობებში შესაძლებელი გახდა დისპუტების მოწყობა, სიმპოზიუმების ჩატარება, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობისა და პრაქტიკის უფრო ღრმა შესწავლა, სამართალდამცავი ორგანოების მოღვაწეობის დადებითი მხარეებისა და ნაკლოვანებათა ობიექტური ანალიზი.

1. აშშ სისხლისსამართლებრივი იუსტიციის თავისებურებანი. ამერიკის შეერთებული შტატების სამართალწარმოების კანონმდებლობის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავადგინოთ ის ზოგადი ხასიათის თავისებურებანი, რაც დამახასიათებელია სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლოში განხილვისათვის.

ა) ამერიკის შეერთებული შტატების საპროცესო კანონმდებლობა არეგულირებს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის წესს შედარებით ზოგადად. კანონმდებლობა უფრო დაწვრილებით არეგულმენტირებს ისეთ საკითხებს, რომელიც ხელყოფს პიროვნების, მისი ბინის, ქონების ხელშეუხებლობას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა წვევტს მხოლოდ პრინციპულ საკითხებს, რაც დაკავშირებულია საქმის გამოძიებასთან, მის სასამართლოში განხილვასთან, მტკიცებულებათა მოპოვებასთან, ბრალდებულის (განსასჯელის) დაცვის უფლებასთან.

ბ) აშშ საპროცესო კანონმდებლობა და სასამართლო-საგამოძიებო ორგანოთა სისტემა არის დეცენტრალიზებული. ფედერაციული კანონმდებლობის გარდა, თითოეულ შტატს გააჩნია თავისი კონსტიტუცია და საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თითოეულ შტატს შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს და დაადგინოს სასამართლოსა და გამოძიების ორგანოთა სისტემა, საქმის გამოძიებისა და განხილვის თავისებურება. საპროცესო კანონმდებლობის ასეთი თავისებურება გამომდინარეობს ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციებიდან, სახელმწიფოს ფედერაციული წყობიდან.

გ) ამერიკის შეერთებული შტატების საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს საქმის დამატებით გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნების ინსტიტუტს, იმ ნაკლოვანებათა შევსების მიზნით, რაც დაშვებული იყო გამოძიების დროს. ასევე უცნობია პროცესუალური კანონის არსებითი ხასიათისა და არაარსებითი ხასიათის დარღვევა. კანონის ყოველგვარი დარღვევა, რა უმნიშვნელოც უნდა იყოს და რასაც უნდა ეხებოდეს იგი (მტკიცებულებათა მოპოვებას, ფიქსაციას, საპროცესო დოკუმენტების გაფორმებას, პროცედურულ წესს და ა. შ.), ყველა შემთხვევაში იწვევს განსასჯელის გამართლებას.

დ) ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელია სასამართლო პრეცედენტის ინსტიტუტი, რაც იმაში გამოიხატება, რომ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილი განაჩენი ან გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად არა მარტო ამ საქმეზე, არამედ იგი იძენს ზოგადი ნორმის ხასიათს და გამოიყენება სახელმძღვანელოდ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის დასადგენად ან სამოქალაქო სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების გამოსატანად.

ე) ამერიკის კონსტიტუცია (მუხლი 1, განყოფილება მე-3) სენატს ანიჭებს უფლებას განაზოცოვოს სასამართლოს ფუნქციები იმპიჩმენტის წესით, თუ განსასჯელია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. სენატორები, რომლებიც საქმეს იხილავენ იმპიჩმენტის წესით დებენ ფიცს ან აკეთებენ საჯარო განცხადებას. იმპიჩმენტის სასამართლოს შეუძლია გადააყენოს პრეზიდენტი თანამდებობიდან და აუკრძალოს მას რაიმე თანამდებობის დაკავება. აღსანიშნავია ისიც, რომ იმპიჩმენტის სასამართლოს შემდეგ საქმე გადაეცემა გამოძიების ორგანოს და ჩვეულებრივი წესით ხდება საქმის გამოძიება, ბრალდების წარდგენა, სასამართლოში საქმის განხილვა და განაჩენის გამოტანა.

ვ) ამერიკის შეერთებულ შტატებში სისხლის სამართლის საქმის განხილვა ხდება როგორც ერთპიროვნული მოსამართლის, ასევე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ პირდაპირ არის მითითებული აშშ კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 განყოფილებაში, სადაც აღნიშნულია, რომ ყველა საქმე, გარდა იმპიჩმენტის სასამართლოს განსახილველად ექვემდებარება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. კონსტიტუციის VII შესწორება მიუთითებს, რომ თუ სარჩელი ადგმატება ოც დოლარს, საქმის განხილვა შეიძლება მოხდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ.

ზ) საქართველოს რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობით ასევე უცნობია საქმის სააპელაციო წესით განხილვა. აშშ საქმის სააპელაციო წესით განხილვა გულისხმობს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა, არსებით განხილვას და განაჩენის გამოტანას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებულ შესაძლო შეცდომის გამოსწორების მიზნით.

თ) ჩვენი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით პირველ ადგილზეა სახელმწიფო საკუთრების დაცვა, შემდგომ კი მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვა (სახელმწიფო საკუთრების გატაცებისათვის უფრო მკაცრი სასჯელია დაწესებული, ვიდრე პირადი ქონების გატაცებისათვის). ამერიკის სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ იგი პიროვნების კერძო საკუთრებას უფრო იცავს, ვიდრე სახელმწიფო საკუთრებას. პირველ შემთხვევაში სასჯელი უფრო მკაცრია, ვიდრე მეორე შემთხვევაში. აშშ კონსტიტუცია რამდენჯერმე აკეთებს აქცენტს პიროვნების კერძო საკუთრების დაცვაზე (იხ. კონსტიტუციის IV, V, XIV შესწორებები).

ი) ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობისათვის ასევე დამახასიათებელია ის, რომ ყველგან და ყოველთვის მტკიცედ და განუხრელად იყოს

დაცული მოქალაქეთა კანონიერი ინტერესები და უფლებები. საგამომიებო ორგანოები და სასამართლო ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ ისინი მტკიცედ დგანან მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების სადარაჯოზე და ამ უფლებების შეზღუდვა ან დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას¹. აშშ კონსტიტუციაში მოქალაქეთა უფლებების დაცვის შესახებ აღნიშნულია მთელ რიგ მუხლებში (მე-4 მუხლი, IV, VI, IX, XIV შესწორებები).

კ) ამერიკის შეერთებულ შტატებში წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები თავსდებიან იზოლატორში, მაგრამ ჩვენი წესიდან განსხვავებით, მათ შეუძლიათ ყოველგვარი ნებართვის გარეშე (ასევე გამომძიებლის ნებართვის გარეშე) ტელეფონით ესაუბრონ ყველას, აწარმოონ მიმოწერა განუსაზღვრელად, შეხვდნენ და ესაუბრონ ნათესავებს, მეგობრებს მოკლევადიანი პაემანის სახით. არცერთ მოყვანილ შემთხვევაში არ არსებობს არავითარი ცენზურა და კონტროლი. წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს შეუძლია შეიტანოს თავანი (გირაო) და იგი თავისუფლდება განაჩენის გამოტანამდე. საპატიმრო ადგილების მუშაკებს არ შეუძლიათ შელახონ პატიმართა უფლებები, წინააღმდეგ შემთხვევაში პატიმარს შეაქვს საჩივარი სასამართლოში, რასაც შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგი.

ლ) ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავი ორგანოების მუშაობისათვის დამახასიათებელია ტექნიკური საშუალებების ფართო დანერგვა და გამოყენება პრაქტიკაში. ყველა სახის ინფორმაცია, რაც საჭიროა საქმის გამომძიება-განხილვისათვის, პიროვნების რეგისტრაციაში გატარებისათვის და აღრიცხვისათვის გადატანილია კომპიუტერებზე, რაც აადვილებს როგორც ტექნიკური დარგის, ასევე მოსამართლის, გამომძიებლის, პოლიციელისა და საინფორმაციო სამსახურის მუშაობას. ფაქტებისა და გარემოებათა ფიქსაციისათვის, სასამართლო ოქმის შედგენისათვის ფართოდ იყენებენ ვიდეოაპარატურასა და მაგნიტოფონს².


მ) გაცილებით უფრო ეფექტიანია სასამართლო ორგანოების მუშაობაში ორგანიზაციული საკითხების მოგვარება და გადაწყვეტა, სასამართლოების მობარაგება საჭირო ინვენტარით, დანადგარებით, კომპიუტერებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით. ყველა დონის სასამართლო ორგანოებისათვის (ფედერაციული, საშტატო, ადგილობრივი) გამოყოფილია საუკეთესო შენობები და სასახლეები, ისინი აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელ მიღწევების საფუძველზე.

ნ) ამერიკის შერეულ შტატებში სათანადოდ არის დაცული როგორც სასამართლო შენობა, ისე მოსამართლეები. სასამართლოში შესვლის დროს ყოველი მოქალაქე გაივლის მაგნიტური ველის აპარატს, რომელიც გამორიცხავს სასამართლოში შემსვლელი პირის მიერ იარაღის შეტანას. თვით სასამართლო შენობა საიმედოდ არის დაცული პოლიციის მიერ. პოლიციის თანამშრომელი მიმავრებულია აგრეთვე მოსამართლის პიროვნების დასაცავად.

ო) ამერიკის შეერთებულ შტატებში სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ანაზღაურება გაცილებით მეტია საშუალო ხელფასზე. აშშ კონსტიტუციის მე-3 მუხლის 1-ლი განყოფილების საფუძველზე მოსამართლის ხელფასი არ შეიძლება შემცირდეს, ვიდრე იგი ახორციელებს მოსამართლის ფუნქციებს. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერაციული სასამართლოს მოსამართლეები

¹ См. Рогов А. И. Система органов уголовной юстиции США (структурный аспект), «Правоведение», 1991, № 5, с. 99, ლაური უაიმანი, სამართლიანი სასამართლო, ჟურ., „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, № 10, გვ. 73.

² Американский суд глазами ленинградцев, «Вестник Верховного Суда СССР», № 10, ст. 13—14.



წელიწადში ღებულობენ 100 ათას დოლარს. დამწვები პროკურორი —30-35 ათას დოლარს, ხოლო ათი წლის მუშაობის შემდეგ 70-75 ათას დოლარს წლის განმავლობაში³.

ა) ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებში განსახილველი საქმეების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია გადატანილია კომპიუტერზე და სასამართლოს მდივანს შეუძლია პროცესის ყველა მონაწილეს უმაღლვე გასცეს ამომწურავი პასუხი კონკრეტულ სისხლის თუ სამოქალაქო სამართლის საქმის შესახებ. ასეთი ტექნიკური ფუნქციის განხორციელებიდან მოსამართლე თავისუფლდება და შესაბამისად მცირდება მის მიერ მოქალაქეთა მიღება. ასევე ფართოდ გამოიყენება ტექნიკური საშუალება სასამართლო სხდომის ოქმის შედგენისას. სასამართლო პროცესის მსვლელობის ფიქსირება ხდება ერთდროულად მაგნიტოფონის ოთხ ფირზე, რაც სასამართლო სხდომის ოქმის სისრულისა და ობიექტურობის გარანტიაა⁴.

2. გამოძიების ორგანოთა სისტემა და გამოძიების ძირითადი საკითხები.

ამერიკის შეერთებული შტატების საგამოძიებო ორგანოებისათვის დამახასიათებელია ამ ორგანოების დეცენტრალიზაცია. არ არსებობს საგამოძიებო ორგანოების ერთიანი სისტემა ყველა შტატისათვის და ერთნაირი საპროცესო კანონმდებლობა გამოძიების რეგულირების საკითხებზე. ამერიკაში არ არის ცნობილი აგრეთვე ერთიანი საპროკურორო ზედამხედველობა და პროცესუალური ხელმძღვანელობა გამოძიების ჩატარების პროცესში. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ საკითხში ხელმძღვანელი როლის შესრულება უხდება იუსტიციის დეპარტამენტს.

გამოძიების ჩატარების დროს სავალდებულო სამართლებრივ ნორმებად ითვლება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, საპროცესო კანონი, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი და სხვადასხვა სახის კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ეხებიან გამოძიების ჩატარების საკითხებს.

გამოძიების პროცესისათვის დამახასიათებელია ბრალდებისა და დაცვის ფუნქციის გამიჯვნა და შეჯობრებითობის პრინციპი მათ შორის. ბრალდებისა და დაცვის მხარე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელივ, მაგრამ კანონის მტკიცე და განუხრელი დაცვის საფუძველზე ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს მტკიცებულებათა მოპოვებაში. ყველა მტკიცებულება შემდგომში წარედგინება სასამართლოს, რომელიც გამოდის არბიტრის როლში და არსებითად წყვეტს სისხლის სამართლის საქმეს.

გამოძიების ორგანოების სისტემა ამერიკაში იყოფა სამ საფეხურად: ფედერაციული, შტატების და ადგილობრივი (საოლქო, ქალაქის, საგრაფო, დასახლებული პუნქტების).

ფედერაციული საგამოძიებო ორგანოები. გამოძიების ძირითად ორგანოს ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოადგენს პოლიცია, რომელიც ასევე დეცენტრალიზებულია, მაგრამ კონტაქტი მათ შორის არსებობს ცალკულ კატეგორიის საქმეთა გამოძიების პროცესში.

ფედერაციული ორგანოების იურისდიქცია ვრცელდება ამერიკის მთელ ტერიტორიაზე მისდამი ქვემდებარე საქმეების გამოძიების დროს. ფედერაციული საგამოძიებო ორგანოების მუშაობას საბოლოო ჯამში ზოგადად ხელმძღვანელობს და წარმართავს ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტი.

გამოძიების ერთ-ერთ ფედერაციულ მნიშვნელოვან ორგანოს განეკუთვნე-

³ იხ. დონალდ ეიერი, მოსამართლე, პროკურორი, პოლიცია და /ფული, ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, № 9, ვვ. 77.

⁴ «Вестник Верховного Суда СССР», 1991, № 10, ст. 13-14.

ბა ეგრეთ წოდებული პოლიტიკური პოლიცია — გამოძიების ფედერაციული ბიურო. ეს ბიურო თავის ფუნქციებს ახორციელებს როგორც უშუალოდ, ისე მისი ადგილობრივი ორგანოების სახით, რომლებიც არის ყველა შტატში და ზოგიერთ დიდ ქალაქში. ასეთი ორგანო არის სულ 59 (ზოგჯერ ლიტერატურაში მითითებულია 58). სხვა ქალაქებში არიან სააგენტოები (რეზიდენტები). გამოძიების ფედერაციულ ბიუროებში მუშაობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მისი სამსახურები აღჭურვილია მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების აპარატურითა და ხელსაწყოებით, მას გააჩნია სრულყოფილი საინფორმაციო-სარეგისტრაციო ცენტრი.


გამოძიების ფედერაციული ბიუროს გამოსაძიებლად ექვემდებარება ისეთი საქმეები, რომელთა გამოძიება რეგლამენტირებულია ფედერაციული კანონმდებლობით, კერძოდ: ჯაშუშობა, საბოტაჟი, ბანკების გაძარცვა, სამშობლოს და ლატი, ფედერაციული თანამდებობის პირთა ჩადენილი დანაშაული, ისეთი დანაშაული, რომელიც ეხება სხვადასხვა შტატების ინტერესებს და ა. შ. ამავე დროს გამოძიების ფედერაციული ბიურო მოიპოვებს ინფორმაციებს (ახორციელებს ოპერაციულ საქმიანობას) ქვეყნის შინაგანი უშიშროების ხელყოფის დარგში, მასში აგრეთვე შედის შინაგანი დაზვერვის სამმართველო.

გამოძიების მეორე ფედერაციულ ორგანოს მიეკუთვნება საატორნეო სამსახური, რომელიც გარკვეულ წილად ახორციელებს პროკურატურის ფუნქციებს, მაგრამ მისი უფლებამოსილება განსხვავდება ჩვენი პროკურატურის ამოცანებიდან. საატორნეო სამსახური არ ახორციელებს საპროკურორო ზედამხედველობას, იგი არ ხელმძღვანელობს გამოძიებას შტატებში. საატორნეო სამსახურის ძირითადი ფუნქციებია კანონის შესრულების უზრუნველყოფა თავის კომპეტენციის ფარგლებში, დანაშაულის გამოძიება და ბრალდების წარდგენა, სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარის დაჭერა, მთავრობისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენა (მთავრობის იურისკონსულტი), თავისუფლების აღკვეთის ადგილების მმართველობა.

ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური ატორნეი ინიშნება პრეზიდენტის მიერ სენატის თანხმობით 4 წლის ვადით. ამავე წესით ინიშნება ფედერაციული სამსახურის ყველა ატორნეი და მარშალი, რომელთა რიცხვი ამერიკაში 94-ია. ატორნის და მარშალის მოადგილეები კი ინიშნება ამერიკის გენერალური ატორნეის მიერ.

აშშ გენერალური ატორნეი ხელმძღვანელობს მხოლოდ ამ სამსახურის ფედერაციულ სისტემას და მას იურიდიულად არ ექვემდებარებიან შტატებისა და რაიონული დონის საატორნეო სამსახურები. ამერიკის გენერალური ატორნეი შედის იუსტიციის დეპარტამენტში და თავის კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს ამ დეპარტამენტს. გენერალური ატორნეის მუშაობაზე საერთო ზედამხედველობის განხორციელება ეკისრება პრეზიდენტს. აშშ გენერალური ატორნეი წარმოადგენს პრეზიდენტის მთავარ პოლიტიკურ მრჩეველს და მის მრჩეველს იურიდიულ საკითხებში. გენერალური ატორნეი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ბრალდებას ამერიკის შტატების უზენაეს სასამართლოში ან გამოვიდეს მხარედ სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის დროს.

გენერალურ ატორნეს უფლება აქვს აშშ უზენაეს სასამართლოში და ყველა ფედერაციულ სასამართლოში საქმის განხილვის დროს მონაწილეობის მისაღებად გაგზავნოს გენერალური სოლისიტორი. იგი უფლებამოსილია ფედერაციული სასამართლოების განაჩენი (გადაწყვეტილება) გაასაჩივროს აშშ უზენაეს სასამართლოში განსახილველად. გენერალური სოლისიტორი გამოდის ფე-



დერაციულ სასამართლოში სახელმწიფო ინტერესების დასაცავად როგორც სასამართლოების მოწვევით, ისე თავის ინიციატივით. გენერალური ატორნის ფუნქციას შეადგენს აგრეთვე ფედერაციულ კანონპროექტებზე დასკვნის მიცემა და ფედერაციული კანონმდებლობის განმარტება.

აშშ გენერალური ატორნეი და მისდამი დაქვემდებარებული 94 ფედერაციული ატორნის საგამოძიებო სამსახურები იძიებენ ყველა ისეთ სისხლის სამართლის დანაშაულს, რომლებიც რეგლამენტირებულია ფედერაციული კანონმდებლობით. გამოძიების დროს ისინი მჭიდრო კონტაქტს ამყარებენ ფედერაციული პოლიციის ორგანოებთან და ამერიკის გამოძიების ფედერაციულ ბიუროსთან.

ფედერაციულ სამსახურს მიეკუთვნება აგრეთვე ამერიკის მარშალი, რომლის თანამდებობა შემოღებულია 94 ქალაქში. მარშალი თავისი აპარატით და ფედერაციული პოლიციის საგამოძიებო სამსახურის დახმარებით, თავის კომპეტენციის ფარგლებში, აწარმოებს დაპატიმრებას, ჩხრეკას, ამოღებას, პროცესის მონაწილეთა (მოწმე, დაზარალებული, მოსამართლე) დაცვას, თუ მათ ემუქრებიან ორგანიზებული დანაშაულის ჩამდენი პირები. ამერიკის მარშლის ძირითად ფუნქციას შეადგენს აგრეთვე ფედერაციული სასამართლოების განკარგულებების, გადაწყვეტილებების აღსრულება და სასამართლოში საქმის განხილვის დროს დისციპლინისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა.

ფედერაციულ დონეზე გამოძიებას აწარმოებენ აგრეთვე სხვადასხვა სამინისტროები, მათ შორის ფინანსთა სამინისტრო — სავადადასახო კანონმდებლობის დარღვევა, საბაჟო წესების დარღვევა; ზაზინის დაცვის სამსახური — ჰრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების ხელყოფა, ფულადი ნიშნებისა და დოკუმენტების გაყალბება; ფოსტის სამინისტროს ინსპექცია — საფოსტო წესების დანაშაულებრივი დარღვევა; იუსტიციის დეპარტამენტის საიმპერაციო სამსახური; ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო — კვების პროდუქტების ხარისხი და სხვ. მნიშვნელოვანი დანაშაულის გამოსაძიებლად ფედერაციულ დონეზე იქმნება მუდმივი ან დროებითი საგამოძიებო კომისიები.

ფედერაციულ დონეზე განსაკუთრებული როლი ენიჭება ორგანიზებულ დამნაშავეობათა წინააღმდეგ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებს აშშ იუსტიციის დეპარტამენტის პროკურორი. თანამედროვე პირობებში, როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში, ამერიკის 26 ქალაქში შექმნილია ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მებრძოლი ფედერაციული დანაყოფი, რომელიც მჭიდრო კონტაქტში მუშაობს არა მარტო პოლიციასთან, არამედ შესაბამის სამინისტროებთან, რომელთა ინტერესებს ეხება აღნიშნული დანაშაულის ჩადენა. ამ კატეგორიის საქმეებზე ფედერაციული განყოფილების პროკურორს უფლება აქვს აღძრას სისხლის სამართლის საქმე, ჩაატაროს გამოძიება, შეადგინოს დასკვნა და წარუდგინოს მასალები სპეციალურად შექმნილ დიდ ჟიურის, რომელიც ადგენს საბრალდებო აქტს პირის ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეობისათვის ბრალდების ოფიციალურად წარდგენის შესახებ⁵.

შტატების საგამოძიებო ორგანოები. შტატებში გამოძიების ძირითადი ორგანოა პოლიცია, რომელიც იძიებს სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობას; შტატების პოლიციის ორგანოთა შორის არ არსებობს ერთიანი მწყობრი სისტემა, თუმცა გარკვეული კონტაქტი მათ შორის არის. შტატების პოლიციას სათავეში უდგას პოლიციის უფროსი (შეფი), რომელიც ინიშნება შტატის გუ-

⁵ См. Бастринни А. И., Борьба с организованной преступностью в США, «Правоведение», 1992, № 3, ст. 76—78.

ბერნატორის მიერ და ემორჩილება უშუალოდ მას. შტატების პოლიცია ფინანსდება შტატების ბიუჯეტიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შტატების პოლიციისათვის არ არის ერთიანი სპეციალური კანონი, მათი მუშაობა გამომდინარეობს შტატების კონსტიტუციიდან და უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის ყველა მოთხოვნას.

შტატების პოლიციაში იქმნება განყოფილებები კონკრეტულ დანაშაულთან საბრძოლველად (ყაჩაღობა, მკვლელობა, ნარკომანია, თაღლითობა, აზარტული თამაშობანი და ა. შ.). შტატების პოლიციას უფლება აქვს აღძრას სისხლის სამართლის საქმე, დაკითხოს ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მოწმეები, ჩაატაროს საქმეზე ყველა საჭირო პირველადწყებითი და მომდევნო საგამომიებო მოქმედებანი. პოლიცია ახორციელებს აგრეთვე ოპერატიულ და სამძებრო საქმიანობას. შტატების პოლიცია მუშაობს მჭიდრო კონტაქტში ადგილობრივ პოლიციასთან და საქმიან დახმარებას უწევს მას.

ყოველ შტატში არსებობს შტატის გენერალ-ატორნის თანამდებობა, რომელიც ზოგიერთ შტატში ინიშნება შტატის გუბერნატორის მიერ, ხოლო უმრავლეს შტატებში კი ირჩევა.

შტატის გენერალ-ატორნი (პროკურორი) არის სახელმწიფო ბრალდების ორგანო და მის აპარატში შექმნილია განყოფილებები კონკრეტულ დანაშაულთან საბრძოლველად. ამ უწყებას გამოსაძიებლად ექვემდებარება განსაკუთრებით მნიშვნელოვან დანაშაულთა საქმეები (დანაშაული ვაჭრობის სფეროში, კორუფცია და ა. შ.). საატორნეო სამსახური თავის ფუნქციებს ახორციელებს შტატის და ადგილობრივი პოლიციის ორგანოებთან მჭიდრო კავშირში. გამოძიების დროს საატორნეო სამსახურის გამოძიებლები, როგორც წესი, იყენებენ და ეყრდნობიან პოლიციის მიერ მოპოვებულ მასალებს, მაგრამ მათ შეუძლიათ არ გაიზიარონ ეს მასალები და უშუალოდ ჩაატარონ საქმეზე სხვადასხვა საჭირო საგამომიებო მოქმედებანი. შტატის გენერალ-ატორნის ფუნქციას, გამოძიების გარდა, შეადგენს შტატის კანონთა შესრულების უზრუნველყოფა, იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების აღმოჩენა შტატის გუბერნატორისათვის, საბრალდებო ფუნქციების განხორციელება სასამართლოში.

შტატის გენერალ-ატორნის ადმინისტრაციულად არ ექვემდებარება ადგილობრივი საატორნეო სამსახური და არც ადგილობრივი პოლიცია. იგი არ ახორციელებს ამ ორგანოებისაღმი ზედამხედველობის ფუნქციას, როგორც ეს ხდება ჩვენს სახელმწიფოში.

ადგილობრივი საგამომიებო ორგანოები. ამ ორგანოებს მიეკუთვნება ადგილობრივი პოლიცია (საოლქო, საქალაქო, საგრაფოებისა და დასახლებული პუნქტების). ეს ორგანოები ახორციელებენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას, იძიებენ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებს და უზრუნველყოფენ ადგილებზე შტატის კანონმდებლობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ადგილობრივი პოლიციის უფროსი (შეფი, შერიფი) ინიშნება შტატის გუბერნატორის მიერ ან ირჩევა 2-დან 4 წლამდე და ექვემდებარება შტატის გუბერნატორს, მუნიციპალიტეტს, საგრაფო (საოლქო) საბჭოს, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. ადგილობრივი პოლიციის აპარატის შტატების რიცხვი დამოკიდებულია ქალაქის სიდიდეზე, დანაშაულთა რიცხვსა და ადგილებზე კრიმინოგენურ ვითარებაზე, იგი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე პოლიციელისაგან (დასახლებულ პუნქტებში და სოფლებში).

ადგილობრივ პოლიციას, როგორც წესი, სათავეში უდგას შერიფი, რომელიც ხელმძღვანელობს გამოძიებას და იძიებს ისეთ დანაშაულს, რომელიც არ

წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას (დასახლებული პუნქტებისა და სოფლის პოლიციის შერიფები, როგორც წესი, არ აწარმოებენ საქმეთა გამოძიებას). შერიფი წყვეტს საკითხს დაპატიმრების, პირის განთავისუფლების შესახებ თავანის შეტანის საფუძველზე. მის ფუნქციებში შედის აგრეთვე ქონებაზე ყადაღის დადება და კონფისკაციის აღსრულება. იგი ახორციელებს განაჩენისა და გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას (სასამართლო აღმასრულებლის ფუნქციას). შერიფი კონტროლს უწევს ადგილებზე კანონთა შესრულებას, აგრეთვე საარჩევნო კანონის ცხოვრებაში გატარებას. იგი უშუალო მონაწილეობას ღებულობს ნაფიც მსაჯულთა შერჩევაში და მათი სიების შედგენაში, ახორციელებს კონტროლს მის ტერიტორიაზე მყოფ თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე და მონაწილეობას ღებულობს მოსახლეობიდან გადასახადების აკრეფაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკაში გზებზე და ქუჩებში დადგმულია პოლიციის გამოსაძახებელი პულტები, რაც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს სასწრაფოდ გამოიძახოს პოლიცია დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირებისათვის.

პოლიციის მცირერიცხოვან ორგანოებს სოფლებში და დასახლებულ პუნქტებში, როგორც წესი, სათავეში უდგას კონსტაბელი, რომელიც ირჩევა 2-4 წლით ან ინიშნება ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელის მიერ. კონსტაბელი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა ახორციელებს სხვა ისეთ ფუნქციებს, რომელიც დამახასიათებელია ადგილობრივი ორგანოებისათვის: იცავს საზოგადოებრივ წესრიგს, აღსრულებაში მოჰყავს სასამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილება, მონაწილეობას ღებულობს მოსახლეობიდან გადასახადების აკრეფაში.

გამომძიების სფეროში გარკვეული როლი ენიჭება ადგილობრივ საატორნეო სამსახურს (ოლქის, ქალაქის, რაიონის), რომელიც წარმოადგენს დეცენტრალიზებულ ორგანოს, იგი არის დამოუკიდებელი ორგანო და ადმინისტრაციულად არ ემორჩილება შტატის გენერალურ ატორნეის. ადგილობრივი ატორნეის თანამდებობა არის არჩევითი 4-6 წლის ვადით ან ისინი ინიშნებიან ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელის მიერ.

საატორნეო სამსახურში იქმნება განყოფილებები და არსებობს გამომძიებლის შტატები, რომლებსაც ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება და რთულ საქმეთა გამოძიება. ადგილობრივი ატორნეი იურიდიულ საკითხებში კონსულტაციას უწევს ადგილობრივ ხელისუფლებას, სამოქალაქო სამართლის საქმეებზე წარმოადგენს სასამართლოში ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ინტერესებს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. ბევრ შემთხვევაში ადგილობრივი ატორნეი (ოლქის, ქალაქის, რაიონის) წყვეტს საკითხს ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ. ეს ხდება იმ შტატებში, სადაც არ არსებობს დიდი ყიური. ამ სამსახურის გამომძიებლებს უფლება აქვთ მთელი მოცულობით ჩაატარონ საქმის გამოძიება.

ამერიკის უმრავლეს შტატში (29 შტატი) არსებობს კორონიორის თანამდებობა, რომელიც, როგორც წესი, ირჩევა ოლქის მოსახლეობის მიერ 2-4 წლამდე ან ინიშნება ადგილობრივ ხელისუფლების ხელმძღვანელის მიერ. იგი არის დამოუკიდებელი თანამდებობის პირი პოლიციიდან და ადგილობრვ ატორნიდან. მის ძირითად ფუნქციას შეადგენს მკვლელობის, თვითმკვლელობის საქმეთა გამოძიება და მოკლულის ქონების დაცვა. იგი ამ კატეგორიის საქმეებზე აღძრავს საქმეს, ატარებს დაკითხვებს, აწარმოებს შემთხვევის ადგილის დათ-

ვალეირებას, სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობით და გამოძიების დამთავრების შედეგად მის დასკვნას აყალიბებს წერილობით (ვერდიქტი) ეს წერილობითი დასკვნა (ვერდიქტი) არ წარმოადგენს საბრალდებო აქტს. იგი გამოძიების მასალებს გადასცემს შტატის ოლქის ან ქალაქის, ატორნეის, რომელიც უკვე ადგენს საბრალდებო აქტს და წარუდგენს საქმეს დიდ ჟიურის ბრალდებულის სამართალში მისაცემად.


გამოძიების ფუნქციებს ამერიკაში ახორციელებენ აგრეთვე კერძო დეტექტივები, რომლებიც კლიენტთან ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებენ სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებებს. გამოძიების ფუნქციებს ასრულებს აგრეთვე ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დამცველი, რომელიც მოიპოვებს და ყურადღებას ამახვილებს ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან ამსუბუქებენ მის ბრალეულობას.

ცალკეული უწყებები შტატის დონეზე აწარმოებენ აგრეთვე გამოძიებას საფინანსო, სავაჭრო, კავშირგაბმულობის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა გამო, მაგრამ მათთვის გამოძიების ფუნქცია არის დამატებითი და არა ძირითადი საქმიანობა.

ზოგ შემთხვევაში ამერიკელი ავტორებიც კი მაგისტრატებს (ერთპიროვნულ მოსამართლეს) და დიდ ჟიურის აკუთვნებენ გამოძიების ორგანოებს იმ გაგებით, რომ ისინი ახორციელებენ საბრალდებო ფუნქციას (წყვეტენ საკითხს პატიმრის განთავისუფლების, მის საპატიმრო აღვილებში გაგზავნის შესახებ, ამტკიცებენ საბრალდებო აქტს, ანთავისუფლებენ პატიმარს სასამართლომდე თანხის შეტანის საფუძველზე და ა. შ.).

გამოძიების ძირითადი საკითხები. ამერიკის შეერთებულ შტატებში პირის დაპატიმრება და ჩხრეკა ექვემდებარება სასამართლო კონტროლს და ამ საკითხზე გაიცემა ორდერი (ბრძანება). პოლიციის ან გამოძიების სხვა ორგანო ადგენს მაგისტრატების სასამართლოში პატაკს (განცხადებას) პირის დაპატიმრების ან მისი ბინის ჩხრეკის შესახებ. ამ დოკუმენტებში უნდა დასაბუთდეს დაპატიმრების ან ჩხრეკის აუცილებლობა და დაერთოს პატაკს (განცხადებას) საჭირო და საკმარისი მასალები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატაკი (განცხადება) არ წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დოკუმენტს. მასში მხოლოდ მოყვანილია არგუმენტები პირის დაპატიმრებაზე ან ჩხრეკაზე ნებართვის გაცემის შესახებ. მოსამართლე პოლიციის მუშაკის ფიცის შემდეგ იხილავს დაპატიმრებისა და ჩხრეკის საკითხს და გასცემს ორდერს (ბრძანებას) ან უარს ეუბნება ორდერის გაცემაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირი უნდა განთავისუფლდეს. ორდერის გაცემა კი ფაქტობრივად ნიშნავს საქმის აღძვრას და გამოძიების დაწყებას.

(დასასრული შემდეგ ნომერში).





ՆԱԽԱՆՆԵՐԻ
ՆԱԽԱՆՆԵՐԻ